

# **სოციალური დავები (ზრომა, პენსია, სხვა სოციალური დავები)**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2022, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2022, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2022, №9

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2022, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# საკიეპელი

## 1. შრომა

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მობილობის კანონიერება .....	4
დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი .....	37
განაცდურისა და ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება .....	60
ან გარდაცვლილი მეუღლის გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობა .....	70

## 2. სხვა სოციალური დავები

დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება .....	91
დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ან კომპენსაციის გაცემის წინაპირობები .....	109
მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა .....	135
საბრძოლო მოქმედების მონაწილის სტატუსის მინიჭების საფუძველი .....	150

# 1. შრომა

## ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოგილოვის კანონიერება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-16(კ-21) 17 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 28 თებერვალს დ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

სარჩელის თანახმად, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 თებერვლის №135 ბრძანებით დ. გ-ე დაინიშნა ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე. 2017 წლის 29 ივნისის №610 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება დ. გ-ეის თანამდებობის დასახელებაში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: უფროსი სპეციალისტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. იმ რეფორმის ფარგლებში, რომლის თანახმადაც მოხდა საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია/შერწყმა, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 10 ოქტომბრის №1167 ბრძანებით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა მოხელეს ეცნობა მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნებოდა მათი მობილობა. თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანებით დ. გ-ეს ეცნობა, რომ მობილობის შეუძლებლობის გამო იგი ჩაირიც-

ბა მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით და მიეცა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგო.

სარჩელის თანახმად, მას შემდგომ რაც მოხდა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შერწყმა, აღნიშნულ უწყებებში არსებული სამსახურები გაერთიანდა და ორივე ორგანოს საჯარო მოხელეებმა განაგრძეს მუშაობა უკვე თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 139 მოხელის მიმართ იქნა გამოყენებული მობილობა, 50 საჯარო მოხელე ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში, ხოლო შტატით გათვალისწინებულ 43 პოზიციაზე გამოცხადდა ღია კონკურსი. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახურის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 14 საშტატო ერთეულით, თუმცა დ. გ-ის მიმართ, მიუხედავად მისი მაღალი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილებისა, არ იქნა გამოყენებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მობილობის წესი და მოხდა მისი ჩარიცხვა მოხელეთა რეზერვში. დ. გ-ის განუღმადგინებლად გამგეობის მიერ მიეცა „კარგი შეფასება“, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განმარტება როგორც – „მოვალეობა კარგად შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები სტაბილურად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს“. დასაქმებულთა რეზერვში ჩარიცხვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მის მიმართ მობილობის გამოყენება, ანუ იმავე ან უფრო დაბალ პოზიციაზე გადაყვანა. თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ არ იქნა დასაბუთებული თუ რატომ არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო მობილობის წესი მოსარჩელის მიმართ, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა დ. გ-ის რეზერვში ჩარიცხვით და იმავე სამსახურის სხვა თანამშრომლების მიმართ მობილობის გამოყენების დროს, თან იმ პირობებში, როდესაც დ. გ-ეს აქვს რამდენიმე წლიანი სამუშაო გამოცდილება და მიღებული ჰქონდა „კარგი“ შეფასება. მოპასუხეს შესაბამისი სახის, შინაარსის და მოცულობის ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით უნდა ეხელმძღვანელა უკეთესი/საუკეთესოთა ამორჩევის პრინციპით და ისე მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მოსარჩელის მითითებით, თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანება წინააღმდეგობაშია როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებულ „პროფესიული საჯარო მოხელის მობილო-

ბის წესთან“.

ამდენად, მოსარჩელემ მობილობის შეუძლებლობის გამო დ. გ-ეის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე კომპენსაციის გაცემის შესახებ თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანების ბათილად ცნობა, თელავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და დ. გ-ეის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის უფროსი სპეციალისტის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 2018 წლის 30 იანვრიდან სამსახურში აღდგენამდე დ. გ-ეის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის (შრომითი გასამრჯელოს) ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით დ. გ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანება მობილობის შეუძლებლობის გამო დ. გ-ეის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე კომპენსაციის გაცემის შესახებ; თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დ. გ-ე აღდგენილ იქნეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის (ამჟამად თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის) თანამდებობაზე; თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა დ. გ-ეის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის (შრომითი გასამრჯელოს) ანაზღაურება 2018 წლის 30 იანვრიდან სამსახურში მის აღდგენამდე.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 თებერვლის №135 ბრძანებით დ. გ-ე დაინიშნა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის პოზიციაზე. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 აპრილის №429 ბრძანებით დ. გ-ე გადაყვანილი იქნა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის პოზიციაზე. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 29 ივნისის №610 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 აპრილის №429 ბრძანებაში და დ. გ-ეის თანამდებობის დასახელება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: უფროსი სპეციალისტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის

მიერ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციებზე დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგად დ. გ-ის მიეცა შეფასება – კარგი. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის №476 და №231 ბრძანებების შესაბამისად, დაკისრებული სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის დ. გ-ე ნახალისებული იქნა ფულადი პრემიებით.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებით დამტკიცდა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობა. აღნიშნული დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად განისაზღვრა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები, მათ შორის – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის – 560 ლარი. შესაბამისად, მოსარჩელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 560 ლარს. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №25 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №05 დადგენილებაში და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ყოველთვიურად განისაზღვრა 650 ლარით.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 10 ოქტომბრის №1167 ბრძანებით „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელეების გაფრთხილების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა პროფესიულ მოხელეს ეცნობა – თელავის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გათავისუფლების შესახებ, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მათი მობილობა.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №51 განკარგულებით დამტკიცდა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა, რომლის თანახმადაც, მოსარჩელის თანამდებობა განისაზღვრა – მესამე რანგი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №13 განკარგულებით დამტკიცდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №28 განკარგულებით „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესა-

ხებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №13 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილება დანართის შესაბამისად. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური ჩამოყალიბდა სამი განყოფილებით: 1) ინფრასტრუქტურის განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 6 საშტატო ერთეულით, მათ შორის – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულით; 2) სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 4 საშტატო ერთეულით, მათ შორის – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულით; 3) ძეგლთა დაცვის განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 3 საშტატო ერთეულით, მათ შორის – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულით.

2018 წლის 28 ნოემბრის აქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის მერმა გაუქმებული მუნიციპალიტეტების მერიის და გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელეების ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში მობილობის მიზნით განახორციელა გასაუბრება პროფესიულ საჯარო მოხელეებთან. აქტის თანახმად, მერის გადაწყვეტილებით, თელავის მუნიციპალიტეტის მოქმედი საშტატო ნუსხის რაოდენობიდან გამომდინარე და შესაბამისი კომპეტენციების და უნარების არქონის გამო დ. გ-ეის მიმართ ვერ განხორციელდა მობილობა პოზიციისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების და გამოცდილების არქონის გამო.

2017 წლის 19 დეკემბერს თელავის მუნიციპალიტეტის მერმა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს გადაუგზავნა მობილობით გადაყვანილ თანამშრომელთა სია და ასევე, იმ საჯარო მოხელეების სია, რომელთა მობილობაც ვერ განხორციელდა შესაბამისი ტოლფასი თანამდებობის ან უფრო დაბალი თანამდებობების არარსებობის გამო. აღნიშნული წერილის დანართში რეორგანიზაციის დროს გათავისუფლებულ მოხელეთა სიაში, რომელთა მობილობაც ვერ იქნა განხორციელებული, ასევე მითითებულია დ. გ-ე რანგისა და თანამდებობის მითითებით.

სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2018 წლის 4 იანვრის წერილით თელავის მუნიციპალიტეტის მერს გადაეგზავნა ბიუროს მიერ საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემიდან მოძიებული ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე შესახებ.

თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 8 იანვრის მი-



მართველის პასუხად თელავის მუნიციპალიტეტის მერს სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანის მუნიციპალიტეტების მერიიდან და საკრებულოდან, ასევე, გურჯაანის რაიონული სასამართლოდან ეცნობა ვაკანტური ადგილების არარსებობის შესახებ.

თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანებით მობილობის შეუძლებლობის გამო გაუქმებული მუნიციპალიტეტის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ი დ. გ-ე ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით და მიეცა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მხარეთა ახსნა-განმარტებებით და საშტატო ნუსხებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური ჩამოყალიბდა სამი განყოფილებით: მათ შორის – სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 4 საშტატო ერთეულით, მათ შორის – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულით; აღნიშნული შტატის ფუნქციური დანიშნულება არის იგივე, რასაც მოსარჩელე იკავებდა რეზერვში ჩარიცხვამდე. შესაბამისად, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი არ გაუქმებულა და შტატის ფუნქციური დანიშნულება არ შეცვლილა და მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა არის მესამე რანგის მეორე კატეგორიის ტოლფასი. ასევე, ახსნა-განმარტებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ გამოუთქვამს წერილობითი ან ზეპირი თანხმობა მის მობილობაზე და არც შეთავაზება არ ყოფილა მის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, არც ტოლფას და არც უფრო დაბალ თანამდებობაზე, ასევე, არ გამოუთქვამს წერილობითი ან ზეპირი თანხმობა მის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვასა და კომპენსაციის მიღებაზე. მოსარჩელის განმარტებით, მისთვის საბანკო ანგარიშზე დარიცხული თანხა მან მიიღო და აღიქვა როგორც სამი თვის ხელფასი, რომელიც მოპასუხეს არ ჰქონდა მისთვის ანაზღაურებული 2017 წლის ნოემბრის თვიდან. მოსარჩელის განმარტებით, რაც არ უარყო მოპასუხე მხარემ, აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნული იქნა ისეთი პირი, რომელიც არ ყოფილა შესაბამის სამსახურში მომუშავე პირი და მანამდე არქიტექტურის სამსახურთან შეხება არ ჰქონია. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელისათვის არ ყოფილა შეთავაზებული დაბალი ან ტოლფასი თანამდებობა. მოპასუხე მხარემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა რეორგანიზაციის, ლიკ-

ვიდაციის ან გაუქმების შესახებ წერილობით გამოცემულ ბრძანებას, ასევე, მოსარჩელის მიერ დაკავებული პოზიციის შტატის ფუნქციური დანიშნულების შეცვლას, ამჟამად შტატზე სამუშაო აღწერილობის ფორმას, როგორც იყო დამტკიცებული გამგეობაში მოსარჩელის მუშაობის პერიოდში, საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმების შემოღებას ანდა კრიტერიუმის ცვლილებას, მოსარჩელის მიერ გამოთქმულ თანხმობას მობილობაზე, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვასა და კომპენსაციის აღებაზე. მოპასუხე მხარის განმარტებით, ასეთი მტკიცებულებები ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ორგანულ კანონზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე“, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში. 2. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. 3. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. ამავე კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების საფუძველია: ა) მუნიციპალიტეტის გაყოფა ორ ან მეტ მუნიციპალიტეტად; ბ) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტის გაერთიანება ერთ მუნიციპალიტეტად. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ამოქმედდება მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგი არჩევნების დანიშნის დღეს და შესაბამის მუნიციპალიტეტში არჩევნები გაიმართება მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგ არჩევნებთან ერთად. ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს პირველ შეკრებამდე და მუნიციპალიტეტის მერის არჩევამდე შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება არჩევნებამდე არსებული საკრებულოს და მერის უფლებამოსილებანი. ამავე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დადგენისა და შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს საქართველოს მთავრობის წარდგინებით, დადგენილებით იღებს საქართველოს პარლამენტი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის №987-III დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ქალაქი თელავი და თელავის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა ერთ თვითმმართველ ერთეულად – თელავის

მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქალაქი თელავი.

სასამართლომ აქვე მიუთითა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 აგვისტოს №416 დადგენილების პირველ მუხლზე, რომლითაც განიმარტა: ა) გასაუქმებელი მუნიციპალიტეტი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2017 წელს გასაუქმებელი მუნიციპალიტეტი; ბ) ახალი მუნიციპალიტეტი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2017 წელს გასაუქმებელი მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად შესაქმნელი მუნიციპალიტეტი. ამავე დადგენილებით განმარტებულია, რომ ახალი მუნიციპალიტეტი არის უფლებამონაცვლე გაერთიანებული გასაუქმებელი მუნიციპალიტეტებისა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და განმარტა, რომ 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოხდა ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანება და ერთ მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბება, რომლის თანახმად ჩამოყალიბდა თელავის მუნიციპალიტეტი და იგი არის გაერთიანებული მუნიციპალიტეტების უფლებამონაცვლე და არა სრულიად ახალი მუნიციპალიტეტი, როგორც ამას მოპასუხე მერია მიუთითებს წერილობით შესაგებელში. შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის მერია სრულიად ახალი ორგანიზაციული წარმონაქმნი არ არის, თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა, იგი კვლავ იმ ფუნქცია-მოვალეობებისა და მიზნების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, უფლებამონაცვლე – თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ექნა ჩარიცხული მოხელეთა რეზერვში. ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ არ მიღებულა და გამოცემულა წერილობითი სახის გადაწყვეტილება.

სასამართლომ მოხელის შეფასებასთან დაკავშირებით მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლზე, ასევე მიუთითა „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის №417 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, 2017 წლის შექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებში/საკრებულოების აპარატებში მობილობის წესით

გადაყვანისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ წესის შესაბამისად განხორციელებული მოხელის შეფასების შედეგები.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციებზე დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგად დ. გ-ეს მიეცა შეფასება – კარგი.

სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. 2. მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობით სხვა საჯარო დაწესებულებაში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით. 3. დაუშვებელია მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობით გადასვლა სხვა საჯარო დაწესებულებაში არსებულ იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომლის დასაკავებლადაც დაწყებულია ამ კანონის 34-ე და 48-ე მუხლებით განსაზღვრული პროცედურები. 4. მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია. 5. თუ მოხელე უარს განაცხადებს შეთავაზებული მობილობით სარგებლობაზე, იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ამავე კანონის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა.

ამავე კანონის 103-ე მუხლის თანახმად, რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დაწესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად არ ჩაითვლება საჯარო დაწესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და საჯარო დაწესებულების

სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება. 2. ლიკვიდაცია არის საჯარო დაწესებულების გაუქმება. 3. შერწყმა არის ორი ან ორზე მეტი საჯარო დაწესებულების ფუნქციებისა და ამოცანების ერთ საჯარო დაწესებულებაში გაერთიანება.

ამავე კანონის 104-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საამისოდ უფლებამოსილი პირი. 2. საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბიუროს, საჯარო დაწესებულების მოხელეების ინტერესებიდან გამომდინარე.

ამავე კანონის 105-ე მუხლის თანახმად, თუ მოხელის მობილობა ვერ განხორციელდა, იგი სურვილის შემთხვევაში მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. 2. მოხელეთა რეზერვში ირიცხება ასევე მოხელე, რომელიც პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით თავისუფლდება თანამდებობიდან. 3. მოხელე მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით ირიცხება. 4. მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ მოხელეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ამ კანონით დადგენილი წესით საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით გამოცხადებულ დახურულ კონკურსში. 5. მოხელეთა რეზერვში ჩარიცხული მოხელის მიერ შრომითი საქმიანობის დაწყება არ იწვევს რეზერვიდან მის ვადაზე ადრე ამორიცხვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის კონკურსის საფუძველზე საჯარო დაწესებულებაში მოხელის თანამდებობაზე დაინიშნება. 6. მოხელეთა რეზერვის მართვას ახორციელებს ბიურო.

ამავე კანონის 108-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს: ა) პირადი განცხადების საფუძველზე, გარდა ამ კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; ბ) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით; ამავე კანონის 114-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მოხელეს წერილობით უნდა ეცნობოს გათავისუფლებამდე 1 თვით ადრე.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცე-

ბულ „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესზე“.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებით „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელეების გაფრთხილების შესახებ“ მოსარჩელეს ეცნობა – თელავის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გათავისუფლების შესახებ, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მათი მობილობა. ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 114-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ 2017 წლის 19 დეკემბერს თელავის მუნიციპალიტეტის მერმა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს გადაუგზავნა რეორგანიზაციის დროს გათავისუფლებული დ. გ-ეის მონაცემი, რომლის მობილობაც ვერ იქნა განხორციელებული. ასევე, დადგენილია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 105-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები და „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი. ამავე ბრძანებაში მითითებულია, რომ მოსარჩელის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა მოხდა გაუქმებული თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელის მობილობის შეუძლებლობის გამო. დადგენილია, რომ შტატი, რომელზედაც მოსარჩელე მუშაობდა, არ გაუქმებულა (არ შემცირებულა) და ფუნქციური დანიშნულება არ შეცვლილა.

მითითებული სამართლებრივი ნორმებისა და მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დ. გ-ე არ წარმოადგენდა მობილობას დაქვემდებარებულ საჯარო მოხელეს. სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველო კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანაწესის თანახმად იმისათვის, რომ განხორციელდეს მობილობა, უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები ერთდროულად, კუმულაციურად: ა. უნდა არსებობდეს დანესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა დანესებულებასთან შერწყმა, ბ. რეორგანიზაციას, ლიკვიდაციას ან/და შერწყმას თან უნდა სდევდეს

შტატების შემცირება, გ. უნდა არსებობდეს შესაბამისი მოხელის თანხმობა.

განსახილველ შემთხვევაში კი სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არც ერთი კანონით დადგენილი კრიტერიუმი მოსარჩელის შემთხვევაში არ არსებობს. არ მომხდარა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია/გაუქმება, ასევე, არ მომხდარა საშტატო ერთეულის გაუქმება ან შემცირება, და არ არსებობს დ. გ-ის თანხმობა მობილობასთან დაკავშირებით. საშტატო ერთეული იგივე ფუნქციური დანიშნულებით ისევ არსებობს თელავის მუნიციპალიტეტის მერიიაში. ხოლო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა მუნიციპალიტეტების გაერთიანების შემდეგ, წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის საშტატო ერთეულს, სახელწოდება აქვს შეცვლილი, არ გულისხმობს, რომ საშტატო ერთეული იქნა გაუქმებული.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ ყურადღება მიაქცია შტატების შემცირებასა და მათ გაუქმებასთან დაკავშირებით არსებულ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-449-442(კ-15) გადაწყვეტილებაზე და 2016 წლის 11 თებერვლის №ბს-683-675(2კ-15) გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის თანამდებობა დღემდე არსებობს უწყებაში, თანამდებობაზე დანიშნული იქნა სხვა განყოფილებაში მომუშავე პირი, დაუსაბუთებელია, თუ რატომ იქნა გადაწყვეტილება მიღებული მოსარჩელის მობილობის შეუძლებლობის გამო მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შესახებ.

სასამართლომ აქვე ყურადღება მიაქცია აქტს, რომლის თანახმად, შესაბამისი კომპეტენციების და უნარების არქონის გამო დ. გ-ის მიმართ ვერ განხორციელდა მობილობა შესაბამისი კომპეტენციის და უნარ-ჩვევების არქონის გამო და აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, ასევე მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლზე, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის შტატი არსებობდა და არსებობს, არ შეცვლილა არც კრიტერიუმი, დაუსაბუთებელი და გაუგებარია, რის საფუძველზე მიიღო და გამოსცა თელავის მუნიციპალიტეტის მერმა 2017 წლის 28 ნოემბრის აქტი, რომლის თანახმადაც მოსარჩელის მიმართ დადგენილი იქნა შესაბამისი კომპეტენციის და უნარ-ჩვევების არქონა დაკავებულ თანამდებობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთმითითებული მსჯელობის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანება მობილობის შეუძლებლობის გამო დ. გ-ეის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე კომპენსაციის გაცემის შესახებ, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ჩარიცხვა მოხელეთა რეზერვში ფაქტობრივად უტოლდება მის სამსახურიდან გათავისუფლებას, ვინაიდან მოსარჩელე ვერ ახორციელებდა მისთვის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლების ფაქტობრივ რეალიზებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაკმაყოფილდა მოსარჩელის პირველი სასარჩელო მოთხოვნა – ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანება მობილობის შეუძლებლობის გამო დ. გ-ეის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე კომპენსაციის გაცემის შესახებ, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული სამუშაო ერთეულს შეეცვალა სახელწოდება – განსაზღვრულია როგორც თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ... და დღეის მდგომარეობით იგი არ არის ვაკანტური, უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის მეორე სასარჩელო მოთხოვნა და თელავის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაევალოს, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დ. გ-ე აღდგენილ იქნეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის (ამჟამად თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ...) თანამდებობაზე.

სასამართლოს მითითებით, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე უნდა დაევალოს დ. გ-ეის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის (შრომითი გასამრჯელოს) ანაზღაურება 2018 წლის 30 იანვრიდან სამსახურში მის აღდგენამდე.

თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი; უც-



ვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოხდა ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანება და ერთ მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბება, რომლის თანახმად ჩამოყალიბდა თელავის მუნიციპალიტეტი და იგი არის გაერთიანებული მუნიციპალიტეტების უფლებამონაცვლე და არა სრულიად ახალი მუნიციპალიტეტი, როგორც ამას მოპასუხე მერია მიუთითებს. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერია სრულიად ახალი ორგანიზაციული წარმონაქმნი არ არის, თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა, იგი კვლავ იმ ფუნქცია-მოვალეობებისა და მიზნების გამახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“. პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, უფლებამონაცვლე – თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით იქნა ჩარიცხული მოხელეთა რეზერვში. ასევე დადგენილია, რომ რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ არ მიღებულა და გამოცემულა წერილობითი სახის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციებზე დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგად დ. გ-ეს მიეცა შეფასება – კარგი.

სააპელაციო პალატა ასევე თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ შტატი, რომელზედაც მოსარჩელე მუშაობდა, არ გაუქმებულა (არ შემცირებულა) და ფუნქციური დანიშნულება არ შეცვლილა.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დ. გ-ე არ წარმოადგენდა მობილობას დაქვემდებარებულ საჯარო მოხელეს. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ არც ერთი კანონით დადგენილი კრიტერიუმი მოსარჩელის შემთხვევაში არ არსებობს; არ მომხდარა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია/გაუქმება, ასევე არ მომხდარა საშტატო ერთეულის

გაუქმება ან შემცირება, და არ არსებობს დ. გ-ის თანხმობა მობილობასთან დაკავშირებით. საშტატო ერთეული იგივე ფუნქციური დანიშნულებით ისევე არსებობს თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში. ხოლო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა მუნიციპალიტეტების გაერთიანების შემდეგ წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის საშტატო ერთეულს, სახელწოდება აქვს შეცვლილი, არ გულისხმობს, რომ საშტატო ერთეული იქნა გაუქმებული. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის თანამდებობა დღემდე არსებობს უწყებაში, თანამდებობაზე დანიშნული იქნა სხვა განყოფილებაში მომუშავე პირი, დაუსაბუთებელია, თუ რატომ იქნა გადაწყვეტილება მიღებული მოსარჩელის მობილობის შეუძლებლობის გამო მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის შესახებ.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის შტატი არსებობდა და არსებობს, არ შეცვლილა არც კრიტერიუმი, შესაბამისად, დაუსაბუთებელი და გაუგებარია, რის საფუძველზე მიიღო და გამოსცა თელავის მუნიციპალიტეტის მერმა 2017 წლის 28 ნოემბრის აქტი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული არ არის, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებაში არის ფაქტობრივი უსწორობაც.

კასატორის განმარტებით, 2018 წლის 30 იანვრის №55 ბრძანებით დ. გ-ე მობილობის შეუძლებლობის გამო ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში და მასზე გაიცა 3 თვის კომპენსაცია. მართალია, მოსარჩელეს არ გამოუთქვამს წერილობითი ან ზეპირი თანხმობა მის მობილობაზე და არც შეთავაზება არ ყოფილა მის მიმართ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არც ტოლფას ან უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია და დადასტურებულია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე დარიცხული 3 თვის კომპენსაცია მან მიიღო. კასატორის მოსაზრებით, დ. გ-ე თანხის აღებით ფაქტობრივად დაე-

თანხმა კომპენსაციის მიღებისა და რეზერვში ჩარიცხვის საკითხს და არ შეიძლება ზემოთხსენებული აღქმული იქნეს როგორც 2017 წლის ნოემბრის თვიდან გაუცემელი ხელფასი. კომპენსაცია „გაუცემელ ხელფასს“ ორნახევარჯერ აღემატება. აღნიშნული კი სასამართლოს მიერ არ იქნა სწორად გამოკვლეული და შეფასებული.

კასატორის მითითებით, მოსარჩელე 2018 წლის 30 იანვარს ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში, მისთვის ცნობილი იყო, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის გაერთიანების (შერწყმის) შედეგად ჩამოყალიბდა ერთი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი, ხოლო მერის უფლებამოსილების ცნობის დღიდან ახლად შექმნილ თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაყვანილ იქნენ გაუქმებული მუნიციპალიტეტებიდან საჯარო მოხელეები. მისთვის არანაირი დავალების ან მითითების მიცემა არ ხდებოდა, ვინაიდან აღნიშნულ განყოფილებაში გადაყვანილ იქნენ სხვა თანამშრომლები შესაბამისი განყოფილებებიდან.

კასატორი მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილების მე-12 მუხლით განსაზღვრულ მობილობის განხორციელების წესზე და განმარტავს, რომ სწორედ ხსენებული პროცედურების განხორციელება გახდა იმის მიზეზი, რომ რეზერვში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემას დასჭირდა დაახლოებით თვენახევარი, ამ დროისთვის ყველა ვაკანტური ადგილი უკვე შევსებული იყო და დ. გ-ისთვის ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შესახებაც გახლდათ ცნობილი, ამასთან, მობილობის პროცედურას თვენახევარი დასჭირდა, დ. გ-ის ანგარიშზე კი 3 თვის კომპენსაცია იყო დარიცხული.

ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ აღნიშნულ განყოფილებაში თანამშრომელთა გადაყვანა მოხდა გაუქმებული მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურებიდან. მოსარჩელის და სასამართლოს ყურადღება გამახვილდა 1 საშტატო ერთეულზე, რომელსაც დღეის მდგომარეობით იკავებს პროფესიული საჯარო მოხელე დ. ჯ-ე. სასამართლოს წინაშე, სასამართლოს დავალებით წარდგენილია თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 12 აგვისტოს №64 ბრძანება „დ. ჯ-ის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მონაცემების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის და სტატისტიკის განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ“, რაც კასატორის მოსაზრებით, ადასტურებდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ

დ. გ-ეს გარკვეულწილად შეხება ჰქონდა ზემოაღნიშნულ სამსახურთან.

კასატორი ასევე მიუთითებს საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის №987-II დადგენილებაზე, ასევე 2017 წლის 26 ივნისის №1251-რს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შეტანების შესახებ შესაბამისს დოკუმენტზე, 2017 წლის 31 აგვისტოს №416 დადგენილებაზე და აღნიშნავს, რომ კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, რომ შეიქმნა ახალი მუნიციპალიტეტი, ხოლო ძველი მუნიციპალიტეტი გაუქმდა, რაც გაზიარებულ არ იქნა სასამართლოს მიერ.

კასატორი მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მე-3 მუხლზე და აღნიშნავს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შემთხვევაში, სწორედ გაუქმებული მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურებიდან მოხდა მობილობით ახლად შექმნილ მუნიციპალიტეტში (აღნიშნული შეფასება ახალი მუნიციპალიტეტი – ნახსენებია ზემოთხსენებულ კანონსა და ნორმატიულ აქტებში) პროფესიულ საჯარო მოხელეთა გადაყვანა. „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №13 განკარგულების თანახმად მოხდა სამტატო ნუსხით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის შემცირება, რის გამოც გარკვეული ნაწილი პროფესიული საჯარო მოხელეების ჩარიცხულ იქნენ რეზერვში და მათზე გაიცა შესაბამისი კომპენსაცია, მათ შორის იყო დ. გ-ეც. კასატორისთვის აღსანიშნავია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ მის პოზიციაზე კონკურსი არ გამოცხადებულა, ხოლო რაც შეეხება თელავის მუნიციპალიტეტის ვაკანტურ ადგილებს სხვადასხვა განყოფილებებში, გამოცხადებულ იქნა ღია კონკურსი და დ. გ-ეს თავისუფლად შეეძლო მონაწილეობა მიეღო და ნება დაეფიქსირებინა, რაც არ გაუკეთებია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 სექტემბრის განჩინებით თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 თებერვლის №135 ბრძანებით დ. გ-ე დაინიშნა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის პოზიციაზე.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 აპრილის №429 ბრძანებით დ. გ-ე გადაყვანილი იქნა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის პოზიციაზე.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 29 ივნისის №610 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 30 აპრილის №429 ბრძანებაში და დ. გ-ის თანამდებობის დასახელება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: უფროსი სპეციალისტი – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგად დ. გ-ეს მიეცა შეფასება – „კარგი“.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 13 მაისის №476 და 2016 წლის 21 იანვრის №231 ბრძანებების შესაბამისად, დაკისრებული სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის დ. გ-ე ნახალისებული იქნა ფულადი პრემიებით.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №16 დადგენილებით დამტკიცდა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობა. აღნიშნული დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად განისაზღვრა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები, მათ შორის – მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა – 560 ლარი. შესაბამისად, მოსარჩელის ყოველთვიური თანამდებობრი-

ვი სარგო შეადგენდა 560 ლარს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №25 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №05 დადგენილებაში და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ყოველთვიურად განისაზღვრა 650 ლარით.

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელეების გაფრთხილების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 10 ოქტომბრის №1167 ბრძანებით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა პროფესიულ საჯარო მოხელეს ეცნობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გათავისუფლების შესახებ, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მათი მობილობა.

2017 წლის 28 ნოემბრის აქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის მერმა გაუქმებული მუნიციპალიტეტების მერიის და გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელეების ახლადშექმნილი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში მობილობის მიზნით განახორციელა გასაუბრება პროფესიულ საჯარო მოხელეებთან. აქტის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის მოქმედი სამტატო ნუსხის რაოდენობიდან გამომდინარე და შესაბამისი კომპეტენციების და უნარების არქონის გამო, მერის გადაწყვეტილებით, დ. გ-ეის მიმართ ვერ განხორციელდა მობილობა საჭირო გამოცდილებისა და უნარების არქონის გამო.

თელავის მუნიციპალიტეტის მერმა 2017 წლის 19 დეკემბერს სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს გადაუგზავნა მობილობით გადაყვანილ თანამშრომელთა სია და ასევე, იმ საჯარო მოხელეების სია, რომელთა მობილობაც ვერ განხორციელდა შესაბამისი ტოლფასი თანამდებობის ან უფრო დაბალი თანამდებობების არარსებობის გამო. აღნიშნული წერილის დანართში რეორგანიზაციის დროს გათავისუფლებულ მოხელეთა სიაში, რომელთა მობილობაც ვერ იქნა განხორციელებული, ასევე მითითებულია დ. გ-ე რანგისა და თანამდებობის მითითებით.

სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2018 წლის 4 იანვრის წერილით თელავის მუნიციპალიტეტის მერს გადაეგზავნა ბიუროს მიერ საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემიდან მოძიებული ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის შესა-

ხებ.

თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 8 იანვრის მიმართების პასუხად თელავის მუნიციპალიტეტის მერს სილნალის, ყვარლის, გურჯაანის მუნიციპალიტეტების მერიიდან და საკრებულოდან, ასევე, გურჯაანის რაიონული სასამართლოდან ეცნობა ვაკანტური ადგილების არარსებობის შესახებ.

თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 სადავო ბრძანებით მობილობის შეუძლებლობის გამო გაუქმებული მუნიციპალიტეტის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ი დ. გ-ე ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით და მიეცა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №55 სადავო ბრძანება წინააღმდეგობაშია როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებულ „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესთან“. მისთვის შესაბამისი თანამდებობის შეთავაზების გარეშე მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვით დარღვეულია მობილობის წესი. ამდენად, განსახილველი სამართალურთიერთობის ფარგლებში სადავო გახდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მობილობის კანონიერება.

„გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის №987-III დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ქალაქი თელავი და თელავის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა ერთ თვითმმართველ ერთეულად – თელავის მუნიციპალიტეტად და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქალაქი თელავი. „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ 26.07.2017წ. საქართველოს ორგანული კანონის 2.3 მუხლის მიხედვით განისაზღვრა, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ არჩეულმა მუნიციპალიტეტების მერებმა/საკრებულოების თავმჯდომარეებმა საჯარო სამსახურის ბიუროსთან კოორდინაციით უზრუნველყონ 2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების საჯარო მოსამსახურეთა მობილობის წესით გადაყვანა 2017 წელს შექმნილ შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებში/საკრებულოების აპარატებში. 2.4 მუხლის თანახმად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, საქართველოს პარლამენტის 2017 წლის დადგე-

ნილებით შექმნილი მუნიციპალიტეტების (თვითმმართველი თემების) საკრებულოების მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებადღე ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე მოქმედებს იმ თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა გაერთიანების შედეგადაც შეიქმნა ახალი მუნიციპალიტეტები. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 10.1 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების საფუძველია: ა) მუნიციპალიტეტის გაყოფა ორ ან მეტ მუნიციპალიტეტად; ბ) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტის გაერთიანება ერთ მუნიციპალიტეტად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103.3 მუხლის თანახმად, შერწყმა არის ორი ან ორზე მეტი საჯარო დაწესებულების ფუნქციებისა და ამოცანების ერთ საჯარო დაწესებულებაში გაერთიანება. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის ნესის“ 7.1 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულების სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა გულისხმობს ორი ან ორზე მეტი საჯარო დაწესებულების ფუნქციებისა და ამოცანების ერთ საჯარო დაწესებულებაში გაერთიანებას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებას იმ ნაწილში, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა. მითითება მასზედ, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა, არ შეესაბამება თავად ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ იმ გარემოებას, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მოხდა ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანება და ერთ მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბება, რომლის თანახმად ჩამოყალიბდა თელავის მუნიციპალიტეტი.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონმა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მის სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისას, საჯარო სამსახურის სტაბილურობისა და მოხელეთა უფლებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად შემოიტანა მობილობის ინსტიტუტი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თა-



ნამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 105.1 მუხლიც მოხელის რეზერვში ჩარიცხვას იმ შემთხვევაში ადგენს, როდესაც მოხელის მობილობა ვერ განხორციელდა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცდა „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი“, რომელმაც განსაზღვრა საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი და პირობები, მობილობის პროცესში ჩართული სუბიექტების უფლებამოსილების განხორციელების საკითხები. ეს წესი ასევე არეგულირებს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმისა და მოხელის რეზერვთან დაკავშირებულ საკითხებს (პირველი მუხ.). დასახელებულმა მობილობის წესმა მობილობის მიზნები დაუკვირა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირების შედეგად თანამდებობიდან გასათავისუფლებელ პროფესიულ საჯარო მოხელეთა დასაქმების უზრუნველყოფას, საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრებისა და საჯარო სამსახურის სტაბილურობის შენარჩუნებას (მე-2 მუხ.). მობილობის წესის მე-12 მუხლით განერილია მობილობის პროცედურები; ხოლო მე-13 მუხლი ეხება მოხელეთა რეზერვს, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52.4 მუხლისა და 105.1 მუხლის მსგავსად, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვას მობილობის შეუძლებლობას უკავშირებს. სადავო მობილობის განხორციელების დროს მოქმედი რედაქციით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მე-13 მუხლი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე, 105-ე მუხლები პირდაპირ და არაორაზროვნად მიუთითებს მობილობის პროცესში მოხელის რეზერვში ჩარიცხვის შესაძლებლობას მხოლოდ მის მიმართ მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ დახვეწისა და არსე-

ბული ბუნდოვანებების აღმოფხვრის მიზნით, მობილობის პროცედურების განსაზღვრულობისა და სიცხადის თვალსაზრისით, მობილობის წესში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მაისის №315 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტდა და ნათლად განისაზღვრა რიგი საკითხები.

მობილობის წესში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია მე-12 მუხლის ახლად ჩამოყალიბებული რედაქცია, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელი მოხელის მობილობა განახორციელოს იმავე საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის ან მოხელის თანხმობის არარსებობისას – სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა საჯარო დაწესებულებაში ვერ განხორციელდა პირის მობილობა ტოლფას თანამდებობაზე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოხელის მობილობა განახორციელოს იმავე საჯარო დაწესებულებაში დაბალ თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის ან მოხელის თანხმობის არარსებობისას – სხვა საჯარო დაწესებულებაში დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. ხოლო აღნიშნული წესის მე-13 მუხლი მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვას კვლავ მობილობის შეუძლებლობას უკავშირებს.

„პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესში“ განხორციელებულმა ცვლილებებმა ცხადყო კანონმდებლის ნება მობილობის წესის განხორციელების პროცესში, დააზუსტა და ხაზი გაუსვა მობილობის მიზნებსა და არსს. თუმცა, როგორც საკანონმდებლო ცვლილებებამდე, ასევე ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული რედაქციით ცალსახაა მობილობის უმთავრესი პრინციპი – გასათავისუფლებელი მოხელისთვის ტოლფასი თანამდებობის მოძიება და შეთავაზება, დასახელებული „წესით“ განსაზღვრული მობილობის პროცედურის სათანადო განხორციელება და მოხელის რეზერვში ჩარიცხვა მხოლოდ მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამდენად, მობილობის მიზნებისა და არსის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას, თავდაპირველად ხდება მოხელისთვის ტოლფასი თანამდებობის მოძიება და შეთავაზება, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლითა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მე-12 მუხლით

დადგენილი წესით მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება მოხელის რეზერვში ჩარიცხვა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მუნიციპალიტეტის გაერთიანებამდე მოსარჩელე დ. გ-ე იკავებდა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის თანამდებობას, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №51 განკარგულებით დამტკიცებული თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის მიხედვით კი, აღნიშნული თანამდებობისთვის განსაზღვრული იყო 4 საშტატო ერთეული, ხოლო საშტატო ერთეულთა სრული რაოდენობა – 134 ერთეულით. მუნიციპალიტეტების გაერთიანებამდე კი მერიაში საშტატო ერთეულთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 80 ერთეულით.

ამასთან, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №13 განკარგულებით დამტკიცდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №28 განკარგულებით „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №13 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილება დანართის შესაბამისად. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური ჩამოყალიბდა სამი განყოფილებით: 1) ინფრასტრუქტურის განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 6 საშტატო ერთეულით, მათ შორის – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულით; 2) სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 4 საშტატო ერთეულით, მათ შორის – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულით; 3) ძეგლთა დაცვის განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 3 საშტატო ერთეულით, მათ შორის – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულით. ახალშექმნილი მუნიციპალიტეტის საშტატო ნუსხა კი განისაზღვრა 182 ერთეულით.

ამასთან, მხარეთა ახსნა-განმარტებებით და საშტატო ნუსხებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საშტატო ერთეულის ფუნქციური დანიშნულება არის იგივე, რასაც მოსარჩელე იკავებდა რეზერვში ჩარიცხვამდე. იმ გარემოებას, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის თანამდებობის ტოლფასს მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად თელავის მუნიციპალი-

ტეტის მერიის ...ის თანამდებობა წარმოადგენდა, არ უარყოფს არც კასატორი.

აღსანიშნავია, რომ სადავო მობილობის განხორციელებისას კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ტოლფასი თანამდებობის დეფინიციას. ტოლფასი თანამდებობის შეფასებას ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები განსაზღვრავდა. ტოლფასი ყოველთვის იდენტურს არ გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდებოდა ტოლფასი თანამდებობის რეალური მოძიება ახლად შექმნილ, რეორგანიზაციას დაქვემდებარებულ დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესში“ განხორციელებული ცვლილებებით ერთიანი მიდგომების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა ტოლფასი თანამდებობის დეფინიცია, რომლის თანახმად, ტოლფასი თანამდებობა წარმოადგენს იმავე რანგისა და კატეგორიის თანამდებობას, რომლის სამუშაო აღწერილობა/ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები იდენტურია ან უმეტესწილად მსგავსია (მობილობის წესის 3.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ კასატორი არ უთითებს მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული შტატის ახალ, განსხვავებულ ფუნქციებზე, მის დასაკავებლად დადგენილ განსხვავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე ან რაიმე ისეთ გარემოებაზე, რაც გამოორიცხავდა დ. გ-ისთვის აღნიშნული თანამდებობის შეთავაზებას.

ამდენად, საქმის მასალების მიხედვით, თვითმმართველი ქალაქ თელავისა და თელავის მუნიციპალიტეტის ერთ თვითმმართველ ერთეულად – თელავის მუნიციპალიტეტად გაერთიანების შემდეგ დამტკიცდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, რომლითაც შემცირდა როგორც თანამშრომელთა საერთო რაოდენობა, ასევე შემცირება შეეხო მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანამდებობასაც – მუნიციპალიტეტების გაერთიანებამდე თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობისთვის განსაზღვრული იყო 4 საშტატო ერთეული, ხოლო ახალშექმნილ მუნიციპალიტეტში სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილებაში გათვალისწინებულია მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული. შესაბამისად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად მიუთითეს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის თანამდებობა არ შემცირებულა. თუმცა, საქმეზე არსებული უდავო ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასების მიუხედავად, სადავო ბრძანების კანონიერების შეფასების ნაწილში ქვედა ინსტანციის სასამარ-

თლოებმა არსებითად სწორად გადაწყვიტეს დავა. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების მიხედვით ადასტურებს დ. გ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის შემცირების ფაქტს, რის შედეგადაც ადმინისტრაციული ორგანოს დღის წესრიგში დადგა მობილობის წესის განხორციელება, რისი სათანადოობა და კანონთან შესაბამისობაც მოსარჩელის მიერ სადავოდ არის ქცეული მოცემული სამართალურთიერთობის ფარგლებში, რამდენადაც დ. გ-ე წარმოადგენდა მობილობას დაქვემდებარებულ პირს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენადაც მოსარჩელე დ. გ-ეს მუნიციპალიტეტების გაერთიანებამდე ეკავა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის თანამდებობა, რომლის ტოლფას თანამდებობას ახლად ჩამოყალიბებულ მუნიციპალიტეტში ...ის თანამდებობა წარმოადგენდა, აღნიშნული ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა მობილობის პროცესი განხორციელებინა კანონის დაცვით, მისი არსისა და მიზნების გათვალისწინებით და ტოლფასი თანამდებობის არსებობისას, მობილობის წესის დარღვევით, მობილობის პროცედურა არ დაენყო პირდაპირ გარე მობილობის წესების ამოქმედებით. ადმინისტრაციულმა ორგანომ სამართალწარმოების ვერც ერთ ეტაპზე ვერ დაადასტურა, რომ დ. გ-ისთვის შეთავაზებულ იქნა მისი თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა, უფრო მეტიც, საკასაციო საჩივარში თავად ადასტურებს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელისთვის არც ტოლფას და არც უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა არ შეუთავაზებია, რითაც დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის მოთხოვნა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ახალშექმნილ მუნიციპალიტეტში ...ის თანამდებობაზე დანიშნულ იქნა სხვა განყოფილებაში მომუშავე პირი. იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ მოხელეს გარკვეულწილად შეხება ჰქონდა ზემოაღნიშნულ სამსახურთან, კასატორი ასაბუთებს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 12 აგვისტოს №64 ბრძანებაზე მითითებით, რომლითაც იგი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის და სტატისტიკის განყოფი-

ლებაში მთავარი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებლად იყო დანიშნული. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მობილობის წესის შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უპირველესყოვლისა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად შექმნილი თანამდებობის გამოყენება მობილობის მიზნებისათვის, რა დროსაც მობილობის განხორციელების პროცესში კონკრეტულ თანამდებობაზე სათანადო კანდიდატურის შერჩევისას თავდაპირველად ის მოხელეები ერთვებიან მობილობის პროცესში, რომელთა შემცირებული შტატების ტოლფას თანამდებობას წარმოადგენს დასაკავებელი პოზიცია.

ამასთან, საქმის მასალების მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში დ. გ-ის მობილობის შეუძლებლობას საფუძვლად დაედო პროფესიულ საჯარო მოხელეებთან გასაუბრების შედეგად თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დ. გ-ის საჭირო გამოცდილებისა და უნარების არქონის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის №417 დადგენილებით დამტკიცდა „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესი“, რომელიც ადგენს 2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების ორგანოებში პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების ზოგად პრინციპებსა და შეფასების პროცედურებს. ამ წესის მიზანია 2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტის მოხელეთა ცოდნის, გამოცდილების, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებთან და 2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების შესაბამის ორგანოებში მათი მობილობის წესით გადაყვანის შესახებ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესითა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციების გარდა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის დადგენილებით გაინერა მობილობის განხორციელებისას მუნიციპალიტეტების მიერ სახელმძღვანელო სპეციალური წესი, რომლის მიხედვით, შეფასება წარმოებს კანონიერების, სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და ინტერესთა შეუთავსებლობის დაუშვებლობის პრინციპების დაცვით (მე-2 მუხ.). მოხელის შეფასებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოში შექმნილი მოხელის შეფასების კომისია (3.1 მუხლი). დასახელებული წესით დად-

გენილია კომისიის ფორმირების წესი (მე-3 მუხლი) და უფლება-მოვალეობები (მე-5 მუხლი). თავის მხრივ, დასახელებული წესით უზრუნველყოფილია მოხელის უფლება გაეცნოს მის მიმართ შედგენილ უშუალო ხელმძღვანელის დახასიათებას, ხოლო უშუალო ხელმძღვანელის არარსებობის შემთხვევაში – ზემდგომი თანამდებობის პირის დახასიათებას და, სურვილის შემთხვევაში, გასაუბრებამდე წერილობით წარუდგინოს კომისიას თვითშეფასება. ამასთან, შესაფასებელი მოხელე ვალდებულია, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგინოს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან. შესაფასებელმა მოხელემ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს შეუშლის შეფასების პროცესის ობიექტურად განხორციელებას (მე-4 მუხლი). შეფასებას ექვემდებარება მოხელე ან/და მის მიერ შესრულებული სამუშაო. შეფასება ხდება კომისიის მიერ მოხელესთან გასაუბრებით, რომლის დროსაც ფასდება მოხელის ფუნქციები, კომპეტენციები, გამოცდილება, ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები. მოხელის კომპეტენციები ფასდება, ამ წესის დანართით გათვალისწინებული ცხრილის შესაბამისად, მოხელის უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული მოხელის დახასიათების ან უშუალო ხელმძღვანელის არარსებობის შემთხვევაში – ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ შევსებული დახასიათების შინაარსის გათვალისწინებით. შესაფასებელი მოხელის უშუალო ხელმძღვანელის ან უშუალო ხელმძღვანელის არარსებობის შემთხვევაში – ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ მოხელის კომპეტენციების დახასიათება კომისიას წარედგინება გასაუბრებამდე. მოხელის გასაუბრების პროცესს ესწრება მოხელის უშუალო ხელმძღვანელი (მე-6 მუხლი). შეფასებისას კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) საუკეთესო შეფასება – შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და გააჩნია უფრო მაღალი თანამდებობისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები; ბ) კარგი შეფასება – შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; გ) არაადაეკმაყოფილებელი შეფასება – არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. შესაფასებელი მოხელის მიერ შეფასებაზე უარის თქმა ან გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა კომისიის მიერ ფასდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. ოქმი უნდა შეიცავდეს თითოეული კანდიდატის შეფასების შესახებ კომისიის წევრთა დასაბუთებულ გადაწყვეტილებას (მე-7 მუხლი). დასახელებული წესის 8.3 მუხლი ადგენს, რომ 2017 წელს შექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებში/საკრებულოების აპარატებში მობილობის

წესით გადაყვანისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ წესის შესაბამისად განხორციელებული მოხელის შეფასების შედეგები.

ამდენად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის №417 დადგენილებით დამტკიცებული წესი მობილობის პროცესში წარმოადგენს სპეციალურ სამართლებრივ აქტს 2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასებისას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის №417 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესის“ საფუძველზე განხორციელებული შეფასების მიხედვით, მოსარჩელის – დ. გ-ის შეფასების შედეგს წარმოადგენდა „კარგი“, რაც მითითებული წესის მე-7 მუხლის თანახმად, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. დასახელებული წესის 8.3 მუხლი კი ადგენს, რომ მობილობის წესით გადაყვანისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ წესის შესაბამისად განხორციელებული მოხელის შეფასების შედეგები. მობილობის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის გამოსარიცხად, ამგვარი შესაბამისობის დადგენა არა მერის შინაგან რწმენას და პირად მოსაზრებებს, არამედ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის №417 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესის“ მიხედვით მოხელის შეფასებით უნდა განისაზღვროს, რაც დ. გ-ის შემთხვევაში „კარგ“ შეფასებას წარმოადგენდა, ხსენებული წესის 8.3 მუხლის მიხედვით კი, მობილობის წესით გადაყვანისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სწორედ აღნიშნული შეფასებები. შესაბამისად, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული ორგანოს მითითება დ. გ-ის საჭირო გამოცდილებისა და უნარების არქონასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციებზე დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგად დ. გ-ეს მიეცა შეფასება – „კარგი“, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 13 მაისის №476 და 2016 წლის 21 იანვრის №231 ბრძანებების მიხედვით, დაკისრებული სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის დ. გ-ე ნახალისებული იქნა ფულადი პრემიებით. ამასთან, არ დგინდება მოსარჩელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომის გამოყენება.

ამდენად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ დაარღვია მობილობის წესი, როდესაც დ. გ-ე ტოლფასი თანამდებობის შეთავა-



ზებისა და მობილობის პროცედურის სათანადოდ განხორციელების გარეშე ჩარიცხა მოხელეთა რეზერვში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ტოლფასი თანამდებობის მოსაძიებლად მიმართა ბიუროს, არ ადასტურებს მობილობის კანონით დადგენილი წესით განხორციელებას. მობილობის პროცედურები უნდა განხორციელდეს არა ფორმალურად, არამედ მობილობის წესით დასახული მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად. ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ დ. გ-ის რეზერვში ჩარიცხვა განხორციელდა კანონით განსაზღვრული მობილობის წესის დარღვევით. მოხელის რეზერვში ჩარიცხვა ხდება მხოლოდ მობილობის პროცედურის წარუმატებლად დასრულების შემდგომ („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52.4, 105.1 მუხ.). მოცემულ შემთხვევაში კი მობილობის პროცედურა კანონით დადგენილი წესით არ განხორციელებულა.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ძირითადად ეფუძნება დ. გ-ისთვის კომპენსაციის ჩარიცხვის ფაქტს, რაზე დაყრდნობითაც კასატორი გამორიცხავს წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დ. გ-ის მიმართ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია მობილობის პროცედურა, მობილობის წესის დაცვით არ განხორციელებულა მისთვის ტოლფასი თანამდებობის მოძიება და შეთავაზება, რის გამოც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო აქტის კანონიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს მოსარჩელისთვის კომპენსაციის ჩარიცხვა/არ ჩარიცხვის ფაქტი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დ. გ-ემ კანონით დადგენილი წესით სადავოდ გახადა მობილობის შეუძლებლობის გამო დ. გ-ის მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვისა და მასზე კომპენსაციის გაცემის შესახებ ბრძანება.

ამასთან, თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დ. გ-ე აღდგენილ იქნეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის (ამჟამად თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის) თანამდებობაზე.

საქმეზე სადავო გარემოებას არ წარმოადგენს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობაზე თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადაყვანილ იქნა სხვა პირი და საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნული პოზიცია ვაკანტური არ იყო. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიუხედავად, აღნიშნულზე მიუთითებს თავად რაიონული სასამართლოც და განმარტავს, რომ აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური არ იყო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონმა განსხვავებით მანამდე მოქმედი კანონისგან, გამოიცილა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენისას სადავო თანამდებობაზე დანიშნული პირის გათავისუფლება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ მიუთითებდა არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობაზე. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ამგვარი საფუძველი გათვალისწინებული არ არის ამჟამად მოქმედი კანონით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლი ადგენს და განსაზღვრავს უკანონოდ გათავისუფლებული პირის თანამდებობაზე აღდგენის პროცედურას და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს სადავო თანამდებობის ვაკანტურობის ფაქტს. სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი გამოიცილავს სასამართლოს მიერ იმავე თანამდებობაზე პირის აღდგენას. მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ამჟამად მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლზე მითითებით სამსახურში აღდგენის საკითხის შეფასება მართებულად მოახდინა სათანადო ნორმის საფუძველზე, სამოტივაციო ნაწილში მართებულად მიუთითა 118-ე მუხლით გათვალისწინებულ სამსახურში აღდგენის პროცედურაზე, თუმცა მიღებული გადაწყვეტილებით საქმის რეალური, იმჟამად არსებული გარემოებების გათვალისწინებლად, 118-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველად დ. გ-ე აღდგენილ იქნა არავაკანტურ თანამდებობაზე, რის გამოც ერთგვარი წინააღმდეგობა შეიქმნა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილსა და სარეზოლუციო ნაწილს შორის. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლი გამოიცილავს სასამართლოს მიერ პირდაპირ თანამდებობაზე აღდგენას ასეთი თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების დროს. იმ შემთხვევაში

თუ სადავო თანამდებობა დაკავებული იყო სხვა მოხელის მიერ, 118-ე მუხლის მიხედვით დ. გ-ე ექვემდებარებოდა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას. მოცემული საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კი დგინდებოდა, რომ სადავო პოზიცია ვაკანტური არ იყო.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს დ. გ-ის აღდგენას არავაკანტურ თანამდებობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენადაც საქმის განხილვისას დადასტურებულია, რომ ვაკანტური არ არის ის თანამდებობა, რაზეც აღდგენილ იქნა დ. გ-ე, შესაბამისად, მოსარჩელე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მიხედვით ექვემდებარება ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამასთანავე, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევებს (თანამდებობის არარსებობის ან ამ თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების გამო). იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო საჯარო დაწესებულებამ უნდა მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირი ირიცხება მოხელეთა რეზერვში და მას ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო და კომპენსაცია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება გადაწყვეტილებას არავაკანტურ თანამდებობაზე დ. გ-ის აღდგენის ნაწილში და იზიარებს მოსარჩელის აღდგენის პროცედურას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მიხედვით ასევე მართებულად დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა დ. გ-ისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინება, რომლითაც უცვლელად

დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის (ამჟამად თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის) თანამდებობაზე დ. გ-ეის აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; დ. გ-ეის სარჩელი ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და დ. გ-ე აღდგენილ იქნეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის უფროსი სპეციალისტის ტოლფას თანამდებობაზე; დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის (ამჟამად თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის) თანამდებობაზე დ. გ-ეის აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. გ-ეის სარჩელი ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში დაკმაყოფილდეს და დ. გ-ე აღდგენილ იქნეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის უფროსი სპეციალისტის ტოლფას თანამდებობაზე;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმის  
დაკისრების სამართლებრივი საფუძველი**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-499(კ-19)

03 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე,  
მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
გ. გოგიაშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-ემ 28.11.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხის 06.11.2017წ. №140/განკ განკარგულების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 25.07.2017წ. №156/კ ბრძანებით და-  
ინიშნა სსიპ ...ო ფონდის ...ი ...ის ...ედ. 31.07.2017წ. ფონდის იურიდი-  
ული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის თა-  
ნამშრომელმა, რომელიც პასუხისმგებელია ფონდის თანამშრო-  
მელთა საკადრო საკითხების წარმოებაზე, მისი ...ის ...ის თანამდე-  
ბობაზე დანიშვნის ბრძანება ატვირთა „ადამიანური რესურსების  
მართვის ავტომატიზებულ სისტემაში“. ეს სისტემა არის საქართვე-  
ლოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამ-  
სახურის მიერ შექმნილი ელექტრონული სერვისი (პორტალი), რო-  
მელიც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში და-  
საქმებულ პერსონალთა ერთიან მონაცემთა ბაზას. „ადამიანური  
რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე“ წვდომა აქვს  
სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს, „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწე-  
სებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებუ-  
ლი სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ სა-  
ქართველოს მთავრობის 20.02.2012წ. №57 დადგენილების მე-7  
მუხლის თანახმად, კოორდინაციას და მონიტორინგს ახორციელებს  
ბიურო. მოსარჩელემ მიუთითა, რომ აღნიშნულის მიუხედავად სსიპ  
საჯარო სამსახურის ბიუროსაგან არ მიუღია დეკლარირების ერ-

თან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელი და პაროლი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარსადგენად. 10.11.2017წ. სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროდან მიიღო დაჯარიმების შესახებ 06.11.2017წ. განკარგულება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის. მოსარჩელის განმარტებით დეკლარაციის წარუდგენლობა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროდან არ მიუღია დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომელიც საფოსტო გზავნილის სახით ჩაბარდა 15.11.2017წ., ბიუროს ცხელ ხაზზე არაერთხელ დაკავშირებისა და მისთვის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოგზავნის მოთხოვნის შემდეგ. მოსარჩელის მოსაზრებით დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა და განკარგულება გამოიცა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.2018წ. გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. გ-ემ თანამდებობაზე განწესებიდან (2017 წლის 25 ივლისიდან) ორი თვის ვადაში არ შეავსო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაციისას მნიშვნელოვანია სამართლებრივი შეფასება მიეცეს მისი, როგორც არამართლზომიერი ქმედების შემადგენლობის განსაზღვრას. ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაცია დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის, სამართლის ნორმაში სწორედ ასეთად მიჩნეული ფაქტის, გარემოების სრულად და ზუსტად აღწერილთან თანადამთხვევაზე და შესაბამისობაზე, ანუ ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პირი ვალდებულია თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, აღნიშნული ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს ვალდებულებაზე, მია-

წოდოს ელექტრონულ სისტემაში შესვლისთვის და დეკლარაციის შევსებისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები, მიწოდება თავის მხრივ დამოკიდებულია საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლებული პირის წერილობით მიმართვაზე. არც საჯარო დაწესებულების უფლებამოსილ პირს და არც თანამდებობის პირს არ მიუმართავს კანონით დადგენილ ვადაში სსიპ საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროსათვის. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის თანახმად დეკლარაციის შესავსებად დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს, საჯარო სამსახურის ბიუროს გასცემს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან გათავისუფლებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ამრიგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოსაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიუღებლობის გამო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, საფუძველს არის მოკლებული. დადგენილია, რომ მოსარჩელემ კანონით განსაზღვრულ ვადაში და წესით არ წარადგინა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 06.11.2017წ. №140/განკ განკარგულება ნ. გ-ის დაჯარიმების შესახებ არ ეწინააღმდეგება კანონს და შესაბამისად, სახეზე არ არის ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველი, რის გამოც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.01.2019წ. გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.2018წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 06.11.2017წ. №140 განკარგულება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. გ-ის სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის სახეზე უნდა იყოს მოსარჩელის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ბრალი (მო-

სარჩელის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). ერთ-ერთი კომპონენტის არარსებობა გამორიცხავს პირის სამართალდამრღვევად მიჩნევასა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. გ-ემ თანამდებობაზე განწესებიდან (2017 წლის 25 ივლისიდან) ორი თვის ვადაში არ შეავსო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია, შესაბამისად, სახეზე არის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა ბრალის შეფასების გარეშე არ არის საკმარისი პირის სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის. განსახილველ შემთხვევაში საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დროულად წარუდგენლობაში ნ. გ-ეს არანაირი ბრალი არ მიუძღვის. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის პირობებს განსაზღვრავს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი. მითითებული ნორმის მე-10 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა წერილობით მიანოდოს ბიუროს ინფორმაცია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბიუროს უფროსი ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, რაც შესაძლებელია გახდეს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელისთვის ან საამისოდ უფლებამოსილი პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს არ ათავისუფლებს პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ინფორმაციის ბიუროსთვის მიწოდების ვალდებულებისაგან. იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ბიურო გასცემს დეკ-



ლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს და პირს განუმარტავს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მოსარჩელისათვის დადგენილ ვადაში არ მიუწოდებია დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელი რეკვიზიტები და არ განუმარტავს მისთვის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხის სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ბიუროს ჯერ უნდა ეცნობოს პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების თაობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს ასეთ პირზე დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს ქონებრივი დეკლარაციის შესავსებად. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არანაირი ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს დაგვიანებით ეცნობა მისი სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების თაობაზე. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტი არა თანამდებობაზე დანიშნულ პირს, არამედ მხოლოდ შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს ავალდებულებს სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა წერილობით მიაწოდოს ბიუროს ინფორმაცია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ამდენად, სადეკლარაციო თანამდებობაზე პირის დანიშნიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში მხოლოდ შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი არიან ვალდებული და არა თვითონ თანამდებობაზე დანიშნული პირი, ასეთი დანიშვნის შესახებ წერილობითი ინფორმაცია მიაწოდონ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს. რაც შეეხება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტს, იგი ითვალისწინებს მხოლოდ ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლებული პირის წერილობითი მიმართვის

საფუძველზე ბიუროს მიერ დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტების გაცემის და პირისათვის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის განმარტების ვალდებულებას, მაგრამ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბიუროსათვის მიმართვის ვალდებულებას ადგენს არა ეს ნორმა (მე-9 პუნქტი), არამედ იმავე მუხლის მე-10 პუნქტი და ასეთი ვალდებულება აქვს არა თავად თანამდებობაზე დანიშნულ პირს, არამედ მხოლოდ შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელს ან იმავე დაწესებულების სხვა საამისოდ უფლებამოსილ პირს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მართალია, ნ. გ-ის სსიპ ...ო ფონდის ...ის ...ის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ წერილობითი ინფორმაცია სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ეცნობა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, მაგრამ ამაში მოსარჩელეს არანაირი ბრალი არ მიუძღვის, შესაბამისად, მას არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ბიუროში დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის. სადავო არ არის ის გარემოება, რომ ნ. გ-ისათვის ბიუროს მიერ ქონებრივი დეკლარაციის შესავსებად დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელი რეკვიზიტების მიწოდების შემდეგ, მოსარჩელემ დადგენილ ვადაში შეავსო დეკლარაცია და წარადგინა ბიუროში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.01.2019წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო სამსახურის ბიურომ.

კასატორმა აღნიშნა, რომ დეკლარირება, როგორც წესი, ორ საფეხურიანი პროცესით ხორციელდება: დაწყებითი სტადია – თანამდებობაზე გამწესების/თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საკადრო ხასიათის ინფორმაციის ბიუროსთვის მიწოდება და მეორე ძირითადი სტადია – თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის შევსება და ბიუროში წარდგენა. დეკლარაციის შესავსებად დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს საჯარო სამსახურის ბიურო გაცემს შესაბამისი საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან გათავისუფლებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ამდენად, თანამდებობის პირი ვალდებულია გამოიჩინოს გულისხმიერება და წინდახედულება დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შესრულების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში ნ. გ-ე თანამდებობის პირისათვის აუცილებელი

გულისხმიერებითა და სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეპყრო მისდამი დაკისრებულ უპირობო ვალდებულებას – სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესებიდან 2 თვის ვადაში დეკლარაციის წარდგენასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით. სააკლაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები და მიიჩნია, რომ მოსარჩელის ქმედებაში (უმოქმედობაში) ბრალი არ არსებობდა. აღნიშნული ნორმებით კანონმდებლის ნებას წარმოადგენს უზრუნველყოფილ იქნეს ბიუროს დროული ინფორმირება თანამდებობაზე გამწესებულ და გათავისუფლებულ პირთა შესახებ და იგი არ შეიძლება გახდეს თანამდებობის პირის ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბრალის გამომრიცხავი გარემოება. თანამდებობის პირმა დადგინილ ვადაში უნდა წარადგინოს დეკლარაცია და მიმართოს ყველა სახის ღონისძიებას ამ ვალდებულების ჯეროვნად და დათქმულ დროში აღსასრულებლად, მათ შორის მიაწოდოს ბიუროს მის თანამდებობაზე გამწესების შესახებ ინფორმაცია. მოქმედი კანონმდებლობა პირს განუსაზღვრავს უპირობო ვალდებულებას თანამდებობაზე გამწესებიდან 2 თვეში დეკლარაციის წარდგენასთან დაკავშირებით, ხოლო ამავე თანამდებობაზე გამწესების შესახებ ბიუროსთვის ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს დეკლარაციის წარდგენის შესახებ ვალდებულების აღსრულების ხელშემწყობ ღონისძიებას. თანამდებობის პირის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება არ არის დამოკიდებული შესაბამისი დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის ვალდებულების შეუსრულებლობაზე. მოსარჩელემ ჩაიდინა გაუფრთხილებელი მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა, კერძოდ, იგი არ ითვალისწინებდა თავისი უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას. ბრალეული ქმედება გულისხმობს გაუფრთხილებლობასაც, როდესაც პირი არღვევს აუცილებელი ყურადღებებიანობის თუ გულისხმიერების მოთხოვნას და მისი წინდაუხედაობის გამო დგება კონკრეტული შედეგი. ზიანის მიმყენებლის ქმედება შეიძლება გამოიხატოს არა მარტო აქტიურ მოქმედებაში, არამედ უმოქმედობაშიც. მოცემულ შემთხვევაში არსებობს მოსარჩელის უმოქმედობისა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, კერძოდ, სახეზეა უმოქმედობის „მიზეზობრიობის“ სამივე სავალდებულო კომპონენტი: მოქმედების ვალდებულება, მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგის თავიდან აცილება. მოსარჩელე ვალდებული იყო 2017 წლის 25 ივლისიდან 2 თვის ვა-

დაში, 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, შეეცხო და წარედგინა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, რაც მის მიერ არ შესრულდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.01.2019წ. გადაწყვეტილება, მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-ის სსიპ ...ო ფონდის ...ი ...ის ...ის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ წერილობითი ინფორმაცია სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ეცნობა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, ამაში მოსარჩელეს რაიმე ბრალი არ მიუძღვის, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს აზრით მას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ბიუროში დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამდებობის პირთა საქმიანობისა და შემოსავლების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ 17.10.1997წ. კანონის შესაბამისი ნორმები თანამდებობის პირს გარკვეულ ვალდებულებებს უწესებენ, მათ შორის ქონებრივი დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვალდებულებას, კერძოდ პირს, რომელიც გამწესდება ამ კანონით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, ეკისრება ვალდებულება შეასრულოს კანონით დადგენილი მოთხოვნა ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის თაობაზე. თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა არის კორუფციის პრევენციისა და შესაძლო კორუფციული შემთხვევების გამოვლენის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი, რაც თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარეობს. თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ემსახურება თანამდებობის პირების ქონებაზე ინფორმაციის გამჟღავნების გზით გამჭვირვალობისა და საჯარო დაწესებულებების მიმართ მოქალაქეთა ნდობის გაზრდის, თანამდებობის პირის მიერ ქონების შეძენის კანონიერების კონტროლის მიზანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამდებობის პირის მიერ თანამდებობაზე გამწესებისას ქონებრივი მდგომ-

მარეობის დეკლარაციის შევსება, რომლის მიზანია თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღება თანამდებობაზე დანიშვნის დროისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს მის მიერ თანამდებობაზე ყოფნისას შექმნილი ქონების გამიჯვნა მის საკუთრებაში თანამდებობის დაკავებამდე არსებული ქონებისაგან.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია უზრუნველყოფს თანამდებობის პირის შემოსავლების ლეგიტიმაციას და იმავდროულად აკმაყოფილებს თანამდებობის პირის მიერ შექმნილი ქონების წარმოშობისა და ღირებულების მიმართ საზოგადოების ინტერესს. თანამდებობის პირთათვის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების დადგენა, აღნიშნული კატეგორიის პირთა მიმართ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, სამომავლოდ დაკავშირებულია დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობასთან („საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის 18.2 მუხ. „ბ“, „დ“ ქვ.პ., 19.1 მუხ.). თანამდებობის პირებთან დაკავშირებით პირადი ხასიათის შემცველი ინფორმაციის საჯაროება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის ტრანსპარენტულობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, კანონმდებლობა ითვალისწინებს არათუ თანამდებობის პირთა, არამედ მათი ოჯახების წევრთა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას („საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-15 მუხ.). მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მონაცემები, სზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად, ღიაა, რაშიც მოიაზრება ინფორმაცია ამ პირთა და მათი ოჯახების წევრთა შემოსავლების შესახებ. ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მონაცემები, კერძო პირთან შედარებით, ხელმისაწვდომია. აღნიშნული ნორმის დანაწესი, თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გამჟღავნების წინაპირობად არ მიუთითებს თვით ამ პირის თანხმობის არსებობის აუცილებლობას, რაც გამომდინარეობს, სხვა პირებისაგან განსხვავებით, ზოგადად, გამჭვირვალობის პრინციპიდან, მათთან დაკავშირებული მონაცემების ღიაობიდან და ხელმისაწვდომობიდან.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის 14.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, პირი ვალდებულია თანამდებობაზე გამწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ამდენად, ქო-

ნებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების წარმოშობისათვის სავალდებულოა დეკლარაციის წარსადგენად შესაბამისი გარემოების დადგომა – თანამდებობაზე გამწვანება. დეკლარაციის წარდგენის პერიოდი განსხვავებულია თანამდებობის პირისა და კანონით პირდაპირ განსაზღვრულ კონკრეტულ თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატებისათვის (მე-14 მუხ.). პირის თანამდებობაზე გამწვანების შემთხვევაში ქონებრივი დეკლარაციის წარსადგენად დადგენილია გამწვანებიდან ორთვიანი ვადა. მხედველობაშია მისაღები, რომ სზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, ანუ ის პირი, რომელსაც ეკისრება დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება. თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მოსარჩელე განეკუთვნებოდა ხსენებული ნორმით გათვალისწინებულ პირთა რიგს. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის თანახმად, „თანამდებობის პირის“ განმარტება სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე პირებს აერთიანებს, რომელთა შორის არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, სასპორტო და რელიგიური საქმიანობისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და პოლიტიკური პარტიებისა) ხელმძღვანელი და მისი ...ე (კანონის მე-2 მუხლის „ლ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი, საქართველოს მთავრობის 29.03.2019წ. №178 დადგენილების მე-18 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ 25.07.2017წ. სსიპ ...ო ფონდის ...ის ...ის №156/კ ბრძანებით ნ. გ-ე დაინიშნა სსიპ ...ო ფონდის ...ის ...ის თანამდებობაზე, ფონდის ...ის უფლებამოსილების ვადით. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის 20.1 მუხლის მიხედვით ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, რის თაობაზედაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ. ამდენად, კანონით განსაზღვრულ ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და მასზე ვრცელდება სამართალდარღვევისათვის დადგენილი ზოგადი დანაშაულები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაით-

ვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხ.). დავას არ ინვესტის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნ. გ-ეს სსიპ ...ო ფონდის ...ი ...ის ...ის თანამდებობაზე გამწესებიდან ორი თვის ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია საჯარო სამსახურის ბიუროში არ წარუდგენია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბიურო თავისი ამოცანების შესასრულებლად იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე (სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს მთავრობის 20.02.2014წ. №181 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების“ მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ყ“ ქვ.პ.), თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ ზომებს ბიუროს უფროსი (ხსენებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვ.პ.). სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 06.11.2017წ. №140/განკ განკარგულებით ნ. გ-ე კანონით განსაზღვრულ ვადაში, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობისთვის, დაჯარიმდა 1000 ლარით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხ.). ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისათვის იგი უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სტრუქტურის ისეთ ელემენტებს, როგორცაა: ქმედება, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული გარემოებების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესწავლას, რომლის საბოლოო ეტაპია გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ან საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. განსახილველ საქმეზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მსჯელობის საგანს შეადგენს ქმედების

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისათვის ბრალის ელემენტის არსებობის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა ბრალის შეფასების გარეშე არ არის საკმარისი პირის სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მსჯელობა საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დროულად წარუდგენლობაში ნ. გ-ის ბრალის არარსებობის შესახებ არ არის დასაბუთებული. ბრალის გამომრიცხავ გარემოებად იმ ფაქტზე მითითება, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მოსარჩელისათვის დადგენილ ვადაში არ მიუწოდებია დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაყვანი რეკვიზიტები და არ განუმარტავს მისთვის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ, არ ქმნიდა სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალეულობის წინაპირობა არის ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო ქცევა. არსებობს მართლწინააღმდეგობის გარეშე, მაგრამ არ არსებობს ბრალი მართლწინააღმდეგობის გარეშე. თუკი არ არის მართლწინააღმდეგობა, ქმედებას არ აქვს სამართლისათვის შესაბამისი მნიშვნელობა. ბრალის ელემენტი გულისხმობს უკანონო ქმედებასა და მის შედეგებზე დამრღვევის დამოკიდებულებას და წარმოადგენს პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. ბრალეული მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება იყოს განზრახი და გაუფრთხილებელი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბუნების გათვალისწინებით უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება სამართალდარღვევად, თუ პირს ეკისრება მოქმედების სპეციალური მოვალეობა და თუ მისი შეუსრულებლობა პასუხობს სამართალდარღვევის ქმედების შემადგენლობის ნიშნებს. მოცემულ შემთხვევაში კანონით იმპერატიულად არის დადგენილი მოქმედების – დეკლარაციის განსაზღვრულ ვადაში წარდგენის ვალდებულება და მისი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ თანამდებობის პირის დანიშვნის შესახებ ბრძანების საჯარო სამსახურის ბიუ-



როში გაგზავნის ვალდებულება კანონისმიერი დათქმიდან გამომდინარე ნ. გ-ეს დაკისრებული არ ჰქონდა, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით მის ბრალეულობას გამოირიცხავს. ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, მის ჩადენაში პირის ბრალეულობა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ქვემდებარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და ა.შ., აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხ.). საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შეფასების საგანს შეადგენს არა პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების საჯარო სამსახურის ბიუროში გაგზავნისათვის ნ. გ-ის ბრალეულობის საკითხის შეფასება, არამედ თანამდებობაზე დანიშნიდან ორი თვის ვადაში ნ. გ-ის მიერ დეკლარაციის წარუდგენლობის გამო ბრალის ნიშნების არსებობის/არარსებობის დადგენა, კერძოდ, შეფასებას საჭიროებს 7 დღის ვადაში დანიშვნის შესახებ ბრძანების საჯარო სამსახურის ბიუროში წარუდგენლობის შემთხვევაში ნ. გ-ის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლების არსებობა, ასევე წერილობითი მიმართვის გარეშე ელექტრონულ პროგრამაში შესასვლელი რეკვიზიტების მიწოდების თაობაზე საჯარო სამსახურის ბიუროს კანონით დადგენილი იმპერატიული ვალდებულება.

სადავო პერიოდში მოქმედი „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 12.02.2014წ. №139 დადგენილების (ძალადაკარგულია საქართველოს მთავრობის 29.03.2019წ. №178 დადგენილებით) მე-4 მუხლი საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ელექტრონული ფორმით წარდგენას მოითხოვდა, დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტი, 27.10.2015წ. №4358 კანონით ცვლილების შეტანამდე, ითვალისწინებდა საჯარო სამსახურის ბიუროს ვალდებულებას, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენისათვის გათვალისწინებული ვადის ამონურვამდე არა უგვიანეს 20 დღისა, გაეფრთხილებინა პირი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შე-

სახე და განემარტა დეკლარაციის დროულად წარუდგენლობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 27.10.2015წ. №4358 კანონით ხსენებული ნორმა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, ნორმით განისაზღვრა იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთა წერილობითი მიმართვის საფუძველზე ბიურო გასცემს დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემავალ რეკვიზიტებს და პირს განუმარტავს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ეს პირებია: საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირი; თანამდებობის პირი ან/და თანამდებობიდან გათავისუფლებული პირი. ხსენებულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, დეკლარირების ერთიან სისტემაში რეკვიზიტების მოთხოვნის უფლებით ბიუროსთვის მიმართვის საშუალება მიეცა როგორც საჯარო დაწესებულების უფლებამოსილ პირს, ასევე თანამდებობის პირს ან უკვე გათავისუფლებულ თანამდებობის პირს. განმარტებით ბარათში აღინიშნა, რომ ასეთი ნორმის არარსებობა ხშირად იწვევდა თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის შევსების ვადის გადაცილებას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ არ ჰქონდათ დაწესებულების უფლებამოსილი პირის მხრიდან გადაცემული ელექტრონულ პროგრამაში შესასვლელი რეკვიზიტები. ამდენად, სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებდა ბიუროს ვალდებულებას დეკლარაციის წარდგენისათვის გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 20 დღისა გაეფრთხილებინა პირი ამის შესახებ და განემარტა დეკლარაციის დროულად წარუდგენლობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიურომ დაჯარიმების შესახებ სადავო განკარგულების მიღებამდე არ აცნობა ნ. გ-ეს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესავსებად საჭირო დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესვლისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები (მომხმარებლის სახელი და პაროლი), არ ადასტურებს სადავო აქტის უკანონობას, ვინაიდან უკეთეს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა არ მიმართა წერილობით დეკლარაციის ერთიან საიდენტიფიკაციო მონაცემების მიღებისათვის, წერილობითი მიმართვის ვალდებულება ჰქონდა სადეკლარაციო თანამდებობაზე დანიშნულ

პირს. თანამდებობის პირის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული შესაბამისი დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის ვალდებულების შეუსრულებლობაზე. თანამდებობის პირს დაკისრებული აქვს კანონით განსაზღვრულ ორთვიან ვადაში დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება და ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს, აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობაზე. კანონში შეტანილი ცვლილებებით ამაღლდა თანამდებობის პირის მონაწილეობის ხარისხი დეკლარირების პროცესში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო დაწესებულების უფლებამოსილ პირს ან/და თანამდებობის პირს – მოსარჩელეს, თანამდებობაზე გამწესებიდან დეკლარაციის წარსადგენად კანონით განსაზღვრულ ვადაში ელექტრონულ პროგრამაში შესასვლელი რეკვიზიტების მიწოდების მოთხოვნით საჯარო სამსახურის ბიუროსათვის არ მიუმართავთ. ბიუროს მიერ ელექტრონულ პროგრამაში შესასვლელი რეკვიზიტების მიწოდებას კანონი ითვალისწინებს წერილობითი მიმართვის საფუძველზე და ასეთი მიმართვის არარსებობა არ წარმოშობს ბიუროს ვალდებულებას თანამდებობის პირს მიაწოდოს რეკვიზიტები. პირი ვალდებულია თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანონში შეტანილი ცვლილებებით აღნიშნული ვალდებულების შესრულება აღარ არის დამოკიდებული საჯარო სამსახურის ბიუროს ვალდებულებაზე წერილობითი მიმართვის გარეშე მიაწოდოს თანამდებობის პირს ელექტრონულ სისტემაში შესვლისთვის და დეკლარაციის შევსებისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები, განუმარტოს თანამდებობის პირს დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალურთიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, იგულისხმება, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა. სკ-ის 3.2 მუხლის თანახმად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და მას რაიმე, მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დანიშნულება ან ფუნქცია არ აქვს, რის გამო მისი გამოყენება დაიშვება აგრეთვე განსახილველ სადავო სამართალურთიერთობას-

თან. სათანადო წესით გამოქვეყნებული მოქმედი ნორმის გამოყენება არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული. იგულისხმება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პროცედურების დაცვით შემუშავებული, სახელმწიფო ენაზე არაბუნდოვნად შედგენილი, ოფიციალურად გამოქვეყნებული, გაცნობისათვის ხელმისაწვდომი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგადი წესის შესახებ ინფორმაცია მოქალაქისათვის ცნობილია, აღნიშნული დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს, ხოლო ასეთი ნორმის არცოდნაზე მითითება არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან. თანამდებობის პირი ვალდებულია და არა უფლებამოსილი გამოიჩინოს კომპეტენტურობა და გულისხმიერად მოექცეს კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, როდესაც ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას და მეორე, როდესაც ჩამდენი არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ისინი (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-12 მუხ.). ვინაიდან სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სუბიექტის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლის შედეგია სამართალდარღვევის ფაქტი, სამართალდარღვევის კვალიფიკაციისათვის სუბიექტის მოქმედების ან უმოქმედობის წინმსწრები და თანმდევი პირის განზრახვა/გაუფრთხილებლობა, რომლის დადგენაც უპირველესია სამართალდარღვევად ცნობისა და კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდებისათვის. ამდენად, გაუფრთხილებლობა ბრალის ერთ-ერთი ფორმაა. თუ არ არსებობს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, არ არსებობს არც სამართალდარღვევისათვის მაკვალიფიცირებელი გარემოება და კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებას, კერძოდ, უმოქმედობას. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი ერთი მხრივ ადგენს თანამდებობის პირის ვალდებულებას დეკლარაცია შეავსოს და წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, რომელზეც დამოუკიდებელი წვდომის შესაძლებლობა პირს არ გააჩნია, ხოლო მეორე მხრივ არ განსაზღვრავს ბიუროს ვალდებულებას თანამდებობის

პირს მიაწოდოს ელექტრონულ პროგრამაში შესასვლელად საჭირო რეკვიზიტები წერილობითი მიმართვის გარეშე. ამჟამად მოქმედი რეგულაცია არ ითვალისწინებს წერილობით განცხადების წარუდგენლობის შემთხვევაში პირის გაფრთხილებას დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისა და წარუდგენლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ბიუროს ვალდებულება პირის გაფრთხილების შესახებ ემსახურება სამართალდარღვევის გაუფრთხილებლობით ჩადენისაგან თავის არიდების პრევენციულ ღონისძიებას და არა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს, პირის არგაფრთხილება შესაძლოა წარმოადგენდეს ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორს, გადაცდომის გაუფრთხილებლობით თუ განზრახ ჩადენას (აღსანიშნავია, რომ დეკლარაციაში პირდაპირ განზრახ, არასწორი მონაცემების შეტანა, აგრეთვე დეკლარაციის განზრახ განმეორებით წარუდგენლობა, სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის თანახმად, იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას). ამჟამად მოქმედი რეგულაციისაგან განსხვავებით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული სანქციის გამოყენების შესაძლებლობას კანონის ძველი რედაქცია ადგენდა იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირის მიმართ დაცული იყო ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული – გაფრთხილების ვალდებულება შესაძლო დაჯარიმების თაობაზე. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა წერილობით მიაწოდოს ბიუროს ინფორმაცია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბიუროს უფროსი ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, რაც შესაძლებელია გახდეს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელისთვის ან საამისოდ უფლებამოსილი პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელს ან საამისოდ უფლებამოსილ პირს არ ათავისუფლებს პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ინფორმაციის ბიუროს-

თვის მიწოდების ვალდებულებისაგან. სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის ვალდებულება ასევე დადგენილი იყო სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს მთავრობის 12.02.2014წ. №139 დადგენილების მე-2 მუხლით, რომელიც ადგენდა, რომ შესაბამისი საჯარო დაწესებულების საკადრო სამსახურის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია სათანადო სამართლებრივი აქტის მოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს წერილობით მიანოდოს ინფორმაცია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების ან თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს თანამდებობაზე გამწესების თაობაზე ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის ვალდებულება და გამწესებიდან ორი თვის ვადაში თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, შესაბამისად, უნდა გაიმიჯნოს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობა ინფორმაციის მიწოდებლობისათვის („საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის 14.10 მუხ.), დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო თანამდებობის პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან („საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის 14.9 მუხ., 20.1 მუხ.).

სააპელაციო სასამართლომ დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ნ. გ-ის ბრალის გამომრიცხავ გარემოებად მიიჩნია ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ კანონით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში ნ. გ-ეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა არა მისი დანიშვნის შესახებ ინფორმაციის მიწოდებლობის, არამედ დადგენილ ვადაში დეკლარაციის წარუდგენლობის გამო. საჯარო სამსახურის ბიუროს დეკლარირების უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის 30.10.2017წ. მოხსენებითი ბარათის თანახმად, 25.10.2017წ. ბიურომ მიიღო სსიპ ...ო ფონდის ...ი ...ის 25.07.2017წ. №156/კ ბრძანება ნ. გ-ის სსიპ ...ო ფონდის ...ი ...ის ...ის თანამდებობაზე დანიშვნის

შესახებ. თანამდებობის პირების დეკლარაციების ელექტრონულ ბაზაში გადამონშების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ბიუროში არ იყო გადაგზავნილი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. გ-ის მისი გამწესებიდან არათუ ორი თვის ვადაში, არამედ ამ ვადის გასვლის შემდეგ დაჯარიმების შესახებ განკარგულების მიღებამდე არ უცდია დეკლარაციის წარდგენა და წერილობითი მოთხოვნით ბიუროსათვის არ მიუმართავს, მათ შორის არ მიუმართავს არც 25.10.2017წ., როდესაც ბიუროსათვის ცნობილი გახდა მისი თანამდებობაზე გამწესების შესახებ. მართებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა იმ ნაწილში, რომ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით ნ. გ-ე არ იყო ვალდებული ბიუროსათვის მიწოდებინა ინფორმაცია მისი დანიშვნის შესახებ, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს ბრალის ელემენტის არსებობას, რაც მის მიერ დეკლარაციის წარუდგენლობაში გამოიხატა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის საგანს არ შეადგენს თანამდებობის პირის გამწესების შესახებ ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებლობის გამო დისციპლინური გადაცდომის არსებობის დადგენა და შეფასება. აღსანიშნავია, რომ თანამდებობაზე გამწესების შესახებ ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაშიც, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბიუროს ვალდებულებას წერილობითი მიმართვის გარეშე გასცეს ელექტრონულ პროგრამაში შესვლისათვის საჭირო რეკვიზიტები, შესაბამისად, სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბიუროსათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებლობაში ნ. გ-ის ბრალი არ მიუძღვის, განსახილველი დავის საგნის მიმართ არ არის რელევანტური. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ნ. გ-ის მიერ ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არსებობის შეფასება, რაც კანონმდებლობით ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა, არამედ მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციის წარუდგენლობის გამო დაკისრებული პასუხისმგებლობის კანონიერების შეფასება.

„სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 20.02.2012წ. №57 დადგენილების 1.1 მუხლით დამტკიცდა „სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტი“, ამავე დადგენილების მე-7 მუხლის მიხედვით ამ დადგენილების შესრულების

კოორდინაციის და მონიტორინგის განხორციელება სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს დაევალა. „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის“ I თავის პირველი მუხლის შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს უწყების ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებასა და მუდმივ მონიტორინგს, ხოლო ამავე თავის მე-8 მუხლით პროგრამის მოდულები (ნაწილები) და მთლიანი პროგრამა უნდა იძლეოდეს „საქართველოს სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტით“ და „საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებული ყველა მონაცემის (იგულისხმება პირველადი მონაცემები) წვდომის შესაძლებლობას საჯარო სამსახურის ბიუროსათვის. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი დანიშვნის შესახებ ბრძანება მითითებულ სისტემაში აიტვირთა, სადაც წვდომა გააჩნდა მოპასუხე ბიუროს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ პროგრამაში მოცემული თანამდებობები უნდა შეესაბამებოდეს „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 21.07.2001წ. №286 ბრძანებულებით განსაზღვრულ მთავარ, ნამყვან, უფროს და უმცროს საჯარო თანამდებობებს. აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველოს პრეზიდენტის 01.07.2001წ. №286 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ (ძალადაკარგულია 2014 წლის 30 სექტემბრიდან საქართველოს პრეზიდენტის 02.02.2015წ. №36 ბრძანებულებით), ასევე საქართველოს მთავრობის 29.09.2014წ. №576 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ გათვალისწინებული არ არის სსიპ ...ო ფონდის ...ი ...ის თანამდებობა, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემას აქვს აბსოლუტურად სხვა სამართლებრივი დატვირთვა და დანიშნულება, სისტემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ინსტიტუტების ეფექტურად რეალიზების მიზნებისთვისაა შექმნილი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის გამოყენება/ასახვა მოხელის ვაკანტური თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნისას (34-ე მუხ.), მოხელის გადაყვანისას (47-ე-48-ე მუხ.), მოხელის შეფასებისას (53-ე მუხ.), მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებისას (54-ე



მუხ.), დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას, დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების ვადის გასვლისას და პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნისას (101-ე მუხ.) და სხვ.. ამდენად, ამ სისტემას შემხებლობა არ აქვს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის დეკლარირების პროცესთან. ამასთან, ნ. გ-ის ამ თანამდებობაზე გამწესების დროისათვის კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების შესახებ ინფორმაციის ბიუროსათვის წერილობითი ფორმით მიწოდებას. სადავო არ არის ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის თანამდებობაზე გამწესების შესახებ ინფორმაცია შესაბამის უფლებამოსილ პირს სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსათვის კანონით დადგენილ ვადაში წერილობითი ფორმით არ მიუწოდებია. დეკლარირების პროცესის დაწყებისათვის მოქმედი კანონი იმპერატიულად, უპირობოდ ადგენს ინფორმაციის ბიუროში წერილობითი ფორმით მიწოდების მოთხოვნას, აღნიშნული ვერ იქნება გაიგივებული აბსოლუტურად განსხვავებული მიზნებისათვის შექმნილი ადამიანური რესურსების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის ატვირთვისასთან. საფუძველს არის მოკლებული ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში ინფორმაციის ატვირთვის გაიგივება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მოხდასთან. ამდენად, ბრძანების ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში ატვირთვა და ბიუროს მიერ მასზე წვდომის შესაძლებლობა არ გულისხმობს დადგენილ ვადაში კანონით გათვალისწინებული ვალდებულების (დეკლარაციის წარდგენა) შეუსრულებლობის შემთხვევაში თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, ამასთან, შემამსუბუქებელი გარემოებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, მას განვრცობითი ხასიათი აქვს იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის მითითებული კანონმდებლობაში. საყურადღებოა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქე-

ბელი ან ამავე კოდექსით განსაზღვრული ბრალის გამოძიებაზე გარემოებები. ამასთანავე, კანონის 20.1 მუხლი პირის მიერ დეკლარაციის წარუდგენლობისათვის დაჯარიმების შესახებ არ განეკუთვნება დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს, კანონიერი საფუძვლის არსებობა ინვეს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს ვალდებულებაზე მიაწოდოს ელექტრონულ სისტემაში შესვლისათვის და დეკლარაციის შევსებისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესრულება თავის მხრივ უკავშირდება საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლებული პირის წერილობით მიმართვებს. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ ინვეს, რომ კანონით დადგენილ ვადაში არც საჯარო დაწესებულების უფლებამოსილ პირს და არც თანამდებობის პირს არ მიუმართავს სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსათვის სისტემაში შესვლისათვის საჭირო რეკვიზიტების მისაღებად. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის დანაწესის თანახმად, ბიური ვასცემს დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს და პირს განუმარტავს დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ამდენად, კანონის შესაბამისად, მხოლოდ მითითებული ნორმების დაცვის და შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე და არა სადეკლარაციო თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინფორმაციის ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის შედეგად, ბიურო ხდება ვალდებული მიაწოდოს დეკლარანტს დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელი რეკვიზიტები. მოცემულ შემთხვევაში ბიუროსათვის არც სსიპ ...ო ფონდის უფლებამოსილი პირს და არც თანამდებობის პირს (მოსარჩელე ნ. გ-ეს) კანონით დადგენილი წესით და კანონით დადგენილ ვადაში არ მიუმართავს ელექტრონულ სისტემაში შესასვლელი რეკვიზიტების მისაღებად. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბიუროს ვალდებულებას საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან თანამდებობის პირის წერილობითი მიმართვის გარეშე პირისათვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელი რეკვიზიტების გაგზავნას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით. დამატებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ასკ-ის 30-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე სასამართლოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის შეჩერების თაობაზე ძალას კარგავს მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულების შემთხვევაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.01.2019წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ-ეს (პირადი №...) სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამარ-

თლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

5. ნ. მ-ს (პირადი ნომერი ...) დაუბრუნდეს სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფისათვის 28.11.2017წ. №1 საგადახდო დავალე-ბით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 ლარიდან – 50 ლარი, შემ-დეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ბანაცდურისა და ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება**

### **გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-410(კ-21)

20 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე,  
მომხსენებელი),**

**ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების და-ვალება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ტ. ლ-მა 2010 წლის 13 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-პასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალუ-რი დაცვის სამინისტროს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნების არა-ერთგზის დაზუსტების შედეგად, საბოლოოდ, „2010 წლის 6 სექ-ტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სო-ციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ოქტომბრის №321/ო ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, მოპასუხისთვის დასახელებუ-

ლი ადმინისტრაციული საჩივრის ხელახლა განხილვის დავალემა მოითხოვა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ტ. ლ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ რუსთავის საკრებულოსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მერიას და სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამხარეო ცენტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით პირვანდელ უფლებებში ცნობა, ასევე 2005 წლის 5 ოქტომბრიდან გადახდის მომენტამდე ყოველთვიური სახელფასო განაცდურის – 2000 ლარისა და მორალური ზიანის – 200 000 ლარის ოდენობით მოპასუხეებისგან სოლიდარულად ანაზღაურება მოითხოვა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ოქტომბრის №321/ო ბრძანებით, ზეპირი მოსმენის №4 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, ტ. ლ-ს უარი ეთქვა 2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელემ სასარჩელო წარმოების გზით სწორედ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გახადა სადავოდ და მოითხოვა მისი მოპასუხისთვის განხილვის დავალემა და მოთხოვნის დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ადმინისტრაციული საქმე არაერთხელ იყო შეჩერებული ტ. ლ-ის მიერ სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული წესით აღძრულ სხვა სარჩელებზე სამართალწარმოების მიმდინარეობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით ტ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი „2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ოქტომბრის №321/ო ბრძანება და მოპასუხეს ამავე ადმინისტრაციული საჩივრის ხელახალი განხილვა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, ტ. ლ-მა 2010 წლის

6 სექტემბერს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ რუსთავის საკრებულოსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მერიას და ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამხარეო ცენტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით პირვანდელ უფლებებში ცნობა მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა ასევე მოითხოვა 2005 წლის 5 ოქტომბრიდან გადახდის მომენტამდე ყოველთვიური სახელფასო განაცდურის – 2000 ლარისა და მორალური ზიანის – 200 000 ლარის ოდენობით სოლიდარულად ანაზღაურება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის №4 სხდომის ოქმის თანახმად, დასტურდება, რომ ამავე სხდომაზე განხილულ იქნა ტ. ლ-ის 2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივარი. განხილვის შედეგად კი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ოქტომბრის №321/ო ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე და 202-ე მუხლების შესაბამისად, ზეპირი მოსმენის №4 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, ტ. ლ-ს უარი ეთქვა 2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი არ წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებას. საქმის მასალებითვე დასტურდება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივარი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მესამე პირებისთვის არ გადაუგზავნია.

საქალაქო სასამართლომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რის შესახებაც, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს. ამასთან, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმის მხედველობაში მიღებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, კონსტიტუციური პრინციპებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმების სრული უგულებელყოფით, რაც გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნიდა. სწორედ ამიტომ, სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ბათილად ცნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ოქტომბრის №321/ო ბრძანება და მოპასუხეს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ტ. ლ-ის 2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის ხელახლა განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის განჩინებით განსახილველ საქმეზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ

საკითხი კომპეტენციის შესაბამისად უნდა გადაეგზავნოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, თუკი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, ამ ნორმის მიზანია საკითხი განიხილოს კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განმარტება მითითებული კოდექსის მე-80 მუხლთან მიმართებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დაიცვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, მოკლებულია სამართლებრივ მსჯელობასა და არგუმენტაციას, რადგან საქმის მასალებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება ადმინისტრაციულ წარმოებაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა. ამასთან, განსახილველი საკითხის თაობაზე კომპეტენტურ ორგანოთა პოზიცია დაფიქსირებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამართულ სხდომაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ექვემდებარება ბათილად ცნობას, ხოლო სარჩელი – დაკმაყოფილებას, რადგან სადავო აქტი გამოცემულია კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურული და მატერიალური ნორმების სრული დაცვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ტ.ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ტ.ლ-მა 2010 წლის 6 სექტემბერს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ რუსთავის საკრებულოს, თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მერიას და სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამხარეო ცენტრის 2005 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით პირვანდელ უფლებებში ცნობა მოითხოვა. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა ასევე მოითხოვა 2005 წლის 5 ოქტომბრიდან გადახდის მომენტამდე ყოველთვიური



სახელფასო განაცდურის – 2000 ლარისა და მორალური ზიანის – 200 000 ლარის ოდენობით ანაზღაურება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის №4 სხდომის ოქმის თანახმად დასტურდება, რომ ამავე სხდომაზე განხილულ იქნა ტ. ლ-ის 2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივარი. განხილვის შედეგად კი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ოქტომბრის №321/ო ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე და 202-ე მუხლების შესაბამისად, ზეპირი მოსმენის №4 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, ტ. ლ-ს უარი ეთქვა 2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი არ წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებას. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივარი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მესამე პირებისთვის არ გადაუგზავნია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, მართალია, მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 5 ოქტომბრის №321/ო ბრძანების კანონიერების შეფასება, რომლითაც ტ. ლ-ს უარი ეთქვა 2010 წლის 6 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, შესაფასებელია სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა იმ პირობებში, როცა ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ლიკვიდაციის კანონიერება დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ ნაწილსა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელთა თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით კი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და

ისინი უნდა შესრულდეს. ამავე კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავოდ გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას, საზედამხედველო წარმოების წესებს. დასახელებული კოდექსის 265-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, რომელშიც ამავე კოდექსის მე-11 კარით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძველები მოიაზრება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა. კერძოდ, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებენ. ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ, კანონიერ ძალაში შესულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ქალაქ რუსთავის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება ქალაქ რუსთავის მთავრობის №49 და №75 დადგენილებების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და ახალი აქტების გამოცემის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ტ. ლ-ისა და თ.ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყო-

ფის ღონისძიება, რუსთავის მთავრობის 2003 წლის 8 აპრილის №75 დადგენილების შეჩერების თაობაზე.

საქმის მასალებში წარმოდგენილია ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის №33/21-64-09 წერილი, რომლითაც დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული წერილით დადასტურებული გარემოება საფუძვლად დაედო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეზე საქმის წარმოების განახლებას.

დასახელებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, უდავოდ დადგენილია, რომ მოცემულ საქმეში მხარეებს წარმოადგენენ: ტ. ლ-ი, ქალაქ რუსთავის მერია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, ხოლო დავის საგანი იყო – ქალაქ რუსთავის მთავრობის №49 დადგენილების ბათილად ცნობა, რომლითაც შეიქმნა ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სალიკვიდაციო კომისია, ასევე ქალაქ რუსთავის მთავრობის №75 დადგენილების კანონიერება, რომლითაც 2003 წლის 3 მარტიდან ლიკვიდირებულად ჩაითვალა ზემოთ მითითებული ცენტრი. განსახილველ შემთხვევაშიც, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოცემულ საქმეშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ, ხოლო დავის საგანია ადმინისტრაციული საჩივრის მოპასუხისთვის განხილვის დავალება. დასახელებული საჩივრით კი მოთხოვნილია სწორედ ლიკვიდირებული ცენტრის პირვანდელ უფლებებში ცნობა, სახელფასო განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ, რომლებიც ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეში მონაწილეობდნენ. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებას ამავე განჩინებით დადგენილი ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობის კუთხით გააჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობა მოცემულ საქმესთან მიმართებაში. გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უდავოდ დადასტურებულია ქალაქ რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ლიკვიდაციის კანონიერება, სასარჩელო მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს ლიკვიდირებული ცენტრის პირვანდელ უფლებებში ცნობის, მოსარჩელისათვის

განაცდურისა და ზიანის ანაზღაურებაში, უსაფუძვლოა, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებით საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სარჩელზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

ამდენად, საქმეზე დადასტურებული გარემოებებისა და მათი სამართლებრივი შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ პირობებში არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობა. მითითებული ნორმის გამოყენება „სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემონიშნა და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-355-340(2კ-09)).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილი იყო და რეალური შესაძლებლობა ჰქონოდა, რომ სარჩელი არსებითად გადაეწყვიტა, რამეთუ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, საქმეზე დადგენილია ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, რაც სარჩელის უსაფუძვლობას ადასტურებს, მათი სამართლებრივი შეფასება კი სწორედ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. მაშასადამე, ვინაიდან საქმეზე ახალი გარემოებები გამოკვეთილი არ არის და ყველა ფაქტი უდავოდ დადგენილია, მხარეთა უფლებების დროულად დაცვის მიზნით, სასამართლომ მოცემული დავა არსებითად უნდა გადაწყვიტოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონიშნა შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, რის გამოც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველ-

თვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვევტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადანყვევტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადანყვევტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვევტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადანყვევტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვევტილება;
3. ტ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადანყვევტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ან გარდაცვლილი მეუღლის გამოუყენებელი  
შვებულების დღეების ანაზღაურების შესახებ  
მოთხოვნის სანდაზმულობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სასხელით**

№ბს-1020 (კ-19)

21 ივლისი, 2022 წელი. ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ.სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ.ცინცაძე,  
გ. გოგიაშვილი**

**დავის საგანი:** გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის  
ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. მ-მა 02.10.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ ლ. მ-მა მოითხოვა მოპასუხისთვის მეუღლის გ. ბ-ის 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის – 1030 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი ან გარდაცვლილი მეუღლე გ. ბ-ე დასაქმებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მას 02.04.2012წ. უსრულდებოდა ნამსახურების ზღვრული ასაკი. საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-4 პუნქტის თანახმად, სამხედრო ნაწილის მეთაური ვალდებული იყო გ. ბ-ის ზღვრული ასაკის შესრულების შემდეგ მეთაურისთვის მიემართა წარდგინებით ზღვრული ასაკის გამო სამხედრო სამსახურიდან გ. ბ-ის დათხოვნის შუამდგომლობით. ამავე დებულების მე-6 და მე-8 პუნქტების თანახმად, მეთაურის ვალდებულება იყო აგრეთვე გაეშვა გ. ბ-ე 45-დღიან კუთვნილ შვებულებაში. ეს 45-დღიანი პერიოდი საკმარისი იქნებოდა, რათა თავდაცვის მინისტრს გამოეცა ბრძანება გ. ბ-ის გათავისუფლების შესახებ. სამხედრო ნაწილის მეთაურმა დაარღვია აღნიშნული ნორმატიული წესი, 2012 წლის 01 აპრილიდან გ. ბ-ე მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან, ჩამოერთვა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შესასვლელი საშვი და განემარტა, რომ გათავისუფლებული იყო

შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, თუმცა რეალურად გ. ბ-ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება 10.05.2012წ. გამოიცა. ბრძანებაში მიეთითა, რომ გ. ბ-ე სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილად ითვლებოდა 2012 წლის 2 აპრილიდან. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გ. ბ-ეს სამსახურიდან გათავისუფლებისას ეკუთვნოდა 2012 წლის გამოუყენებელი შვებულება 45 დღის ოდენობით, რომლის ანაზღაურება შეადგენდა 1764 ლარს, თუმცა გ. ბ-ეს აუნაზღაურდა მხოლოდ 734 ლარი, შესაბამისად, გ. ბ-ეს მიადგა მატერიალური ზიანი – 1030 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.08.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მეუღლის – გ. ბ-ის 2012 წლის კუთვნილი შვებულების დღეების თანხის – 1030 ლარის ანაზღაურება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ბ-ე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში და მისი ნამსახურების წლები აღემატებოდა 10 წელს. სამხედრო ნაწილი №...-ის მეთაურის 01.04.2012წ. №64 ბრძანებით, სამხედრო ნაწილი №...-ის ...სა და ...ის ასეულის ...ის ...სა და ...ის პუნქტის უფროსი, ... გ. ბ-ე მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან 2012 წლის 2 აპრილიდან და წარდგენილ იქნა კონტრაქტის შეწყვეტაზე, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. 05.04.2012წ. ...ის მე-... ქვეითი ბრიგადის ...ის ...ის მეთაურმა მიმართა ...ის მე-... ქვეითი ბრიგადის მეთაურს ზემდგომ ხელმძღვანელობას შუამდგომლობით გ. ბ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, 2012 წლის 2 აპრილიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 10.05.2012 წ. №1169 ბრძანებით, ...ის სარდლის მ/შ-ის 21.04.2012წ. №4971 შუამდგომლობის საფუძველზე, გ. ბ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, 2012 წლის 2 აპრილიდან, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. გ. ბ-ეს ზღვრული ასაკი შეუსრულდა 02.04.2012 წ., რის გამო მეთაურის 01.04.2012წ. №64 ბრძანებით მოხსნილი იქნა ყველა სახის კმაყოფიდან. ამის შემდეგ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ამორიცხვამდე (2012 წლის 10 მაისი) გ. ბ-ე სამხედრო ნაწილში აღარ იმყოფებოდა და არც რაიმე სახის დავალებებს ასრულებდა. 2012 წლის №3 სამშვებულებო უწყისის თანახმად, გ. ბ-ეს გამოუყენებელი შვებულების 25 დღის თანხა – 734 ლარი მიღებული აქვს. გ. ბ-ე ...წ. გარდაიცვალა, მის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაშთი 27.01.2016წ. გაიცა გ. ბ-ის მეუღლის – ლ. მ-ის სახელზე, რომელმაც

2016წ. სექტემბერსა და ოქტომბერში განცხადებები წარადგინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 04.11.2016წ. წერილით ლ. მ-ს ეცნობა, რომ მისი მოთხოვნა წარმოადგენდა სასამართლო დავის საგანს და სამინისტრო მოკლებული იყო მისი მოთხოვნის განხილვის შესაძლებლობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ მე-9 თავის მე-12 პუნქტითა და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.5 მუხლით დადგენილია ოჯახური მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით სამხედრო მოსამსახურისათვის 10 დღემდე ვადით მოკლევადიანი შვებულების მიცემის შესაძლებლობა, მოკლევადიანი შვებულება მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება. ამდენად, კანონმდებელი ერთმანეთისგან განასხვავებს სამხედრო მოსამსახურეების კუთვნილ შვებულებას და მოკლევადიან შვებულებას, რომელიც მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება. საქმეში დაცული სამხედრო ნაწილი №...-ის მეთაურის 18.02.2012 წ. №33 ბრძანებით გ. ბ-ე გაშვებულ იქნა მოკლევადიან შვებულებაში 2012 წლის 18 თებერვლიდან 23 თებერვლამდე. ამდენად, 2012 წლის თებერვალში გ. ბ-ე იმყოფებოდა მოკლევადიან შვებულებაში და არა კუთვნილ, მორიგ შვებულებაში, რის შესახებაც ბრძანებაში პირდაპირ არის მითითებული. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა სამინისტროს მითითება იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ემ 2012 წელს ისარგებლა კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებიდან 5 დღით.

საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“, მე-9 თავის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოფიცერი სამხედრო სამსახურიდან შეიძლება დაითხოვონ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონებით დადგენილ შემთხვევებში, მხოლოდ ხელქვეითობის წესით, ზღვრული ასაკის მიღწევისას. ამავთვე თავის მე-6 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის წინ ეძლევა კუთვნილი შვებულება, რის შემდეგაც იგი იგზავნება სამხედრო-საექიმო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად, ხოლო მე-8 პუნქტის მიხედვით, ოფიცერს და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის



პერიოდში ეძლევათ მორიგი კუთვნილი შვებულებები შემდეგი ხანგრძლივობით: ა) რომელმაც იმსახურა სამხედრო ძალებში 10 კალენდარულ წელზე ნაკლები – 30 დღე; ბ) რომელმაც იმსახურა სამხედრო ძალებში 10 კალენდარულ წელს და მეტ ხანს – 45 დღე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2012 წლის 2 აპრილიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო გ. ბ-ის დათხოვნასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირების მიერ ზემდგომ პირებთან შუამდგომლობებით მიმართვა დაიწყო 2012 წლის 5 აპრილს და საბოლოოდ, დასრულდა 17.05.2012წ. ბრძანების გამოცემით 2012 წლის 2 აპრილიდან გ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. კანონის იმპერატიული დათქმის მიუხედავად, დათხოვნის წინ გ. ბ-ეს კუთვნილი შვებულება არ მისცემია. „ფასიანი შვებულების შესახებ“ 04.06.1936 წ. კონვენციის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 22.02.1995წ. დადგენილებით) მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს გათვალისწინებულ ჯილდოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 10.12.1948წ. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 15.09.1991წ. დადგენილებით) 24-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. ამდენად, დამსაქმებლის ინიციატივით გათავისუფლებისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა (სუსგ 26.03.2010წ. №ას-836-1122). სასამართლომ მიუთითა, რომ გათავისუფლებისას გ. ბ-ეს 2012 წლის კუთვნილი გამოუყენებელი შვებულება აუნაზღაურდა 734 ლარის ოდენობით, რაც სამინისტროს მოსაზრებით შეადგენდა 25 დღის თანხას იმ დასაბუთებით, რომ გ. ბ-ეს უფლება ჰქონდა კალენდარული წლის განმავლობაში ესარგებლა 30-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით, საიდანაც 5 დღე 2012 წლის თებერვალში გამოიყენა, ამდენად, დარჩა ასანაზღაურებელი 25 დღე, რაც ანაზღაურდა. სასამართლომ სამინისტროს მოსაზრება არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დე-

ბულების“ მე-9 თავის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვინაიდან გ. ბ-ეს საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ნამსახურობის წლები აღემატებოდა 10 წელს, 2012 წლის მორიგი შვებულება ეკუთვნოდა 45 დღე და არა 30 დღე. მართალია „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 11.3 მუხლით სამხედრო მოსამსახურის ყოველწლიური კუთვნილი შვებულების ოდენობად მითითებულია 30 კალენდარული დღე, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულება“ ახდენს სამხედრო მოსამსახურეების დიფერენცირებას სტატუსისა და ნამსახურობის წლების მიხედვით, რის გამო სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ამ უკანასკნელ რეგულაციას და მიიჩნია, რომ სწორედ მისი გამოყენება უნდა მომხდარიყო განსახილველი შემთხვევის გადაწყვეტისას. ამდენად, ნამსახურების სტატუსის გათვალისწინებით გ. ბ-ის კუთვნილი შვებულების ხანგრძლივობა შეადგენდა 45 დღეს, თუმცა 2012 წელს მას მორიგი ანაზღაურებადი შვებულებით არ უსარგებლია. სასამართლოს მოსაზრებით, სამინისტრომ არ შეასრულა კანონის დანაწესი გ. ბ-ის გათავისუფლებამდე მისთვის 45-დღიანი კუთვნილი შვებულების მიცემის შესახებ, რის გამო წარმოიშვა სამინისტროსათვის გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. საქართველოს შეიარაღებული ძალების ...ის ... სარდლობის მე-... ქვეითი ბრიგადის 06.06.2017 წ. ცნობის თანახმად, გ. ბ-ის ხელფასი შეადგენდა 1176 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ გ. ბ-ეს 2012 წლის შვებულებით არ უსარგებლია, ამასთან, მას ეკუთვნოდა 45-დღიანი შვებულება, შესაბამისად, ხელფასის თანხა უნდა გაიყოს 1 თვეზე ანუ 30 დღეზე და გამრავლდეს გამოუყენებელი შვებულების დღეებზე ანუ 45 დღეზე (1176/30\*45).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.10.17წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.18წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.18წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუ-

სის შესახებ“ კანონის 11.4 მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლისას სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. ამასთანავე, ოჯახური მდგომარეობის ან სხვა მიზეზით სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი შვებულება 10 დღემდე ვადით, რომელიც არ ითვლება მორიგი შვებულების ანგარიშში. ამდენად, კასატორი თვლის, რომ გ. ბ-ის კუთვნილი შვებულების ხანგრძლივობა იყო 30 და არა 45 დღე, რადგან 45-დღიანი შვებულების მიცემის შესაძლებლობაზე მითითება ხდება საქართველოს პრეზიდენტის 26.10.1998წ. №609 ბრძანებულებით დამტკიცებულ „დებულებაში“, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად იერარქიულად საქართველოს კანონზე დაბლა დგას. კასატორმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ეს 2012 წლის შვებულებიდან ნასარგებლები აქვს 5 დღით. მოკლევადიანი შვებულება გაიცემა ოჯახური მდგომარეობის გამო, რასაც ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, აღნიშნული 5-დღიანი შვებულება არ წარმოადგენდა მოკლევადიან შვებულებას. კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.04.2019წ. განჩინების გაუქმებას და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე უდავოდ დადგენილად არის მიჩნეული, რომ მოსარჩელის – ლ. მ-ის მეუღლე გ. ბ-ე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, საიდანაც გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 10.05.2012წ. ბრძანებით 2012 წლის 02 აპრილიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. 2012 წლის საანგარიშო პერიოდში გ. ბ-ემ ისარგებლა კუთვნილი შვებულების 5 დღით, ხოლო 25 დღის გამოუყენებელი შვებულების თანხა, ჯამში – 734 ლარი მიღებული აქვს 2012 წლის №3 საშვებულებო უწყისით. ...ნ. გ. ბ-ე გარდაიცვალა, ნ. მის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაწილეობა გაიცა მეუღლის – ლ. მ-ის სახელზე. 2016 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ლ. მ-მა განცხადებებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მისი ოჯახისთვის მიყენებული მატერიალუ-

რი ზიანის, მათ შორის, გ. ბ-ის მიერ 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების ანაზღაურების მოთხოვნით. სამინისტროს მიერ განცხადებების განხილვაზე უარის თქმის შემდგომ – 02.10.2017წ. ლ. მ-მა სარჩელი წარადგინა სასამართლოში და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა მეუღლის გ. ბ-ის 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების დღეების თანხის – 1030 ლარის ანაზღაურება. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. ბ-ის მიერ 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების ანაზღაურების მიღებიდან გარდაცვალებამდე სათანადო წესით რაიმე სახის, სამართლებრივად მნიშვნელობის მქონე პრეტენზიის განცხადება მიღებული თანხის ოდენობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის თვალსაზრისით რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დროს. დრო ინვესტს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.04.2003წ. №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III). ვადა დასაწყისითა და დასრულების მომენტით შემოფარგლული განსაზღვრული ან განსაზღვრებადი დროის შუალედია, იგი უთითებს სამართლებრივად მნიშვნელოვან დროის პერიოდზე, რომლის ფარგლებში სამართლებრივი შედეგის წარმოშობი რაიმე ქმედება ან ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს. დავის გადანაცვების მიზნებისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ვადებს შორის ერთ-ერთი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა, განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა მომეტებულად დაცვის ღირსია (სუსგ 21.06.2022წ. №ას-34-2022, 172 პ.).

მართალია, დავის სასამართლოს მიერ განხილვის ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ასპექტს შეადგენს, თუმცა მას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი და სათანადო შეზღუდვებს ექვემდებარება, რადგან აღნიშნული უფლება თავისი ბუნებით სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებას გულისხმობს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 22.10.1996წ. №22083/93; 22095/93 გადაწყვეტილება საქმეზე

„Stubbings and others v. the United Kingdom“). სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ნორმატიულად დადგენა ემსახურება სამართლებრივი განსაზღვრულობის ლეგიტიმურ მიზანს, მათი მეშვეობით ერთი მხრივ, ხდება პოტენციური მოპასუხეების დაცვა ვადაგასული მოთხოვნებისგან, ხოლო მეორე მხრივ, ხდება სასამართლოს გათავისუფლება ისეთ სასარჩელო მოთხოვნაზე გადანყვეტილების მიღების ვალდებულებისაგან, რომელიც ეფუძნება დროის ფაქტორის გათვალისწინებით არასრულად და ნაკლებ განსაზღვრულად ქცეულ მტკიცებულებებს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 07.07.2009წ. №1062/07 გადანყვეტილება საქმეზე „Stagno v. Belgium“). სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება კანონმდებლობის მიერ დადგენილი ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადანყვეტილების მიღება. სწორედ სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის და ბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს თავისი უფლების იძულებით განხორციელების ან დაცვის შესაძლებლობა ეძლევა (სუსგ 07.12.2020წ. №ბს-326(კ-19)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელზე უფლება ორ ნაწილს მოიცავს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. ვინაიდან სასარჩელო ხანდაზმულობა დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადაა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას, რის გამო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობის მიუხედავად სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება არ ხდება (სუსგ 21.06.2022წ. №ას-34-2022, 177, 179 პ.). თავისი ბუნებით ვადა იურიდიული ფაქტია, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებისა და ვალდებულების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. სასამართლოსთვის ხანდაზმულობის ვადის გაცდენით მიმართვა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური თვალსაზრისით და ქმნის სარჩელის უარყოფის საფუძველს (სუსგ 13.09.2021წ. №ბს-1320(კ-19)).

ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პირის მოთხოვნის შინაარსსა და სამართლებრივ ბუნებაზე. კანონმდებ-

ლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ზოგად და სპეციალურ ვადებს. ხანდაზმულობის სპეციალური ვადის განსაზღვრა და კონკრეტულ მოთხოვნებზე მისი გავრცელების გამორიცხვა ნორმატიულად ხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურება. არსებულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტა მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების გარკვევას საჭიროებს. უკეთუ მოთხოვნილ თანხას თანამდებობრივ სარგოდ მოვიაზრებთ, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლება და თანხის ანაზღაურება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის მოქმედების პირობებში მოხდა, რომლის 134<sup>1</sup> მუხლი სახელფასო დავალიანების კანონისმიერ აღიარებად იყო მიჩნეული (სუსგ 07.12.2020წ. №ბს-326(კ-19)), შესაძლოა განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა გარკვეული თავისებურებებით ხანიათდებოდეს.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ დასაქმების პერიოდში – სამსახურში მიღების მომენტიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მათ შორის, შვებულებით სარგებლობის პერიოდში, პირი იღებს შესაბამის თანამდებობრივ სარგოს. შვებულების დროს პირის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება, თუმცა მას შესაბამისი თანამდებობრივი სარგო უნარჩუნდება. დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოფის დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამდენად, შრომითი ურთიერთობის არსებობისას გამოყენებული საშვებულებო დღეების ანაზღაურება შრომის ანაზღაურების დეფინიციაში ექცევა, თუმცა ვითარება იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილია, პირი სამსახურიდან გათავისუფლებულია და მოთხოვნილია იმ შვებულების დღეების ანაზღაურება, რომლის გამოყენებაც დასაქმების პერიოდში მოსამსახურის მიერ ვერ განხორციელდა. ასეთ შემთხვევაში, სათანადო ნორმატიული წინაპირობების არსებობისას, გათავისუფლებული პირი კვლავ იღებს შვებულების დღეების ანაზღაურებას, რომელიც რაოდენობრივად დასაქმების პერიოდში მიღებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობას ემთხვევა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სრულად იცვლება გასაცემი თანხის სამართლებრივი ბუნება. გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურებას ასეთ შემთხვევაში საკომპენსაციო დანიშნულება აქვს, სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ამ თანხის გაცემით დამსაქმებელი ახდენს არა თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურებას,

რომელიც იგულისხმება, რომ დასაქმების სრული პერიოდის განმავლობაში პირს უკვე მიღებული აქვს, არამედ გასცემს ერთგვარ კომპენსაციას შრომითი ურთიერთობის დამსაქმებლის მიერ შეწყვეტის შედეგად დასაქმებულის მხრიდან შვებულების გამოყენების შესაძლებლობის მოსპობის სანაცვლოდ. სწორედ დამსაქმებლის მიერ პირის გათავისუფლების შესახებ ნების გამოვლენა გამორიცხავს დასაქმებულის მიერ მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც განაპირობებს დამსაქმებლის მიერ გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ვალდებულებას. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება წარმოადგენს დასაქმებულის დასვენების დროს, რომელიც ეძლევა დასაქმებულს ყოველწლიურად სამუშაო ადგილისა და ხელფასის შენარჩუნებით, დასაქმების პერიოდში შვებულების გამოუყენებლობის შემთხვევაში დასაქმებული ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და იღებს შესაბამის ანაზღაურებას, ამიტომ დასაქმების პერიოდში წლის მანძილზე გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურებით შეცვლა არ ხდება, თუმცა ვინაიდან დათხოვნილი მუშაკისათვის შვებულების მიცემა უკვე შეუძლებელია, ხდება გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურების თანხა არ ექცევა შრომის ანაზღაურების დეფინიციაში და საკომპენსაციო თანხას შეადგენს, რის გამო გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხასთან მიმართებით არ ვრცელდება შრომის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არსებული სპეციფიკური წესი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა (მაგ.: სუსგ 06.11.2020წ. №ბს-172(კ-20), 04.03.2021წ. №ბს-1334(კ-19) და სხვ.), ვინაიდან თანხის ანაზღაურებით ხდება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების – ანაზღაურებადი შვებულების გაცემის ჩანაცვლება, შვებულების დღეებით სარგებლობის ნაცვლად, პირს ეძლევა შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. დასაქმებულისათვის ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება ყოველწლიურად ენიჭება, შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოთხოვნის უფლების მქონე პირმა – დასაქმებულმა ერთიანად, წინსწრებით მოითხოვოს დამსაქმებლისგან მომავალში შესასრულებელი ვალდებულებების –

ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების გაცემის, შესრულება. ანაზღაურებადი შვებულების გაცემა ყოველწლიურად განმეორებად შესრულებაში გამოიხატება, ეს ვალდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში რეგულარულად თავიდან წარმოიშობა და ამდენად, ერთმნიშვნელოვნად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას შეადგენს. გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება შვებულების გამოუყენებლობით დამდგარ შედეგს აკომპენსირებს და ამდენად, ანაცვლებს შვებულების მოთხოვნის უფლებას, რის გამო გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე სწორედ სკ-ის 129.2 მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა სამართალურთიერთობის დროში ორგანიზების საშუალებაა და დროის კონკრეტულ მონაკვეთს აღნიშნავს, რომლის ფარგლებში მოთხოვნის უფლების მქონე პირი შეუზღუდავად სარგებლობს თავისი უფლებით, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი კრედიტორი კარგავს თავისი მოთხოვნის იძულებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამდენად, მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისისა და დასრულების მომენტის ზუსტი განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ (სკ-ის 130-ე მუხ.). საერთო წესის თანახმად, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა უფლების დარღვევისთანავე შეიტყო დამდგარი ზიანის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, რადგან სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას (სუსგ 11.05.2016წ. №ბს-710-702(2კ-15)). განსახილველ შემთხვევაში საქმეზე უდავოდ დადგენილ გარემოებად არის მიჩნეული, რომ 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების თანხა – 734 ლარი გ. ბ-ეს მიღებული აქვს 2012 წლის №3 სამშვებულებო უწყისით. ამასთანავე, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ გ. ბ-ემ თანხის მიღებისთანავე ან შემდგომ პერიოდში, მის გარდაცვალებამდე, სადავო გახადა მიღებული თანხის ოდენობა. საქმეში დაცულ №3 სამშვებულებო უწყისზე მის თარიღად მითითებულია 2012 წლის მაისი. ამასთანავე, ლ. მ-ის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2016 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში წარდგენილ განცხადებებში ლ. მ-ი ადასტურებს, რომ მისმა მეუღლემ გ. ბ-ემ 2012



ნლის მაისში დაასრულა სამხედრო სამსახური, მასთან განხორციელდა საბოლოო ანგარიშსწორება და 2012 წლის მაისის №3 უწყისით აუნაზღაურდა 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების თანხა – 734 ლარი. მართალია, საბოლოო ანგარიშსწორებაზე მითითება ხდება იმ კონტექსტში, რომ ანგარიშსწორება განხორციელდა 2012 წლის აპრილის და არა მაისის მდგომარეობით, თუმცა განმსაზღვრელია ის, რომ ლ. მ-ი ადასტურებს საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებას და 2012 წლის მაისის №3 უწყისით გ. ბ-ისათვის 2012 წლის შვებულების გამოუყენებელი დღეების თანხის – 734 ლარის ანაზღაურებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. მ-ის განცხადებებში, სარჩელში, სააპელაციო თუ საკასაციო შესაგებლებში არ ხდება მითითება იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ეს შვებულების გამოუყენებელი დღეების თანხა არა 2012 წლის მაისში, არამედ მოგვიანებით აუნაზღაურდა. ამასთანავე, მსგავსი განმარტების გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა საქმეში დაცული რომელიმე მტკიცებულება, რის გამო, საქმის მასალებისა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც სავალდებულოდ ითვლება საკასაციო სასამართლოსთვის, ვინაიდან წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (სსკ-ის 407.2 მუხ.), საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ გ. ბ-ეს 2012 წლის გამოუყენებელი შვებულების დღეების ანაზღაურება მიეცა 2012 წლის მაისში, თანხის კონკრეტული ოდენობა გ. ბ-ის მიერ სათანადო წესით სადავო არ გამხდარა იმის მიუხედავად, რომ 2012 წლის მაისში მას ჰქონდა ინფორმაცია მიღებული თანხის ოდენობის და ანაზღაურების გაცემაზე ვალდებული სუბიექტის შესახებ. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლების და საშვებულებო კომპენსაციის მიღების შემდეგ, გ. ბ-ეს წარმოეშვა მოთხოვნის უფლება სადავოდ გაეხადა ანგარიშსწორების ხარვეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გ. ბ-ის აღნიშნული მოთხოვნის რეალიზება ექცეოდა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ფარგლებში, რომლის დენაც გ. ბ-ისათვის საშვებულებო კომპენსაციის ანაზღაურების მომენტიდან დაიწყო.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საშვებულებო უწყისზე 2012 წლის მაისის კონკრეტული დღის მიუთითებლობა არ ქმნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დამაბრკოლებელ გარემოებას, რადგან №3 უწყისზე აღნიშნულია საშვებულებო კომპენსაციის ანაზღაურების წელი და თვე, რაც უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ესთან ანგარიშსწორება განხორციელდა მისი გათავისუფლებიდან – 10 მაისიდან 01 ივნისამდე პერიოდში, ყველაზე გვიან გ. ბ-ესთვის სამ-

ვებულებო თანხის ანაზღაურება შეიძლება მომხდარიყო 2012 წლის მაისის ბოლო დღეს. შესაბამისად, გ. ბ-ეს მოთხოვნის უფლება შესაძლოა წარმოშობილიყო 2012 წლის 11 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდში, რომლის მომდევნო დღიდან დაიწყებოდა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა (სკ-ის 122-ე მუხ.). სკ-ის 123-ე მუხლის თანახმად, ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. ამდენად, ვინაიდან გ. ბ-ეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა მაქსიმუმ 2012 წლის 01 ივნისიდან, ხოლო აღნიშნულ მოთხოვნაზე 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება, ხანდაზმულობის ვადის დენა გაგრძელდებოდა 2015 წლის 01 ივნისამდე, თუმცა სარჩელი აღიძრა 2017 წლის ოქტომბერში, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით. აღნიშნულის მიუხედავად სარჩელის ხანდაზმულობა შესაძლოა გამოირიცხოს, რადგან ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე – ...ნ. მოთხოვნის უფლების მქონე პირი – გ. ბ-ე გარდაიცვალა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გარკვევისას, შეფასებას საჭიროებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლების არსებობა. როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩვეულებრივ მიმდინარეობს და მისი ამონურვის თარიღი მისი ათვლის მომენტიდან კონკრეტულად განსაზღვრული პერიოდის გასვლის კალენდარულ თარიღს ემთხვევა, თუმცა არის გარემოებები, რომელთა დადგომა ხანდაზმულობის ვადის დენის შემაფერხებელ ნორმატიულ საფუძვლებს ქმნის. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ერთ-ერთი კანონისმიერი წინაპირობაა განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალის არსებობა, რაც სარჩელის წარდგენას აბრკოლებს (სკ-ის 132-ე მუხ. „ბ“ ქვ.პ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ სკ-ის 132-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის“ ცნებაში მოაზრებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ სტიქიური თუ საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც არღვევენ ...ის, სასამართლოსა თუ სხვა ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების რეჟიმს, არამედ აგრეთვე მოთხოვნის უფლების მქონე პირის გარდაცვალებაც, რადგან სახეზეა წინასწარ გაუთვალისწინებელი, შეუქცევადი და აუცდენელი გარემოების არსებობა, რაც ობიექტურად ქმნის სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელ პირობას. ამდენად, ზოგადად კრედიტორის გარ-

დაცვალება შესაძლებელია გახდეს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველი.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის გარდაცვალება იმთავითვე არ ადასტურებს სამართალურთიერთობიდან გამომდინარე არსებული მოთხოვნის უფლების გაუქმებას. გარდაცვლილი პირის ქონება, რომელიც მათ შორის, მოთხოვნის უფლებებსაც მოიცავს შესაძლოა გადავიდეს მამკვიდრებლის კანონით ან/და ანდერძით მემკვიდრეებზე (სკ-ის 1306-ე მუხ.), რის შედეგად მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით მემკვიდრე მამკვიდრებლის ჩანაცვლებას უზრუნველყოფს. მატერიალური სამართალი ითვალისწინებს ორი სახის უფლებამონაცვლეობას: უნივერსალურს ანუ ზოგად უფლებამონაცვლეობას, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა და სინგულარულ (კერძო) უფლებამონაცვლეობას, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება-მოვალეობანი. მემკვიდრეობა უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას ადასტურებს, რადგან ამ დროს მემკვიდრეზე გადადის უფლებრივი წინამორბედის – მამკვიდრებლის სრული ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, გარდა იმ უფლება-მოვალეობებისა, რომელთან მიმართებითაც, კონკრეტული სამართალურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა. პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და ქონებასთან, მაგრამ თავად სამართალურთიერთობა და ქონება აგრძელებს არსებობას. უკეთუ უფლებამონაცვლეობა სამართალურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე დასაშვებია, გარდაცვლილი პირის ნაცვლად ურთიერთობაში ჩნდება მისი უფლებამონაცვლე, რომელიც ანაცვლებს მამკვიდრებელს. მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები მემკვიდრეზე გადადის სრულად და უცვლელად, ისეთივე მდგომარეობაში და იმავე სახით, როგორც ეს მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე იყო. სწორედ ამიტომ, კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას და არა შეწყვეტას. მემკვიდრეობა არ ქმნის მოთხოვნის ახალ უფლებას, ხდება მხოლოდ მოთხოვნის სუბიექტის ჩანაცვლება, რის გამო მამკვიდრებლის სიცოცხლეში აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები (მათ შორის უმოქმედობა) ძალას ინარჩუნებს და შესაბამის იურიდიულ შედეგს წარმოშობს. უფლების მატარებელი პირის გარდაცვალება არ ქმნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ნორმატიულ საფუძველს, ხანდაზმულობის ვადის ხელახლა ათვლა კი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისას ხორციელდება (სკ-ის 141-ე მუხ.). ამდენად, პირის გარდაცვალება, სკ-ის

132-ე მუხლის გათვალისწინებით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ზოგად საფუძველს წარმოშობს, თუმცა ხანდაზმულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩერდება, თუ კრედიტორის გარდაცვალება ხდება ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში (სკ-ის 136.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში გ. ბ-ის მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან მის გარდაცვალებამდე გასული იყო სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადიდან დაახლოებით ორი წელი, შესაბამისად, ვადის ამონწურვამდე დარჩენილი იყო დაახლოებით 1-წლიანი პერიოდი, ამდენად, უდავოა, რომ სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოება არ წარმოშობილა ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში. თუმცა თუ შემაჩერებელი გარემოება წარმოიშვა ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვს თვემდე, მაგრამ განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაშიც, ხანდაზმულობის დენა მაინც შეჩერდება ვადის ბოლო ექვსი თვის დაწყებისთანავე (სკ-ის 136-ე მუხ.). ამდენად, შეფასებას საჭიროებს არა მხოლოდ სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობის, არამედ მისი აღმოფხვრის – სარჩელის წარდგენის ობიექტური შესაძლებლობის აღდგენის მომენტიც, რადგან სარჩელის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის მომენტი (მოცემულ შემთხვევაში – სამკვიდროს მიღების დრო) შესაძლოა განმსაზღვრელი იყოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საკითხის დადგენისას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა 6 თვემდე გრძელდება, უკეთუ ხანდაზმულობის ვადის ამონწურვამდე 6 თვეზე ნაკლები პერიოდი იყო დარჩენილი (სკ-ის 136-ე მუხ.).

სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას არ ადასტურებს ის გარემოება, რომ გ. ბ-ის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მონობა 27.01.2016წ. გაიცა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამკვიდროს მიღება შესაძლებელია განხორციელდეს არა მხოლოდ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით, არამედ აგრეთვე – სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით. ამასთანავე, თუ შემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი (სკ-ის 1421-ე მუხ. მე-2, მე-3 ნაწ.). სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალებით (სკ-ის 1319-ე მუხ.), სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან (სკ-ის 1424 მუხ.). სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება

მიჩნეული ან თუ თანახმაა სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე (სკ-ის 1426.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, საქმეში დაცულია გ. ბ-ის სამკვიდრო ქონებაზე ნოტარიუსის მიერ 27.01.2016წ. გაცემული №... სამკვიდრო მონუმობა, რომლის თანახმად ლ. მ-მა, როგორც გ. ბ-ის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ – მეუღლემ, მიიღო გ. ბ-ის სამკვიდრო სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (მე-4 პ.). ამასთანავე, სანოტარო აქტი არ შეიცავს რაიმე სახის მითითებას სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის გაშვების და შემდგომში მისი აღდგენის მიზნით განხორციელებული რაიმე ქმედებების შესახებ. ამდენად, საქმეში საინალმდგეო მტკიცებულებების არსებობის პირობებში, სამკვიდრო მონუმობის შინაარსის გათვალისწინებით, ვინაიდან ხაზგასმა ხდება სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით მიღებაზე, მიიჩნევა, რომ ლ. მ-მა სამკვიდრო მიიღო კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში – 2014 წლის 19 ნოემბრამდე (გ. ბ-ის გარდაცვალების თარიღი – ...წ.). ამ დროისათვის გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის მოთხოვნის ხანდაზმულობის საშინლიანი ვადის ამონურვამდე – 2015 წლის 01 ივნისამდე, დარჩენილი იყო ექვს თვეზე მეტი. სკ-ის 136.1 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების განმაპირობებელი გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ამასთანავე, ვადის დენის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დღიდან ვადის დენა განახლება და ხანდაზმულობის დარჩენილი ვადა 6 თვემდე გაგრძელდება (სკ-ის 136.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ვადის დენის დამაბრკოლებელი რაიმე გარემოების არსებობა არ დასტურდება, შესაბამისად, გამოირიცხება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავდაცვის სამინისტროსათვის (23.09.2016წ., 28.10.2016წ.) და სასამართლოსათვის მოთხოვნის წარდგენა (02.10.2017წ.) მოხდა აგრეთვე სამკვიდრო მონუმობის გაცემიდან ექვს თვიანი ვადის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაშიც კი თუ მიჩნეული იქნება, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდა ლ. მ-ის სახელზე სამკვიდრო მონუმობის გაცემამდე, მოთხოვნა მაინც ხანდაზმულია, რადგან სარჩელის აღძვრა (02.10.2017წ.) მოხდა ხანდაზმულობის ვადის განახლებიდან – სამკვიდრო მონუმობის გაცემიდან (27.10.2016წ.) 6 თვის გასვლის შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ დასტურდება ხანდაზმულობის ვადის დენის შემაფერხებელი გარემო-

ებები, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის ნორმატიული საფუძვლების არსებობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. მ-ის მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს ქმნის.

ზემოხსენებულთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის შეფასებას არ აბკოლებს სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითების არარსებობა, რადგან დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ადმინისტრაციულ პროცესში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. აღნიშნული თავისებურებები თავად სამოქალაქო და ადმინისტრაციული მატერიალური სამართლის არსობრივი სხვაობით არის განპირობებული, რადგან სამოქალაქო პროცესში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მხარეთა ნების ავტონომიის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს და სათანადო მახასიათებლებსაც შეიცავს, ხოლო ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპი ადმინისტრაციულ მატერიალურ სამართალში მოქმედი პრინციპების გათვალისწინებით გარკვეულ თავისებურებებს ავლენს. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი კანონიერების პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელის ცნობისა და მორიგების უფლებაც კი არ აქვს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქართველოს კანონმდებლობას ენიშნა აღმდგეგება (სასკ-ის 3.2 მუხ.). ამასთანავე, სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში სასამართლოსათვის ადმინისტრაციული ორგანოს ნების კორექტირების შესაძლებლობის მიცემა არ უარყოფს ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედ შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც მხარეებს აღჭურავს თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები (სასკ-ის მე-4 მუხ., სსკ-ის 4.1 მუხ.). ადმინისტრაციულ პროცესში, ისევე როგორც სამოქალაქო სასამართლო წარმოებისას მხარეთა აქტიურობას, მათ შორის სარჩელისა თუ შესაგებლის დასაბუთებას, სათანადო ფაქტებზე მითითებას, მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებთან მიმართებით მტკიცებულებების წარდგენას და სხვ., არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში მოსამართლე აღჭურვილია თავისი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარდგენის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების (სასკ-ის მე-4 მუხ.), საკუთარი ინიციატივით ფაქტობრივი

გარემოებების და მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილებით (სასკ-ის 19.1 მუხ.), იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათზე მხარეებს სასამართლო წარმოების ფარგლებში არ მიუთითებიათ. სამოქალაქო პროცესში მხარეების მიერ შეჯიბრებითობის ფარგლებში წარდგენილი ფაქტები ბოჭავს სასამართლოს, ადმინისტრაციული დავებისგან განსხვავებით, სადაც ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით მოსამართლე ბევრად ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს. ხანდაზმულობის ვადა დროის გარკვეულ პერიოდს მოიცავს, რომლის ათვლის დასაწყისისა და დასრულების მომენტები ფაქტის კატეგორიას განეკუთვნება, რის გამო ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო, ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარის მითითების მიუხედავად, აღჭურვილია მათი დადგენის უფლებამოსილებით. ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოს კანონის საფუძველზე უფლებამოსილების განხორციელებისადმი არსებული საჯარო ინტერესის დაცვა. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი კანონიერების პრინციპი, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის საჭიროება, დავის სამართლებრივი შედეგის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი (სამოქალაქო დავისგან განსხვავებით ადმინისტრაციული დავა შესაძლოა ერთ პირთან მიმართებით გადაწყდეს, თუმცა განსაზღვროს მსგავს სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფი სხვა არაერთი პირის ბედი), ასევე განაპირობებს ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების საჭიროებას. გადაწყვეტილების მიღება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვით წარდგენილ მოთხოვნებთან მიმართებით სწორედ საჯარო ინტერესში ექცევა. ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის მნიშვნელოვან მიზნებს შორის სახელდება: სამართლებრივი უსაფრთხოების ..., სასამართლოსათვის მიმართვის დროის ფარგლების განსაზღვრა, პოტენციური მოპასუხის დაცვა, სასამართლოს მიერ გარკვეული დროის გასვლის გამო არასრულად ქცეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების გამორიცხვა და სხვ. (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 22.10.1996წ. №22083/93; 22095/93 გადაწყვეტილება საქმეზე „Stubblings and others v. the United Kingdom“). სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებელს შეადგენს. უფლების მუდმივი საეჭვოობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგე-

ბა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05.11.2013წ. №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 27-ე პ.). ხანდაზმულობის ვადების არსებობა სამართალური თვითობის მონანილებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს დავა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამოირიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს (სუსგ 30.10.2014წ. №ბს-312-308(კ-14)). ხანდაზმულობის ვადის გასვლა არა მხოლოდ მოპასუხის იძულებით შესრულებისგან გათავისუფლების წინაპირობაა, არამედ, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე, კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის იძულებით განხორციელებაზე უარის თქმასაც მოიაზრებს. მართალია, ვალდებულების არსებობისას კრედიტორს აქვს ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური მოლოდინი და ასევე იმის ცოდნა, რომ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებლობის შემთხვევაში, მისი მოთხოვნა იძულებით განხორციელდება, თუმცა დაცვის ღირსი არ არის კრედიტორის მოლოდინი განუსაზღვრელად, ნებისმიერ დროს, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესახებ, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება სათანადო ნორმატიულ დასაბუთებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალური თვითობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, რის გამო იგულისხმება, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.). აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დანიშნულება ან ფუნქცია არ აქვს, რის გამო მისი გამოყენება დაიშვება აგრეთვე ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით. სათანადო წესით გამოქვეყნებული, მოქმედი ნორმის გამოყენება არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული (სუსგ 20.12.2019წ. №ბს-638-634(2კ-17)). აღნიშნულის გათვალისწინებით, კრედიტორის მიერ სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დარღვევით წარდგენის ნეგატიური შედეგები სწორედ მისი პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა.

საკასაციო პალატა კვლავ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადაა დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, უფ-



ლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას (სუსგ 16.05.2019წ. №ბს-590-590(კ-18)). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ლ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო. ამასთანავე, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გათვალისწინებით, აღარ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ საფუძვლიანობასთან მიმართებით მსჯელობის საჭიროება, თუმცა საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საქმის მასალების თანახმად, გ. ბ-ის გათავისუფლების საფუძველი იყო ნორმატიულად დადგენილი ზოგადი წესი – ზღვრული ასაკის მიღწევა და არა დამსაქმებლის ინიციატივა, ამდენად, კონკრეტული ასაკის მიღწევისას სამსახურიდან გათავისუფლება გ. ბ-ისთვის მოსალოდნელი და განჭვრეტადი შედეგი იყო, სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან ავადმყოფობის გამო დათხოვნა არ საჭიროებს მოსამსახურის გაფრთხილებას დათხოვნის შესახებ (საქართველოს მთავრობის 18.02.2014წ. №238 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის დებულების“ XVII თავის მე-6 პუნქტი), მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ „სამხედრო სამსახურის დებულების“ X თავის მე-4 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრულ ასაკთან დაკავშირებით დათხოვნის წინ შეიძლება მიეცეს კუთვნილი შვებულება, ამდენად ზღვრული ასაკის გამო დათხოვნის წინ შვებულების აღება არის მოსამსახურის უფლება და არა ვალდებულება, საქმის მასალებით არ დასტურება გ. ბ-ის მიერ კუთვნილი შვებულების მოთხოვნა და ხელმძღვანელობის მიერ ამ მოთხოვნაზე უარის თქმა. გ. ბ-ეს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის სურვილი არ გამოუხატავს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივა-

რი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.04.2019წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სსკპ სოციალური დავები

### დეკონილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1215(2კ-19)

10 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
გ. გოგიაშვილი

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 29 მარტს მ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ, სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდგომ, ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 17 ოქტომბრის №046/2016 დასკვნისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 თებერვლის №335 ბრძანების (მ. მ-ისათვის დეკონილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ) ბათილად ცნობა და მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მოსარჩელისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დეკონილის სტატუსის მინიჭების თაობაზე) გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მ. მ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. მ-ეის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. მ-ეის სარჩელი; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 17 ოქტომბრის №046/2016 დასკვნა; ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 თებერვლის №335 ბრძანება, მ. მ-ეისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხეებს დაევალიათ კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. მ-ეისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ აღმოსავლეთ საქართველოში 2016 წლის 17 ოქტომბერს გასცა №1132/01 ცნობა, რომლის თანახმად, მ. მ-ე (პ/ნ ...) დაბადებიდან 1985 წლამდე ცხოვრობდა ქ. ტყვარჩელში.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ 2003 წლის 31 დეკემბერს გაცემული დევნილის მონმობის თანახმად, მ. მ-ეის, ოჯახის ნომრით 01312, დროებით მისამართად დაფიქსირდა: ...ის ქ. №17.

დაბადების მონმობის თანახმად, (ნოტარულად დამონმებული 2017 წლის 10 აპრილს) ა. რ-ი დაიბადა ... წლის ...ს, ცხინვალის რაიონში, სოფელ ...ში. მისი მშობლები არიან ს. რ-ი და მ. რ-ი. 2017 წლის 10 აპრილს ნოტარულად დამონმებული დაბადების მონმობის თანახმად, დ. რ-ი დაიბადა – ... წლის ...ს ცხინვალის რაიონში, სოფელ ...ში. მისი მშობლები არიან ს. რ-ი და მ. რ-ი.

მ. მ-ემ ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენ სამუშაო ჯგუფს №46 განცხადებით მიმართა 2016 წლის 12 ოქტომბერს და მოითხოვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება. იმავე განცხადების თანახმად, იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა გორის რაიონის, სოფელ ...ში, ხოლო 2001 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში.

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 17 ოქტომბრის №046/2016 დასკვნის თანახმად, სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა მ. მ-ის 2016 წლის 12 ოქტომბრის №46 განცხადება, მასზე და მისი ოჯახის წევრებზე დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე. განსახილველი საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მ. მ-ე ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში, ოჯახთან ერთად (მეუღლე – 2003 წელს გარდაცვლილი ს. რ-ი, შვილები – დ. რ-ი და ა. რ-ი) 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე საკუთრებაში ფლობდა საცხოვრებელ ბინას და მიწის ნაკვეთებს. აღნიშნულ სოფელში ოჯახი მუდმივად ცხოვრობდა 1998 წლამდე, ხოლო 1998 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამის შემდგომ, ისინი ზაფხულობით, სეზონურად ბრუნდებოდნენ სოფელ ...ში მდებარე, კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში.

მ. მ-ემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მიმართა 2016 წლის 20 ოქტომბრის №52116/01 განცხადებით და მოითხოვა დევნილის სტატუსის მინიჭება. მისი განმატებით, დაიბადა ქ. ტყვარჩელში, 1964 წლის 26 ივლისს. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა ქ. ტყვარჩელში. 1985 წელს დაოჯახდა და საცხოვრებლად გადავიდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ომის დაწყებამდე მუშაობდა ქ. ცხინვალის რაიონულ პოლიკლინიკაში. ომის დაწყების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის სოფელში, სადაც 1998 წლამდე ცხოვრობდა, თუმცა ეს საცხოვრებელი მიატოვა გაუსაძლისი პირობების გამო.

ადმინისტრაციული საქმის წარმოების ფარგლებში, მ. მ-ეს (პ/ნ ...) ჩაუტარდა გასაუბრება 2016 წლის 27 ოქტომბერს. გასაუბრებისას მ. მ-ემ განაცხადა, რომ დაიბადა 1964 წლის 26 ივლისს. 1984 წელს დაოჯახდა ...ში. იძულებით გადაადგილებამდე ცხოვრობდა დედამთილთან – მ.ა. რ-ითან (გარდაიცვალა 1999 წელს), მეუღლესთან – ს. რ-ითან (გარდაიცვალა 2003 წელს) და შვილებთან – დ. და ა. რ-იებთან ერთად. შვილები არ არიან დევნილები და ცხოვრობენ

მოსკოვში. იძულებით გადაადგილების შემდგომ ცხოვრობს მამას-თან – ა. მ-ესთან ერთად, რომელიც დევნილია და ცხოვრობს გორში. მ. მ-ემ დაამთავრა ტყვარჩელის №... საშუალო სკოლა 1980 წელს და სწავლა გააგრძელა რუსეთში 1985 წელს, აქვე საშუალო და ტექნიკური განათლება. იძულებით გადაადგილებამდე, 1985-1991 წლებში, იგი მუშაობდა ცხინვალის რაიონის პოლიკლინიკაში, ...ად. იძულებით გადაადგილებამდე მის მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენდა გორში, ...ში მდებარე ორსართულიანი სახლი. მუდმივი საცხოვრებელი დატოვა 1998 წელს და ამის შემდგომ მუდმივად ცხოვრობს რუსეთში, რადგან სოფელში ცხოვრება გაუსაძლისი იყო. სახლის დატოვების შემდეგ, აღარ დაბრუნებულა და ამჟამად ცხოვრობს ქ. გორში, ...ის ქუჩაზე არსებულ №... ...ის შენობაში. მეუღლე 1991 წლამდე ქ. ცხინვალში მუშაობდა მძღოლად.

მ. მ-ეს აქვს ორმაგი მოქალაქეობა. შვილებს 1998 წლამდე სკოლაში არ უვლიათ, ხოლო 1998 წელს სწავლა დაიწყო რუსეთში. 2002 წლიდან საკუთრება გააჩნია რუსეთში. 1997 წლიდან მას მინიჭებული ჰქონდა დევნილის სტატუსი, მაგრამ შემდგომ რეგისტრაციები ვერ გაიარა. ამონარიდით იძულებით გადაადგილებულ პირთა სიიდან, რომელიც შეივსო 1996 წლის 17 აგვისტოს, დგინდება, რომ სხვა პირებთან ერთად მ. მ-ის, დ. და ა. რ-ების დროებით მისამართს წარმოადგენდა ქ. გორი, ...ის ქ. №17, იძულებით გადაადგილებამდე ცხოვრობდნენ ტყვარჩელში, ...ის 1, 6/16-ში.

ბ. ა-ის, ლ. მ-ის, ი. მ-ის, ვ. მ-ის, ნ. მ-ის და სხვათა 2016 წლის 23 ოქტომბრის განცხადებით დგინდება, რომ მ. მ-ე 1998 წლამდე ქმარ-შვილთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა სოფ. ...ში, სოფლიდან მოშორებით, სადაც მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყო ოსებისა და რუსების ჯარი. ოჯახს შიშის ქვეშ უწევდა ცხოვრება მუდმივი სროლების გამო, რასაც ემატებოდა ის, რომ მათ სახლში განლაგებული იყო სამხედრო ნაწილი და ქართულ ბლოკ-საგუშაგოები. იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული პერიოდი მ. მ-ე შვილებთან ერთად თავს აფარებდა ბ. ა-ის ოჯახს, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. ამის შემდეგ, მართალია, იგი სისტემატიურად ჩადიოდა სოფელ ...ში, მაგრამ ღამეს ატარებდა სხვადასხვა ოჯახებში, რადგან მათ სახლში ცხოვრება საშიში იყო.

მ. მ-ის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში 2017 წლის 25 იანვარს ჩატარდა ზეპირი მოსმენა, სადაც გამოიკითხნენ: ი. მ-ი და ბ. ა-ი. ი. მ-მა განმარტა, რომ დაიბადა ... წელს, ქ. ცხინვალში, საშუალო განათლება მიიღო სოფელ ...ში და ბავშვობიდან იცნობს მ. მ-ეს. მისი განმარტებით, მ. მ-ის საცხოვრებელ სახლს იყენებდნენ სამხედრო პი-

რები, რის გამოც მისი ოჯახი ცხოვრობდა სხვადასხვა ნათესავის სახლში. დაახლოებით მე-3 და მე-4 კლასში იყვნენ ა. და დ. რ-ები, როდესაც სწავლობდნენ რუსეთში, თუმცა არ ახსოვს რომელ სკოლაში დაიწყო მათ სწავლა. მას ასევე, არ ახსოვს მ. მ-ის ოჯახი როდის წავიდა რუსეთში საცხოვრებლად. მისი ინფორმაციით, მ. მ-ის ოჯახს არ გააჩნდა საცხოვრებელი ფართი, გარდა იმ სახლისა, რომელიც მდებარეობდა სოფელ ...ში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს 2017 წლის 15 თებერვალს მოხსენებითი ბარათით მიმართა იმავე სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა, დევნილთა საკითხების დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, მ. მ-ისათვის (პ/ნ ...) იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭების მიზანშეუწონლობის თაობაზე. დევნილთა საკითხების დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, მოძიებული ინფორმაციის შესაბამისად, მ. მ-ესთან მიმართებაში არ დადასტურდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 15 თებერვლის №01-02/06-1476 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 თებერვლის №335 ბრძანების თანახმად, მ. მ-ეს უარი ეთქვა დევნილის სტატუსის მინიჭებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მონმის სტატუსით გამოკითხული ბ. ა-ის განმარტებაზე, რომ იგი ცხოვრობს თეთრიწყაროს რაიონში, ...ს დევნილთა დასახლებაში და მუშაობს ...ში, ...ად. მ. მ-ეს იცნობს სოფელ ...იდან, კერძოდ, ისინი ცხოვრობდნენ ერთ უბანში, თავად ცხოვრობდა ქვემოთ, ხოლო მ. მ-ე – ზემოთ, ტყის პირას. მ. მ-ემ 1991 წელს დატოვა სოფელი და ამის შემდგომ, ზაფხულობით ჩადიოდა სოფელში, მეზობლებთან სტუმრად. კუთვნილ სახლში ვეღარ რჩებოდა. მ. მ-ე ჯერ ცხოვრობდა დევნილთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ ფართში, რომელიც მდებარეობდა რუსთავში, შემდეგ კი ოჯახთან ერთად გადავიდა რუსეთში. მისივე განმარტებით, პერიოდულად სროლების გამო, მ. მ-ეს ეშინოდა თავის სახლში დარ-

ჩენა, მით უმეტეს, პატარა ბავშვებთან ერთად. ერთი პერიოდი ქართული ჯარი იდგა მის სახლში. მათი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა სოფელ ...ს საზღვართან, ტყის პირას, ხოლო იმ დროისთვის სოფელი ... დაიცალა. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად სროლებიც იყო და საშიში იყო ...ს სიახლოვეს ცხოვრება, ჩაითვალა, რომ ომი არ იყო. თავად ბ. ა-ი ცოტა ხნით, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, 1994 წლის შემდეგ, წავიდა რუსეთში, თუმცა ბავშვებმა ვერ შეძლეს იქ ცხოვრება და საცხოვრებლად დაბრუნდნენ სოფელში. საბოლოოდ, ბ. ა-იმა 2008 წელს დატოვა საცხოვრებელი სახლი.

მონმის სტატუსით გამოკითხული შ. ბ-ის განმარტებით, იგი ცხოვრობს გორში, დევნილთა დასახლებაში. მ. მ-ე არის მისი დისშვილის მეუღლე და იგი ცხოვრობდა სოფელ ...ში მდებარე ორსართულიან სახლში. ყველაზე ახლო მეზობელი ცხოვრობდა მისი სახლიდან 50-60 მეტრში. იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ-ეს და მის მცირეწლოვან შვილებს ძალიან ეშინოდათ, ხშირად იყვნენ შ. ბ-ის ოჯახში; მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივად იყო სროლები. მუდმივი შიშის გამო, ისინი საცხოვრებლად გადავიდნენ რუსთავში, სადაც 2-3 თვე ცხოვრობდნენ მისი დისშვილის ოჯახში და შემდეგ სადღაც შენობაში. მართალია, მ. მ-ე პერიოდულად სოფელში ჩადიოდა, მაგრამ შიშის გამო ღამეს სახლში არ ატარებდა. სახლი მეზობელს ჰქონდა დატოვებული. მ. მ-ე მოგვიანებით ოჯახთან ერთად წავიდა რუსეთში. სოფელში იყო დაძაბული მდგომარეობა, გარდა სროლისა, ადგილი ჰქონდა ადამიანთა მკვლელობასაც; აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ სოფელ ...დან ძალიან ბევრი წავიდა, თუმცა აქეთ მხრიდან ცოტანი იყვნენ წასულები.

მონმის სტატუსით გამოკითხული ნ. ტ-ის განმარტებით, იგი ცხოვრობს გორის დასახლებაში, ...ის კოტეჯებში. ადრე ცხოვრობდა სოფელ ...ში. მ. მ-ემ სოფელი დატოვა 1991 წლიდან, ვინაიდან მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავდა და ისინი ძალიან იყვნენ შეშინებული. მან აღინიშნა, რომ მათი საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა შემალლებულ ადგილას, საიდანაც კარგად ჩანდა ყველაფერი და უფრო საშიში იყო. თავად ნ. ტ-ი ცხოვრობდა მათი სახლიდან დაახლოებით 150 მეტრში, მაგრამ დაბლობზე და შედარებით შეუმჩნეველ ადგილას. 1988 წლიდან სოფელში იყო დაძაბული სიტუაცია, რის გამოც მისი ბავშვებიც ცხოვრობდნენ დეიდასთან, გორში. სოფელი ... ფაქტიურად დაცლილი იყო ქართველი მოსახლეობისაგან. მისი ინფორმაციით, იმ პერიოდისათვის გარკვეული პირები სარგებლობდნენ დევნილის სტატუსით, თუმცა ძირითადად ცხინვალის მაცხოვრებლები. ნ. ტ-ის განმარტებით, მ. მ-ე სოფელში ჩასვლის შემთხვევაში ღამეს ატარებდა სხვებთან, მას ნივთებიც კი ნ.



ტ-ის სახლში ჰქონდა დატოვებული. მისივე განმატებით, მიუხედავად არსებული მძიმე სიტუაციისა, 1992-94 წლებში სოფელ ...ში ცხოვრება მაინც შეიძლებოდა. საგანგებო სიტუაციის მიუხედავად, სკოლა არასოდეს არ დახურულა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მისანიჭებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების საფუძველს, ანუ იმ გარემოებას, რომ პირს იძულების წესით დატოვებული უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ მ. მ-ეს დევნილის სტატუსი მიენიჭა ქ. ტყვარჩელში რეგისტრაციის გამო 1996 წლიდან, მ. მ-ე 1984-85 წლებიდან ცხოვრობდა სოფელ ...ში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკითხული მოწმეების მიერ მითითებულ იმ გარემოებაზე, რომ მ. მ-ემ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არეულობის გამო ფაქტობრივად დატოვა 1991 წელს, ვინაიდან მ. მ-ეის საცხოვრებელი სახლი სოფელ ...ში მდებარეობდა სოფელ ...ს საზღვართან, ტყის პირას, შემალლებულ ადგილას, საიდანაც კარგად ჩანდა ყველა ადგილი. მ. მ-ეის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივად იყო სროლები. ომის დროს სოფელი ... სრულებით დაიცალა. მ. მ-ეის საცხოვრებელ სახლში ქართული ჯარი იყო დაბანაკებული და განლაგებული იყო ქართული ბლოკ-საგუშაგოები. იმ პერიოდში და შემდეგაც მუდმივი შიშის გამო, მ. მ-ე მცირეწლოვან შვილებთან ერთად, მეზობლების სახლში ათევდა ღამეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ეის საცხოვრებელი სახლის სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიულ ადგილას მდებარეობის გამო, მას და მის ოჯახს 1991 წლიდანვე შეეზღუდა იქ ცხოვრების შესაძლებლობა. უშუალოდ მისი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, იყო გამუდმებული სროლა, შეტაკებები, რის გამოც მის სახლში ცხოვრება შეუძლებელი გახდა და მოსარჩელეს შვილებთან ერთად დარჩენა და ლამის გათენება უწევდა მეზობლებისა და ნათესავების ოჯახებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება. მ. მ-ე, როგორც მონმეები განმარტავდნენ, 1991 წლიდან 1998 წლამდე მართალია, პერიოდულად ჩადიოდა ოჯახთან ერთად სოფელ ...ში, თუმცა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის გამო საკუთარ საცხოვრებელ სახლში ყოველდღიური ცხოვრების შესაძლებლობას მოკლებული იყო, რის გამოც იძულებული ხდებოდა სხვა პირთა სახლებში გაჩერებულიყო.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 17 ოქტომბრის №046/2016 დასკვნა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 თებერვლის №335 ბრძანება გამოცემული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სადავო საკითხი გამოეკვლია ყოველმხრივ, მტკიცებულებების სათანადო შეფასების საფუძველზე, მხოლოდ ამის საფუძველზე გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. მ-ეისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორები – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაუსაბუთებლად მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას და აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელე მ. მ-ე ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილად მაშინ, როდესაც საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან აშკარად ირკვევა, რომ მ. მ-ეს დევნილის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთიდან დევნილობის საფუძვლით, რადგან დაიბადა და გათხოვებამდე ცხოვრობდა ქალაქ ტყვარჩელში, ...ის 1, 6/16-ში. იმ პერიოდში დევნილის სტატუსი გაიცემოდა პასპორტის ჩანაწერის მიხედვით იმ პირებზე, რომლებიც აფხაზეთში იყვნენ რეგისტრირებული.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სწორედ აფხაზეთი წარმოადგენდა ოკუპირებულ ტერიტორიას 1996 წლისათვის და არა ერედვი.

კასატორები აღნიშნავენ, რომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სოფელი ...ი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად დაიკარგა და არა მანამდე, როდესაც იგი დატოვა მოსარჩელემ. მართალია, სოფელი ...ი მდებარეობდა ცხინვალთან ახლოს, ზოგჯერ ისმოდა სროლის ხმა, მაგრამ სოფელი ამის გამო არასდროს დაცლილა. თავად მოწმეებიც მიუთითებდნენ, რომ მიუხედავად სოფელში არსებული მძიმე სიტუაციისა, 1992-1994 წლებში სოფელი ...ში ცხოვრება მაინც შეიძლებოდა. 2008 წლის ოკუპაციამდე სოფელში ცხოვრება ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა, ფუნქციონირებდა სკოლა და მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ეცხოვრა საკუთარ სახლებში. კასატორის მითითებით, მოწმეები არ უთითებდნენ ძალადობის კონკრეტულ ფაქტებზე, როგორცაა თავდასხმა, მკვლელობა, მუდმივი საცხოვრებლის დატოვების იძულება, რაც შეიძლება მ. მ-ეის შიშის საფუძველი გამხდარიყო. მოწმეები აღნიშნავენ, რომ ქართული ჯარი სოფელში იდგა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის მშვიდობის უზრუნველსაყოფად და არა საომარი მოქმედებების წარმოებისათვის.

მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, კასატორები აღნიშნავენ, რომ ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფი გადანყვეტილების მიღებისას სხვა მტკიცებულებებთან ერთად დაეყრდნო 2016 წლის 23 ოქტომბრის მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მ. მ-ემ სოფელი ...ი დატოვა 1998 წელს. განცხადებას ხელს აწერდა სხვა მოწმეებთან ერთად ბ. ა-იც, რომელმაც შემდგომ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ თითქოს მოსარჩელემ სოფელი დატოვა

1991 წელს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ მართალია, დაადგინა მ. მ-ის მიერ სოფლის დატოვების ფაქტი, მაგრამ აღარ იმსჯელა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის წინაპირობებზე, რომლის მიხედვით მუდმივი საცხოვრებლის დატოვების საფუძველი უნდა იყოს იძულება და დევნილს არ უნდა ჰქონდეს უკან დაბრუნების შესაძლებლობა. კასატორების მითითებით, მ. მ-ეს შიშის გამო რომც დაეტოვებინა სოფელი ...ი 1991 წელს, საჭიროა არსებობდეს მეორე წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც დევნილს არ უნდა ჰქონდეს უკან დაბრუნების შესაძლებლობა. იმ მომენტში, როდესაც მოსარჩელემ დატოვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და საზღვარგარეთ წავიდა, სოფელი ...ი იმყოფებოდა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ. სოფელში განთავსებული ჯარი არც მის და არც მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნიდა, არამედ ცდილობდა მშვიდობის შენარჩუნებას და მოსახლეობის დაცვას. რეალურად მ. მ-ემ საკუთარი სურვილით, მატერიალური გაჭირვების გამო დატოვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და წავიდა საზღვარგარეთ. 2008 წლამდე მას სოფელში დაბრუნება და ცხოვრება თავისუფლად შეეძლო.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ ერედვის მუნიციპალიტეტი და შესაბამისად, სოფელი ...იც ოკუპირებულ ტერიტორიად იქცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, როდესაც საომარი მოქმედებების გამო მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი და სურვილის მიუხედავად დღემდე ვერ ბრუნდებოდა უკან. ერედვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს სწორედ 2008 წლის შემდგომ მიენიჭათ დევნილის სტატუსი და მ. მ-ესაც იმავე წესით მიენიჭებოდა დევნილის სტატუსი, მაგრამ 2008 წელს მას უკვე დატოვებული ჰქონდა არამარტო სოფელი ..., არამედ საქართველო. ცხოვრობდა, მუშაობდა და ქონება გააჩნდა რუსეთში და არის რუსეთის მოქალაქეც. მას საცხოვრებელი იძულებით არ დაუტოვებია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე – ვასილ როინიშვილი), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები.

მოსამართლე – ვასილ როინიშვილის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევის გამო, 2020 წლის 23 ივნისს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განაწილდა მოსამართლე – ქ. ცინცაძეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილი იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს მ. მ-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლიანობის შემოწმება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ აღმოსავლეთ საქართველოში 2016 წლის 17 ოქტომბერს გასცა №1132/01 ცნობა, რომლის თანახმად, მ. მ-ე (პ/ნ ...) დაბადებიდან 1985 წლამდე ცხოვრობდა ქ. ტყვარჩელში.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ 2003 წლის 31 დეკემბერს გაცემული დევნილის მოწმობით დგინდება, რომ მ. მ-ის, ოჯახის ნომრით 01312, დროებით მისამართად დაფიქსირდა: გორი, ...ის ქ. №17.

2017 წლის 10 აპრილს ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობით დგინდება, რომ დ. რ-ი დაიბადა 1985 წლის ...ს ცხინვალის რაიონში, სოფელ ...ში. მისი მშობლები არიან ს. რ-ი და მ. რ-ი.

2017 წლის 10 აპრილს ნოტარიულად დამონმებული დაბადების მოწმობით დგინდება, ა. რ-ი დაიბადა ... წლის ...ს, ცხინვალის რაიონში, სოფელ ...ში. მისი მშობლები არიან ს. რ-ი და მ. რ-ი.

2016 წლის 12 ოქტომბერს მ. მ-ემ განცხადებით მიმართა ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენ სამუშაო ჯგუფს და მოითხოვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება. ამავე განცხადების თანახმად, იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა გორის რაიონში, სოფელ ...ში, ხოლო 2001 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში.

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 17 ოქტომბრის №046/2016 დასკვნით დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა მ. მ-ეის 2016 წლის 12 ოქტომბრის №46 განცხადება, მასზე და მისი ოჯახის წევრებზე დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მ. მ-ე ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში, ოჯახთან ერთად (მეუღლე – 2003 წელს გარდაცვლილი ს. რ-ი, შვილები – დ. რ-ი და ა. რ-ი) 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე საკუთრებაში ფლობდა საცხოვრებელ ბინას და მიწის ნაკვეთებს. აღნიშნულ სოფელში ოჯახი მუდმივად ცხოვრობდა 1998 წლამდე, ხოლო 1998 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამის შემდგომ, ისინი ზაფხულობით, სეზონურად ბრუნდებოდნენ სოფელ ...ში მდებარე, კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში.

2016 წლის 20 ოქტომბრის მ. მ-ემ №52116/01 განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს და მოითხოვა დევნილის სტატუსის მინიჭება. მისი განმატებით, დაიბადა ქ. ტყვარჩელში, 1964 წლის 26 ივლისს. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა ქ. ტყვარჩელში. 1985 წელს დაოჯახდა და საცხოვრებლად გადავიდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ომის დაწყებამდე მუშაობდა ქ. ცხინვალის რაიონულ პოლიკლინიკაში. ომის დაწყების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის სოფელში, სადაც 1998 წლამდე ცხოვრობდა, თუმცა ეს საცხოვრებელი მიატოვა გაუსაძლისი პირობების გამო.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების ფარგლებში, მ. მ-ეს (პ/ნ ...) ჩაუტარდა გასაუბრება, 2016 წლის 27 ოქტომბერს. გასაუბრებისას მ. მ-ემ განაცხადა, რომ დაიბადა 1964 წლის 26 ივლისს. 1984 წელს დაოჯახდა ...ში. იძულებით გადაადგილებამდე ცხოვრობდა

დედამთილთან – მა. რ-ითან (გარდაიცვალა 1999 წელს), მეუღლესთან – ს. რ-ითან (გარდაიცვალა 2003 წელს) და შვილებთან – დ. და ა. რ-იებთან ერთად. შვილები არ არიან დევნილები და ცხოვრობენ მოსკოვში. იძულებით გადაადგილების შემდგომ ცხოვრობს მამასთან – ა. მ-ესთან ერთად, რომელიც დევნილია და ცხოვრობს გორში. მ. მ-ემ დაამთავრა ტყვარჩელის №6 საშუალო სკოლა 1980 წელს და სწავლა გააგრძელა რუსეთში, 1985 წელს. აქვს საშუალო და ტექნიკური განათლება. იძულებით გადაადგილებამდე, 1985-1991 წლებში, იგი მუშაობდა ცხინვალის რაიონის პოლიკლინიკაში, ...ად. იძულებით გადაადგილებამდე მის მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენდა გორში, ...ში მდებარე ორსართულიანი სახლი. მუდმივი საცხოვრებელი დატოვა 1998 წელს და ამის შემდგომ მუდმივად ცხოვრობს რუსეთში, რადგან სოფელში ცხოვრება გაუსაძლისი იყო. სახლის დატოვების შემდეგ, აღარ დაბრუნებულა და ამჟამად ცხოვრობს ქ. გორში, ...ის ქუჩაზე არსებულ №9 ...ო ...ის შენობაში. მეუღლე 1991 წლამდე, ქ. ცხინვალში მუშაობდა მძღოლად.

მ. მ-ე არის ორმაგი მოქალაქე. შვილებს 1998 წლამდე სკოლაში არ უვლიათ, ხოლო 1998 წელს სწავლა დაიწყო რუსეთში. 2002 წლიდან საკუთრება გააჩნია რუსეთში. 1997 წლიდან მას მინიჭებული ჰქონდა დევნილის სტატუსი, მაგრამ შემდგომი რეგისტრაციები ვერ გაიარა.

ამონარიდით იძულებით გადაადგილებულ პირთა სიიდან, რომელიც შეივსო 1996 წლის 17 აგვისტოს, დგინდება, რომ სხვა პირებთან ერთად მ. მ-ის, დ. და ა. რ-იების დროებით მისამართს წარმოადგენდა ქ. გორი, ...ის ქ. 17, იძულებით გადაადგილებამდე ცხოვრობდნენ ტყვარჩელში, ...ის 1, 6/16-ში.

ბ. ა-ის, ლ. მ-ის, ი. მ-ის, ვ. მ-ის, ნ. მ-ის და სხვათა 2016 წლის 23 ოქტომბრის განცხადების თანახმად, მ. მ-ე 1998 წლამდე ქმარ-შვილთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა სოფ. ...ში, სოფლიდან მოშორებით, სადაც მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყო ოსებისა და რუსების ჯარი. ოჯახს შიშის ქვეშ უწევდა ცხოვრება მუდმივი სროლების გამო, რასაც ემატებოდა ის, რომ მათ სახლში განლაგებული იყო სამხედრო ნაწილი და ქართულ ბლოკ-საგუშაგოები. იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული პერიოდი მ. მ-ე შვილებთან ერთად თავს აფარებდა ბ. ა-ის ოჯახს, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. ამის შემდეგ, მართალია, იგი სისტემატიურად ჩადიოდა სოფელ ...ში, მაგრამ ლამეს ატარებდა სხვადასხვა ოჯახებში, რადგან მათ სახლში ცხოვრება საშიში იყო.

მ. მ-ის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში 2017 წლის 25 იანვარს ჩატარდა ზე-

პირი მოსმენა, სადაც გამოიკითხნენ: ი. მ-ი და ბ. ა-ი.

ი. მ-ის განმარტებით, იგი დაიბადა ... წელს, ქ. ცხინვალში, საშუალო განათლება მიიღო სოფელ ...ში და ბავშვობიდან იცნობს მ. მ-ეს. მ. მ-ეის საცხოვრებელ სახლს იყენებდნენ სამხედრო პირები, რის გამოც მისი ოჯახი ცხოვრობდა სხვადასხვა ნათესავის სახლში. დაახლოებით მე-3 და მე-4 კლასში იყვნენ ა. და დ. რ-ები, როდესაც სწავლობდნენ რუსეთში, თუმცა არ ახსოვს რომელ სკოლაში დაიწყეს მათ სწავლა. მას, ასევე, არ ახსოვს მ. მ-ეის ოჯახი როდის წავიდა რუსეთში, საცხოვრებლად. მისი ინფორმაციით, მ. მ-ეის ოჯახს არ გააჩნდა საცხოვრებელი ფართი, გარდა იმ სახლისა, რომელიც მდებარეობდა სოფელ ...ში.

ბ. ა-ის განმარტებით, იგი დაიბადა 1967 წელს, ქ. ცხინვალში, საშუალო განათლება მიიღო სოფელ ...ში, ხოლო ტექნიკური განათლება – ქ. ცხინვალში. მ. მ-ეს იცნობს მისი დაოჯახებიდან, 1985 წლიდან. 1991 წლიდან მ. მ-ეის საცხოვრებელ სახლს იყენებდნენ სამხედრო პირები, რის გამოც ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას. იგი ზაფხულობით ბრუნდებოდა სახლში და დროებით ცხოვრობდა ხოლმე მეზობლებთან, მათ შორის, მასთან. ბ. მ. მ-ეისა და ს. რ-ის სამსახურის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. მათი შვილები – დ. და ა. რ-ები გარკვეული პერიოდი დადიოდნენ ქ. რუსთავის საშუალო სკოლაში. მისი განმარტებით, სოფელ ...ში მდებარე სახლის გარდა მ. მ-ეის ოჯახს სხვა საცხოვრებელი არ ჰქონიათ. 1998 წლის შემდეგ ოჯახი გადავიდა რუსეთში და ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდნენ სოფელ ...ში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 15 თებერვლის №01-02/06-1476 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 თებერვლის №335 ბრძანების თანახმად, მ. მ-ეს უარი ეთქვა დევილის სტატუსის მინიჭებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით გამოიკითხული ბ. ა-ის განმარტებით, იგი ცხოვრობს თეთრინყაროს რაიონში, ...ს დევილთა დასახლებაში და მუშაობს ...ში, ...ად. მ. მ-ეს იცნობს სოფელ ...იდან. კერძოდ, ისინი ცხოვრობდნენ ერთ უბანში, თავად ცხოვრობდა ქვემოთ, ხოლო მ. მ-ე – ზემოთ, ტყის პირას. მ. მ-ემ 1991 წელს დატოვა სოფელი და ამის შემდგომ, ზაფხულობით ჩადიოდა სოფელში, მეზობლებთან სტუმრად. კუთვნილ სახლში ვეღარ რჩებოდა. მ. მ-ე ჯერ ცხოვრობდა დევილთა სამი-



ნისტროს მიერ გამოყოფილ ფართში, რომელიც მდებარეობდა რუსთავში, შემდეგ კი ოჯახთან ერთად გადავიდა რუსეთში. მისივე განმარტებით, პერიოდულად სროლების გამო, მ. მ-ეს ეზინოდა თავის სახლში დარჩენა, მით უმეტეს, პატარა ბავშვებთან ერთად. ერთი პერიოდი ქართული ჯარი იდგა მის სახლში. მათი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა სოფელ ...ს საზღვართან, ტყის პირას, ხოლო იმ დროისთვის სოფელი ... დაიცალა. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად სროლებიც იყო და საშიში იყო ...ს სიახლოვეს ცხოვრება, ჩაითვალა, რომ ომი არ იყო. თავად ბ. ა-ი ცოტა ხნით, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, 1994 წლის შემდეგ, წავიდა რუსეთში, თუმცა ბავშვებმა ვერ შეძლეს იქ ცხოვრება და საცხოვრებლად დაბრუნდნენ სოფელში. საბოლოოდ, ბ. ა-იმა 2008 წელს დატოვა საცხოვრებელი სახლი.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით გამოკითხული შ. ბ-ის განმარტებით, იგი ცხოვრობს გორში, დევნილთა დასახლებაში. მ. მ-ე არის მისი დისშვილის მეუღლე და იგი ცხოვრობდა სოფელ ...ში მდებარე ორსართულიან სახლში. ყველაზე ახლო მეზობელი ცხოვრობდა მისი სახლიდან 50-60 მეტრში. იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ-ეს და მის მცირეწლოვან შვილებს ძალიან ეზინოდათ, ხშირად იყვნენ შ. ბ-ის ოჯახში. მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივად იყო სროლები. მუდმივი შიშის გამო, ისინი საცხოვრებლად გადავიდნენ რუსთავში, სადაც 2-3 თვე ცხოვრობდნენ მისი დისშვილის ოჯახში და შემდეგ სადღაც შენობაში. მართალია, მ. მ-ე პერიოდულად სოფელში ჩადიოდა, მაგრამ შიშის გამო ღამეს სახლში არ ატარებდა. სახლი მეზობელს ჰქონდა დატოვებული. მ. მ-ე მოგვიანებით ოჯახთან ერთად წავიდა რუსეთში. სოფელში იყო დაძაბული მდგომარეობა, გარდა სროლისა, ადგილი ჰქონდა ადამიანთა მკვლელობასაც. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ სოფელ ...დან ძალიან ბევრი წავიდა, თუმცა აქეთ მხრიდან ცოტანი იყვნენ წასულები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 17 ოქტომბრის №046/2016 დასკვნა; ასევე „მ. მ-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 თებერვლის №335 ბრძანე-

ბა და მოპასუხეებს კანონით დადგენილ ვადაში მ. მ-ეისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევა-ლათ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და აღნიშნულთან მიმართებაში მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე – „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება“ (05.04.18წ. №ბს-990-986(2კ-17) განჩინება).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა მოცემულ საქმეზე თავად გადაწყვიტა დავა და მოსარჩელე მ. მ-ეის მოთხოვნის ფარგლებში შეემონმებინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერება, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის ფარგლებში საკითხის სრულყოფილად განხილვისა და სწორად გადაწყვეტის მიზნით მიუთითებს შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებზე:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებს და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართვე-

ლოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს იძულებით გადაადგილებულად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება და ეს იძულება განპირობებული უნდა იყოს – უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

საკასაციო სასამართლო „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით, აღნიშნავს, რომ საომარი მოქმედებების დაწყება/შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა წარმოადგენს იმ ძირითად მიზეზს, რომელიც მუდმივ მაცხოვრებელს აიძულებს დატოვოს მის მიერ ამორჩეული მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საომარი მოქმედებები კი როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი დაინყო 2008 წელს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 17 ოქტომბრის №046/2016 დასკვნაზე და 2016 წლის 27 ოქტომბრის სტატუსის მაძიებლის – მ. მ-ეის გასაუბრების კითხვარზე, რომლითაც დასტურდება, რომ მ. მ-ეის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ოჯახთან ერთად (მეუღლე – 2003 წელს გარდაცვლილი ს. რ-ი, შვილები – დ. რ-ი და ა. რ-ი) 1998 წლამდე იყო ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში, ხოლო 1998 წლიდან მან დატოვა სოფელი ...ი, ხოლო შემდეგ გადავიდა რუსეთში მუდმივად საცხოვრებ-

ლად (ზოგიერთი მოწმე მ. მ-ის მიერ ...ის დატოვების თარიღად მიუთითებს ასევე 1994 წელსაც). სოფელი ...ის მ. მ-ის მიერ ყველაზე გვიან – 1998 წელს დატოვების ფაქტი სადავო არ არის და დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერაც. ამდენად, იმ პირობებში როდესაც, მოსარჩელე – მ. მ-ემ ერედვის მუნიციპალიტეტის, სოფელი ...ის დატოვა მინიმუმ 1998 წელს, ბუნდოვანია რამდენად აკმაყოფილებს იგი დევნილის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო სავალდებულო კრიტერიუმს, კერძოდ, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ საცხოვრებლის 1998 წელს დატოვება – საცხოვრებლის იძულების შედეგად დატოვებად და შემდგომი პერიოდი (2008 წლამდე) საცხოვრებელში დაბრუნების შეუძლებლობად, მაშინ როდესაც მოწმეთა ჩვენებით დასტურდება, მ. მ-ის მიერ, მისი სურვილის შესაბამისად 1998 წლიდან 2001 წლამდე პერიოდში სოფელ ...ში დროებით – ზაფხულობით დაბრუნების ფაქტები. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მასალებით (მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებით) ცალსახად დასტურდება სოფელ ...ში 2008 წლამდე დანარჩენი სოფლის მაცხოვრებლების ცხოვრების ფაქტი. ასევე დადგენილია, რომ სოფელ ...ის მაცხოვრებლებმა სოფელი სწორედ 2008 წელს დატოვეს. ამდენად, ბუნდოვანია, როგორ შეიძლება ჩაითვალოს, მ. მ-ის მიერ სოფლის 1998 წელს დატოვება იძულებით დატოვებად – დევნილის სტატუსის მინიჭების მიზნებისათვის, მაშინ როდესაც დანარჩენი სოფლის მაცხოვრებლები სოფელში 2008 წლამდე ცხოვრობდნენ და ტერიტორია იძულებით სწორედ 2008 წელს დატოვეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს მ. მ-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძლიანობაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სრულყოფილად უნდა შეაფასოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნულის შედეგად მიიღოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **დეკონილთა ბრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ან კომპენსაციის გაცემის წინაპირობები**

### **გადანყვებითილება საქართველოს სახელით**

№ბს-669(კ-21)

23 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**გ. აბუსერიძე,**

**ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2020 წლის 27 თებერვალს თ. ფ-ამ, ს. მ-ამ, დ. მ-ამ და ს. მ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველ-

ყოფის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, თ. ფ-ა არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. 2004 წლის 17 აპრილს იგი დაქორწინდა და შეეძინა 3 შვილი: ს. მ-ა (დაბადებული ...ნ.), დ. მ-ა (დაბადებული ...ნ.) და ს. მ-ა (დაბადებული ...ნ). მოსარჩელეთა მითითებით, დაოჯახების შემდგომ, 2004 წლიდან თ. ფ-ა ცალკე ოჯახს წარმოადგენდა, შესაბამისად, იგი არ მიეკუთვნებოდა მამამისის – რ. ფ-ას ოჯახს. 2009 წელს რ. ფ-ა სასტუმრო „...ში“ მოკავებული ფართის სანაცვლოდ დაკმაყოფილდა ფულადი კომპენსაციით, თ. ფ-ა და მისი შვილები კი ვერ ჩაითვლებიან კომპენსირებულად. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ თ. ფ-ა 2009 წელს იყო სრულწლოვანი, რის გამოც აღნიშნულ კომპენსირებასთან დაკავშირებით სავალდებულო იყო მისი თანხმობა, ასევე, ნოტარიული ხელმოწერა, რაც არ განხორციელებულა. მოსარჩელეთა განმარტებით, სამინისტრომ ყოველგვარი შემონემების გარეშე ჩათვალა მოსარჩელები სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილად, რაც მათი მოსაზრებით, მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უხეშად დაირღვა მათი უფლებები.

ამდენად, მოსარჩელებმა დევნილთა მონაცემთა ბაზაში კომპენსირებულ პირად მონიშვნის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოსათვის მოსარჩელების – თ. ფ-ას, ს. მ-ას, დ. მ-ას, ს. მ-ას კომპენსირებულთა სიიდან ამორიცხვის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ფ-ას, ს. მ-ას, დ. მ-ას და ს. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილება დევნილთა მონაცემთა ბაზაში კომპენსირებულ პირად მონიშვნის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც მოსარჩელები – თ. ფ-ა, ს. მ-ა, დ. მ-ა, ს. მ-ა ამორიცხული იქნებიან კომპენსირებულთა სიიდან.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, თ. ფ-ას (პ/ნ ...; დაბ. ...ნ.) სახელზე გაცემულია დევნილის მონმობა. აღნიშნული მონმობით დგინდება, რომ იგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილია. დევნილის მონმობაში დროებით საცხოვრებელ სახლად მითითებულია – ქ. თბილისი, ჩუღურეთი, მისამართის გარეშე. სარეგისტრაციო №..., გაცემის თარიღი – 01.02.2014წ.

სასამართლომ საქმეში არსებული ქორწინების მონმობით დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ფ-ასა და ბ. მ-ას ქორწინების მონმობის გაცემის თარიღი არის 2010 წლის 9 ივლისი, ხოლო ქორწინების თარიღია 2004 წლის 17 აპრილი.

ს. მ-ას დაბადების მონმობით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. მ-ა არის ბ. მ-ასა და თ. ფ-ას შვილი. იგი დაიბადა ... წლის ... ..ს ქ. თბილისში და არის არასრულწლოვანი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ს. მ-ას (პ/ნ ...; დაბ. ...ნ.) სახელზე გაცემულია დევნილის მონმობა. აღნიშნული მონმობით დგინდება, რომ იგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილია. დევნილის მონმობაში დროებით საცხოვრებელ სახლად მითითებულია – ქ. თბილისი, ჩუღურეთი, მისამართის გარეშე. სარეგისტრაციო №..., გაცემის თარიღი – 01.02.2014წ.

დ. მ-ას დაბადების მონმობით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. მ-ა არის ბ. მ-ასა და თ. ფ-ას შვილი. იგი დაიბადა ... წლის ... ..ს ქ. თბილისში და არის არასრულწლოვანი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, დ. მ-ას (პ/ნ ...; დაბ. ...ნ.) სახელზე გაცემულია დევნილის მონმობა. აღნიშნული მონმობით დგინდება, რომ იგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილია. დევნილის მონმობაში დროებით საცხოვრებელ სახლად მითითებულია – ქ. თბილისი, ჩუღურეთი, მისამართის გარეშე. სარეგისტრაციო №..., გაცემის თარიღი – 01.02.2014წ.

ს. მ-ას დაბადების მონმობით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. მ-ა არის ბ. მ-ასა და თ. ფ-ას შვილი. იგი დაიბადა 2010

წლის 3 მაისს ქ. თბილისში და არის არასრულწლოვანი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, ს. მ-ას (პ/ნ ...; დაბ. ...წ.) სახელზე გაცემულია დევნილის მოწმობა. აღნიშნული მოწმობით დგინდება, რომ იგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილია. დევნილის მოწმობაში დროებით საცხოვრებელ სახლად მითითებულია – ქ. თბილისი, ჩუღურეთი, მისამართის გარეშე. სარეგისტრაციო №..., გაცემის თარიღი – 01.02.2014წ.

სასამართლომ დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2020 წლის 6 თებერვალს თ. ფ-ამ განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და განმარტა, რომ მამამისის – რ. ფ-ას ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების მომენტიცაათვის, თ. ფ-ა ცალკე ოჯახს წარმოადგენდა, იყო სრულწლოვანი და მას თანხმობა არ გაუცია კომპენსირებასთან დაკავშირებით. ამდენად, მან თ. ფ-ას, ს. მ-ას, დ. მ-ასა და ს. მ-ას კომპენსირებულთა სიიდან ამოშლა მოითხოვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ განცხადების განხილვის მომენტიცაათვის, დევნილთა ელექტრონული მონაცემთა ბაზის მიხედვით, ფ. გ-ა, რ. ფ-ა, რ. ფ-ა და თ. ფ-ა ითვლებოდნენ დევნილთა სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფოსაგან საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფილად. სააგენტოში დაცული დევნილთა ოჯახის საანკეტო მონაცემების მიხედვით, 1997 წლის მდგომარეობით საცხოვრებელ მისამართზე – სასტუმრო „...ში“ ოჯახი ფიქსირდებოდა შემდეგი შემადგენლობით: ოჯახის უფროსი – ფ. გ-ა, მეუღლე – რ. ფ-ა, შვილი – რ. ფ-ა და შვილი – თ. ფ-ა.

გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ 2009 წელს სასტუმრო „...ში“ მოკავებული საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ აღნიშნული შემადგენლობით მათ გადაეცათ ფულადი კომპენსაცია, რომლის საფუძველზეც, ისინი ითვლებოდნენ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მოსარჩელებს უარი უთხრა დევნილთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებული პირის მონიშვნის გაუქმებაზე.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგინილად მიიჩნია, რომ



თ. ფ-ა და რ. ფ-ა არ არიან და 2009 წლის მდგომარეობით არ ყოფილან ოჯახის წევრები, არ ცხოვრობდნენ ერთად და არ ეწოდნენ ერთიან მეურნეობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მტკიცების ტვირთი, უპირველეს ყოვლისა, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმეზე ობიექტურად დადგენილი მონაცემები საკმარისად მაღალი სარწმუნოებით დამაჯერებელი უნდა იყოს, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმისა, რომ თ. ფ-ა და რ. ფ-ა 2009 წელს იყვნენ ერთი ოჯახის წევრები, ეწოდნენ ერთიან მეურნეობას და ცხოვრობდნენ ერთად. მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ რ. ფ-ასა და მის ოჯახის წევრებზე გაცემული იყო კომპენსაცია სასტუმრო „...ში“ 21.29 კვ.მ გამოთავისუფლების სანაცვლოდ და მხარეები არ დავობდნენ, რომ სასტუმრო „...ში“ მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელობითი სია მიწოდებულ იქნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს სპეციალისტების მიერ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ ქორწინების მოწმობაზე, რომლითაც დგინდებოდა, რომ თ. ფ-ასა და ბ. მ-ას ქორწინების თარიღი იყო 2004 წლის 17 აპრილი, ამასთანავე, მათი შვილის – ს. მ-ას დაბადების თარიღი იყო ... წლის ... ..ი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 17 აპრილიდან თ. ფ-ა და მისი შვილები არ წარმოადგენდნენ რ. ფ-ას ოჯახის წევრებს, შესაბამისად 2009 წელს თ. ფ-ას, მის არასრულწლოვან შვილს – ... წლის ... ..ს დაბადებულ ს. მ-ასა და ... წლის ... ..ს დაბადებულ დ. მ-ას არ მიუღიათ კომპენსაცია სასტუმრო „...ში“ 21.29 კვ.მ გამოთავისუფლების სანაცვლოდ. სასამართლოს შეფასებით, ასევე, აღსანიშნავი იყო, რომ არც 2007 წლის 19 თებერვლის დახმარების განევის შესახებ ხელშეკრულებაში არსებობდა რაიმე სახის ჩანაწერი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოსარჩელებს მიღებული ჰქონდათ კომპენსაცია ან ის მათ ნაცვლად აიღო ოჯახის სხვა წევრმა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ „დევენილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესზე“, რომელიც ადგენს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის „ლ“, „ნ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2566 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) შესაბამისად, დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების წესს.

მითითებული წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, დევნილი ოჯახი განიმარტება, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად კი, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა დადგენილიყო, განხორციელდა თუ არა თ. ფ-ას კომპენსაცია ფართის გათავისუფლების სანაცვლოდ. ამდენად, მოპასუხე მხარე ვალდებული იყო, მიუხედავად რეგისტრაციის მისამართისა, ზუსტად დაედგინა „...ში“ რ. ფ-ას ოთახში განსახლებულ პირთა ვინაობა, რაც არსებითი იყო დევნილის მიმართ კანონით გათვალისწინებული გარანტიების განსახორციელებლად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცების ტვირთი, უპირველეს ყოვლისა, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოუდგენია მტკიცებუ-

ლება იმისა, რომ თ. ფ-ა და რ. ფ-ა 2009 წელს იყვნენ ერთი ოჯახის წევრები, ენეოდნენ ერთიან მეურნეობას და ცხოვრობდნენ ერთად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 17 აპრილიდან თ. ფ-ა და მისი შვილები არ წარმოადგენდნენ რ. ფ-ას ოჯახის წევრებს, შესაბამისად 2009 წელს თ. ფ-ას, მის არასრულწლოვან შვილს – ... წლის ... ..ს დაბადებულ ს. მ-ასა და ... წლის ... ..ს დაბადებულ დ. მ-ას არ მიუღიათ კომპენსაცია სასტუმრო „...ში“ 21.29 კვ.მ გამოთავისუფლების სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე თ. ფ-ა, რომელიც დამოუკიდებლად იყო რეგისტრირებული სასტუმრო „...ში“, განცალკევებულად საჭიროებდა შესაბამისი კომპენსაციით უზრუნველყოფას. მოპასუხე მხარის განმარტებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ რ. ფ-ა კომპენსაციის მიღების დროს მოქმედებდა მოსარჩელე თ. ფ-ასა და მისი არასრულწლოვანი შვილების სახელით, როგორც მისი წარმომადგენელი, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც რ. ფ-ას წარმომადგენლობით უფლებამოსილებას დაადასტურებდა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება იმისა, რომ მოსარჩელე და რ. ფ-ა 2009 წლის მდგომარეობით წარმოადგენდნენ ოჯახის წევრებს ან/და მუდმივად ცხოვრობდნენ 21.29 კვ.მ ოთახში და ენეოდნენ ერთიან სამეურნეო საქმიანობას.

სასამართლომ მიუთითა „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, მე-3 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, მე-8 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და აღნიშნა, რომ კანონმდებლობა იცავს ბავშვის ინტერესებს, ბავშვის უფლებებს, მისი ინდივიდუალურობის შენარჩუნებას. არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული თ. ფ-ას არასრულწლოვანი შვილებისათვის კომპენსაციის გაცემის თაობაზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2009 წელს თ. ფ-ას მამის ფართის სანაცვლოდ კომპენსირების მომენტისათვის, თ. ფ-ას ჰყავდა 2 არასრულწლოვანი შვილი: ს. მ-ა და დ. მ-ა, რომელთა ნე-

ბის გამოვლენაც შესაძლოა დადასტურებულიყო კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, რაც არ განხორციელებულა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოპასუხე მხარის პოზიციაზე, რომ მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები რეგისტრირებულიები იყვნენ სასტუმრო „...ში“. ისინი მითითებულები იყვნენ როგორც იქმაცხოვრებლები, ხოლო სასტუმრო „...ის“ შენობაში მცხოვრებ დევნილებზე გაცემულ იქნა კომპენსაცია, რაც შემდგომში გამორიცხავდა მათ ხელახლა დაკმაყოფილებას საცხოვრებელით ან რაიმე სხვა ფულადი დახმარებით. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებდა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილი ვალდებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ.

სასამართლომ უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა მოპასუხის ზემოხსენებული მოსაზრება და აღნიშნა, რომ 2014 წლის 1 მარტამდე მოქმედი 1996 წლის 28 ივნისის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ (2011 წლის 23 დეკემბრის №5597 კანონით ცვლილებების შეტანამდე „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“) საქართველოს კანონით (ძალადაკარგულია საქართველოს 02/06/2014 წლის №1982 კანონით) არ იყო დადგენილი დევნილის ვალდებულება, ერთი თვის განმავლობაში ეცნობებინა სამინისტროსათვის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე. აღნიშნული კანონისმიერი ვალდებულება წარმოიშვა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2011 წლის 23 დეკემბრის №5597 კანონით, რის შედეგადაც მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: დევნილი ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წელს ქორწინების შედეგად, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, თ. ფ-ას, როგორც დევნილის სტატუსის მქონე პირს, არ გააჩნდა კანონისმიერი ვალდებულება, ეცნობებინა სამინისტროსათვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიაჩნდა, რომ რამდენადაც მოსარჩელე თ. ფ-ას სამინისტროსათვის სარეგისტრაციო მი-

სამართის შეცვლის მოთხოვნით არ მიუმართავს, იგი დევნილთა მონაცემთა ბაზაში ირიცხებოდა მშობლებთან ერთად საერთო სარეგისტრაციო ნომრით, რაც ავტომატურად მოსარჩელისა და მისი არასრულწლოვანი შვილების დევნილთა მონაცემთა ბაზაში მოსარჩელის მამის – რ. ფ-ას ოჯახისათვის მიკუთვნების და კომპენსირებულ პირებად მიჩნევის საფუძველს ქმნიდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე თ. ფ-ასა და მის არასრულწლოვან შვილებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო მათი დროებითი რეგისტრაციის ადგილი იყო ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მისამართის გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ფ-ას განცხადების განხილვისა და სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაედგინა და შეეფასებინა ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, როგორცაა დევნილთა (მოსარჩელეთა და მათი არასრულწლოვანი შვილების) ოჯახი, ოჯახის შინასამეურნეო საქმიანობა (საერთო საოჯახო მეურნეობა), დევნილთა რეგისტრაციის ადგილი და რეგისტრაცია, დევნილი ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და სათანადო საცხოვრებელი.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ მოხმობილ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ ვინაიდან ნება გამოხატულია ოჯახის ერთ-ერთი წევრის, ოჯახის უფროსის მიერ და იგულისხმება, რომ მას ხელშეკრულების გაფორმებისას მიღებული აქვს ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობაც, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე უკანონო სახის ზემოქმედება, ხოლო განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ფ-ა და მისი მამა 2009 წლის მდგომარეობით არ წარმოადგენენ ოჯახს, არ ენეოდნენ ერთიან მეურნეობას, ამასთან, ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანხმებულად, საერთო მიზნისაკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად, რაც სასამართლოს შეფასებით, მოცემულ დავასთან კავშირში ვერ იქნებოდა, ვინაიდან დადგენილი იყო, რომ თ. ფ-ა ხელშეკრულების დადების დროს არ ცხოვრობდა მამის ოჯახთან, შესაბამისად, რ. ფ-ას ნების გამოვლენა ვერ ჩაითვლებოდა მისი და მისი არასრულწლოვანი შვილების საერთო მიზნისკენ მიმართულ ნების გამოვლენად. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, სახეზე იყო იმგვარი გარემოება, რომ მსგავსად საქმეებისა, სადაც ფიგურირებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

დი განვითარების სამინისტრო, ამ უკანასკნელის მიერ მოქალაქეებთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას აუცილებელი იყო მათი წერილობითი თანხმობა, რის გარეშეც ადმინისტრაციული ხელშეკრულება ძალაში ვერ შევიდოდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელის ნების გამოვლენისათვის აუცილებელი იყო თ. ფ-ას წერილობითი თანხმობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო ხელშეკრულებების საფუძვლად არსებული მოსარჩელის წერილობითი თანხმობა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებით არ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე მხარე წარმოადგენდა კომპენსირებულ პირს ან მის ნაცვლად სხვა პირის მიერ მიღებულ იქნა კომპენსაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დააკვნა, რომ მოპასუხის მიერ ვერ იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი, მან ვერ დაადასტურა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძვლად მითითებული გარემოება, კერძოდ, საცხოვრებელი ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ მოსარჩელის მიერ კომპენსაციის მიღების ფაქტი, რაც გააქარწყლებდა სარჩელში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, რის გამოც სარჩელი საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო, კერძოდ, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი დევნილთა მონაცემთა ბაზაში კომპენსირებულ პირად მონიშვნის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილება და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს უნდა დავალებოდა გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელები – თ. ფ-ა, ს. მ-ა, დ. მ-ა, ს. მ-ა ამორიცხული იქნებოდნენ კომპენსირებულთა სიიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა 2020 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა დადგენილიყო, განხორციელდა თუ არა მოსარჩელეთა კომპენსაცია ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ, კერძოდ, მოსარჩელებისათვის ცნობილი იყო თუ არა 2009 წელს თ. ფ-ას მამის – რ. ფ-ას სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად კი, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის არგუმენტი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ფარგლებში მოსარჩელეთა დაკმაყოფილებულად მიჩნევის თაობაზე და ყურადღება მიაქცია მოსარჩელე თ. ფ-ას განმარტებაზე, რომლის თანახმად, იგი დაოჯახდა და ცალკე ოჯახს წარმოადგენდა 2004 წლიდან და არ მიეკუთვნებოდა მამამისის – რ. ფ-ას ოჯახს, რაც ასევე დასტურდებოდა ქორწინების მონაწილად, რომლითაც დგინდებოდა, რომ თ. ფ-ასა და ბ. მ-ას ქორწინების მონაწილის გაცემის თარიღი იყო 2010 წლის 9 ივლისი, ხოლო ქორწინების რეგისტრაციის თარიღი – 2004 წლის 17 აპრილი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილი ოჯახი განიმარტება, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არა-

ნათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მამასთან ერთად ცხოვრობდა ერთ ოჯახად, როგორც დევნილობამდე, ისე დევნილობის შემდეგ. აპელანტის განმარტებით, იგი არასდროს არ ყოფილა ცალკე ოჯახად რეგისტრირებული, მეტიც, დაოჯახების შემდეგაც, მისი შვილებიც მითითებულ მისამართზე ფიქსირდებოდნენ და ერთი საოჯახო ნომერი გააჩნდათ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი, კერძოდ, ვერ იქნა დადასტურებული სადავო გარემოება მასზედ, რომ მოსარჩელეები ფაქტობრივად ცხოვრობდნენ სასტუმრო „...ში“, საიდანაც ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ მიიღეს კომპენსაცია. ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენია მტკიცებულება იმისა, რომ თ. ფ-ა და რ. ფ-ა 2009 წელს იყვნენ ერთი ოჯახის წევრები, ეწეოდნენ ერთიან მეურნეობას და ცხოვრობდნენ ერთად. სააპელაციო პალატის მითითებით, მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ რ. ფ-ასა და მის ოჯახის წევრებზე გაცემული იყო კომპენსაცია სასტუმრო „...ში“ 21.29 კვ.მ გამოთავისუფლების სანაცვლოდ და სასტუმრო „...ში“ მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირ-



თა სახელობითი სია მიწოდებულ იქნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს სპეციალისტების მიერ. თუმცა კომპენსაციის 2009 წელს გაცემის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და დაასკვნა, რომ 2004 წლის 17 აპრილიდან თ. ფ-ა და მისი შვილები არ წარმოადგენდნენ რ. ფ-ას ოჯახის წევრებს. შესაბამისად, 2009 წელს თ. ფ-ას, მის არასრულწლოვან შვილებს – 2004 წლის 18 ოქტომბერს დაბადებულ ს. მ-ასა და 2006 წლის 23 აპრილს დაბადებულ დ. მ-ას, არ ჰქონდათ მიღებული კომპენსაცია სასტუმრო „...ში“ 21.29 კვ.მ გამოთავისუფლების სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხე მხარე ვალდებული იყო, მიუხედავად რეგისტრაციის მისამართისა, ზუსტად დაედგინა „...ში“ რ. ფ-ას ოთახში განსახლებულ პირთა ვინაობა, რაც არსებითი იყო დევნილის მიმართ კანონით გათვალისწინებული გარანტიების განსახორციელებლად. მოსარჩელე თ. ფ-ა, რომელიც დამოუკიდებლად იყო რეგისტრირებული სასტუმრო „...ში“, განცალკევებულად საჭიროებდა შესაბამისი კომპენსაციით უზრუნველყოფას იმ პირობებში, როდესაც საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც რ. ფ-ას წარმომადგენლობით უფლებამოსილებას დაადასტურებდა, ასევე მტკიცებულება, რომ მოსარჩელე თ. ფ-ა და რ. ფ-ა 2009 წლის მდგომარეობით წარმოადგენდნენ ოჯახის წევრებს ან/და მუდმივად ცხოვრობდნენ 21.29 კვ.მ ოთახში და ეწეოდნენ ერთიან სამეურნეო საქმიანობას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული თ. ფ-ას არასრულწლოვანი შვილების კომპენსაციის თაობაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თ. ფ-ას მამის კომპენსირება ფართის სანაცვლოდ განხორციელდა 2009 წელს, რა დროსაც თ. ფ-ას ჰყავდა 2 არასრულწლოვანი შვილი: ს. მ-ა და დ. მ-ა, რომელთა ნების გამოვლენაც შესაძლოა დადასტურებულიყო კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, რაც არ განხორციელებულა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოსარჩელეს არ მიუმართავს სააგენტოსთვის ცალკე ოჯახად რეგისტრაციის თაობაზე და არც მისამართის შეცვლის შესახებ უცნობებია, რის ვალდებულაც მას აქვს კანონმდებლობის შესაბამისად, მას კომპენსაცია გადაეცა ოჯახის წევრებთან

ერთად სწორედ იმ მდგომარეობით, რა ფაქტობრივი და იურიდიული მდგომარეობითაც ფიქსირდებოდა საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნულთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე თ. ფ-ა 2004 წლიდან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში და მეუღლესთან ერთად ეწეოდა შინასამეურნეო საქმიანობას. მათ გააჩნდათ ერთი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად, ერთად ზრდიდნენ საერთო შვილებს. ამასთან, მოსარჩელეების დროებითი რეგისტრაციის ადგილი იყო – ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მისამართის გარეშე. აღნიშნულ გარემოებათა საწინააღმდეგო მტკიცებულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი არ იყო.

ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებასაც, რომ რ. ფ-აზე გაცემული იყო კომპენსაცია სასტუმრო „...ში“ 21.29 კვ.მ ერთი ოთახის გათავისუფლების სანაცვლოდ. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელები და რ. ფ-ას ოჯახი რეალურად ვერ შეძლებდნენ ამ ფართობის მქონე ოთახში თანაცხოვრებას, რაც ასევე ცხადყოფდა მოსარჩელეთა მითითებულ გარემოებას, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ ერთ ოჯახს.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელე თ. ფ-ა 2004 წლის 17 აპრილიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა და ცხოვრობდა მეუღლესთან – ბ. მ-ასთან ერთად ერთ ოჯახად, იგი 2004 წლის 17 აპრილიდან უკვე აღარ იყო მამის – რ. ფ-ას ოჯახის წევრი და შესაბამისად, რ. ფ-ას მიერ მიღებული კომპენსაციის საფუძველზე, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით თ. ფ-ას და მისი არასრულწლოვანი შვილების, როგორც რ. ფ-ას ოჯახის წევრების კომპენსირებულ პირებად მიჩნევა კანონშეუსაბამო იყო. ამასთან, მონაცემთა ბაზაში არ მოიპოვებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსარჩელის შვილები კომპენსირებულები იყვნენ.

სააპელაციო პალატამ, ასევე, დამატებით მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის №ბს-1305(პკ-18) განჩინებაზე, სადაც საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრია დევნილთა მიმართ. მნიშვნელოვანია, შექმნილი იყოს მათი ნებაყოფლობითი და ღირსეული განსახლებითა და აუცილებელი პირობები. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ სზაკ-ის 67.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნდათ მოსარჩელეთათვის ხელშეკრულების დადების შესახებ

ინფორმაციის მიწოდებისა და მათგან თანხმობის მიღების ვალდებულება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. არასწორია კასატორთა მოსაზრება ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელეთა წერილობითი თანხმობის საჭიროების გამორიცხვის შესახებ, რადგან სადავო ხელშეკრულებით მოსარჩელებს ერთმევათ დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, უფლებამოსილი ორგანოსგან სხვა რაიმე კომპენსაციის და უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება (2.4 პუნქტი), რაც სადავო ხელშეკრულებით მოსარჩელეთა უფლებების შეზღუდვას ადასტურებს და წარმოშობს მსგავსი შინაარსის ხელშეკრულების დადებისას მათი წერილობითი თანხმობის წარდგენის საჭიროებას (სზაკ-ის 67.1 მუხ.). დაუსაბუთებელია კასატორთა მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, რადგან არ დგინდება ხელშეკრულების შინაარსის შესახებ თ. გ-ისა და ნ. გ-ისთვის ინფორმაციის მიწოდება. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 19.09.2013წ. წერილობითი პასუხებით. მართალია, მოსარჩელებს ეცნობათ, რომ მათ ოჯახს ფართი დაუკანონდა, თუმცა ფართის საკუთრებაში გადაცემის საფუძვლად არსებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ან ხელშეკრულება მათ არ გადასცემიათ. ამდენად, მოსარჩელები მითითებულ დოკუმენტაციას 2013 წელს ოფიციალურად არ გაცნობიან. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ხელშეკრულება შედგა ერთ ეგზემპლარად, რომელიც გაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულება არ გადასცემიათ მხარეებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აქტის გამოცემის პროცედურული წესების დაცვა იმთავითვე არ ადასტურებს აქტის მართლზომიერებას, რადგან ადმინისტრაციული აქტი კანონიერი უნდა იყოს როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ ოჯახის შემადგენლობის დადგენა არ შედიოდა არც ერთი კასატორის უფლებამოსილებაში, არ ასაბუთებს სადავო აქტების კანონიერებას“.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა მოსარჩელეთა წერილობითი თანხმობა ხელშეკრულების/ან ფულადი კომპენსაციის მიღების თაობაზე, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოსარჩელისათვის მითითებული ხელშეკრულების თაობაზე ცნობილი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის განჩინება საკასაციო წესით

გასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ თითქოს მოსარჩელე თ. ფ-ა დამოუკიდებლად იყო რეგისტრირებული სასტუმრო „...ში“ და განცალკევებულად საჭიროებდა შესაბამისი კომპენსაციით უზრუნველყოფას. აღნიშნულის საპირისპიროდ, კასატორი განმარტავს, რომ თ. ფ-ა თავის ოჯახის წევრებთან ერთად 1993 წლიდან არის დევნილად რეგისტრირებული სასტუმრო „...ში“ (სარეგისტრაციო ნომერი: №...). სააგენტოში დაცული დევნილთა ოჯახის საანკეტო მონაცემების მიხედვით, 1997 წლიდან სასტუმრო „...ში“ ოჯახი ფიქსირდება შემდეგი შემადგენლობით: ოჯახის უფროსი – ფ. გ-ა, მეუღლე – რ. ფ-ა, შვილი – რ. ფ-ა და შვილი – თ. ფ-ა. აღნიშნული შემადგენლობით სასტუმროს ადმინისტრაციის მიერ მოხდა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შესაბამისი კომპენსაციის გაცემა. ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თ. ფ-ა ცალკე ოჯახად არასდროს არ ყოფილა რეგისტრირებული, დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საოჯახო ანკეტებით. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაქორწინდა და შეეძინა შვილები, მან მისი არასრულწლოვანი შვილებიც იმავე მისამართზე დაარეგისტრირა და იგივე საოჯახო ნომერი მიანიჭა. კასატორისათვის გაურკვეველია, თუკი მოსარჩელე ცალკე ოჯახს წარმოადგენდა, მაშინ რატომ დაარეგისტრირდნენ მისი შვილებიც იმავე მისამართზე (ქ. თბილისი, ჩუღურეთი, მისამართის გარეშე), იმავე საოჯახო ნომრით.

ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ წარმოადგინა ყველა მის ხელთარსებული მტკიცებულება, რომლითაც უპირობოდ დგინდება, რომ მოსარჩელე თავის შვილებთან და მშობლებთან ერთად წარმოადგენდა ერთ ოჯახს, რაც დასტურდება საოჯახო ანკეტებითა და დევნილის მონმობებით. რაც შეეხება ქორწინების მონმობას, კასატორი აღნიშნავს, რომ იგი მხოლოდ იმის დამადასტურებელია, რომ მოსარჩელე იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და არა იმისა, რომ იგი ცალკე ოჯახად დაარეგისტრირდა დევნილთა მონაცემთა ბაზაში, მიენიჭა ცალკე საოჯახო ნომერი, წარმოადგენდა ცალკე ოჯახს და არ შედიოდა რ. ფ-ასა და ფ. გ-ას ოჯახის შემადგენლობაში.

კასატორის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ არ არის უტყუარად დადასტურებული ის გარემოება, რომ იგი წარმოადგენდა ცალკე ოჯახს და გააჩნდა რ. ფ-ას ოჯახისაგან განცალკევებული საოჯახო მეურნეობა. საქმეში წარმოდგენილი მტკიც-

ცებულებებით დადგენილია, რომ თ. ფ-ა სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციით ფიქსირდება კომპენსირებულად ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში მდებარე სასტუმრო ...ში მდებარე ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ. შესაბამისად, კასატორი განმარტავს, რომ მოსარჩელე უკვე დაკმაყოფილებულად ითვლება და იგი ხელახლა სააგენტოსათვის მიმართვით, მისი დაკმაყოფილებულთა სიიდან ამორიცხვის შემთხვევაშიც კი, ვერ მიანღნევს სასურველ შედეგს და ვერ იქნება უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით თუ ფულადი კომპენსაციით, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავს ერთხელ უზრუნველყოფილი დევნილი ოჯახის ხელმეორედ დახმარებას და უზრუნველყოფას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 იანვრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ფ-ას, ს. მ-ას, დ. მ-ას და ს. მ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, რომ დაამკვიდრონ, მათ შორის სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელ-

მნიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმნიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმნიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობს სახელმნიფოს მხრიდან ისეთი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, როგორცაა უბინაოდ დარჩენილი დევნილი ოჯახის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულიებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, უბინაობის პრობლემების თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხვრის მიზნით.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმნიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმნიფონი, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლის მიხედვით, ეს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

მითითებული კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს. ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი კი ასევე ითვალისწინებს დევნილი ოჯახის ცნებას, რომლის მიხედვითაც, დევნილის ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინსამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი).

ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილებით სააგენტომ უარი უთხრა მოსარჩელებს დევნილთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებული პირის მონიშვნის გაუქმებასთან დაკავშირებით, ვინაიდან დევნილთა ელექტრონული მონაცემთა ბაზის მიხედვით, ფ. გ-ა, რ. ფ-ა, რ. ფ-ა და თ. ფ-ა ითვლებოდნენ, დევნილთა სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფილად, რამდენადაც 2009 წელს სასტუმრო „...ში“ მოკავებული საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ოჯახს სწორედ მითითებული შემადგენლობით გადაეცა ფულადი კომპენსაცია. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსარჩელე თ. ფ-ა განმარტავს, რომ 2004 წელს დაოჯახების შემდგომ, იგი წარმოადგენდა ცალკე ოჯახს და არ მიეკუთვნებოდა მამამისის – რ. ფ-ას ოჯახს, რომელიც 2009 წელს სასტუმრო „...ში“ მოკავებული ფართის სანაცვლოდ დაკმაყოფილდა ფულადი კომპენსაციით. მოსარჩელე თ. ფ-ა მიიჩნევს, რომ იგი და მისი შვილები ვერ ჩაითვლებიან კომპენსირებულად, რამდენადაც 2009 წელს თ. ფ-ა იყო სრულწლოვანი, შესაბამისად, კომპენსირების პროცესში სავალდებულო იყო მისი თანხმობა, ასევე, ნოტარიული ხელმოწერა, რაც არ განხორციელებულა. ამდენად, მოსარჩელები მიუთითებენ, რომ სამინისტრომ ყოველგვარი შემომხმების გარეშე ჩათვალა მოსარჩელები სახელმწიფოსგან უზრუნველყოფილად.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის მართებული გადაწყვეტისათვის არსებითაა დადგინდეს, უნდა ჩაითვალოს თუ არა მოსარჩელები კომპენსირებულად 2009 წელს სასტუმრო „...ში“ მოკავებული ფართის გათავისუფლების სანაცვლოდ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილი ოჯახი განიმარტება, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინსამეურნეო საქმიანობას



(ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში.

ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა არის ამ წესის შესაბამისად, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების ან მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვა; სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც 2019 წლის 1 იანვრამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი სახლები/ბინები და აღნიშნული საცხოვრებელი სახლები/ბინები არის მათი ერთადერთი საკუთრება.

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებულ მსჯელობაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებების უარყოფისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მითითებულ იქნა ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ ვერ იქნა დაძლეული მტკიცების ტვირთი, უფრო კონკრეტულად, ვერ იქნა დადასტურებული ის სადავო გარემოება, რომ მოსარჩელეები ფაქტობრივად ცხოვრობდნენ სასტუმრო „...ში“, საიდანაც ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ მიიღეს კომპენსაცია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა, რომ თ. ფ-ა და რ. ფ-ა 2009 წელს იყვნენ ერთი ოჯახის წევრები, ეწეოდნენ ერთიან მეურნეობას და ცხოვრობდნენ ერთად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ან/და სამართალწარმოების ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების დაუდასტურებლობა არ ქმნის სასამართლოს მხრიდან ამ ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის საფუძველს. ადმინისტრაციული სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე და ინკვიზიციურობის პრინციპის თანაარსებობის მიუხედავად, მტკიცების ტვირთის უმეტესი ნაწილი სწორედ პროცე-

სის მონაწილე მხარეებს აწვება. შესაბამისად, თავიანთი პოზიციების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მითითება და მათი სათანადო მტკიცებულებებით გამყარება მხარეთა პროცესუალური მოვალეობაა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი უზრუნველყოფს როგორც მოსარჩელის, ასევე, მოპასუხის აქტიურ ჩართულობას და მონაწილეობას სამართალწარმოებაში, შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობა არ უშვებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მტკიცების ტვირთის სრულად გადაკისრებას და აღნიშნულის ხარჯზე მონიშნულ მდგომარეობაში ყოფნას.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვერ ამტკიცებდა 2009 წლის მდგომარეობით (კომპენსაციის რ. ფ-აზე გაცემის მომენტისათვის) მოსარჩელის სასტუმრო „...ში“ ცხოვრების ფაქტს და ამ მოტივით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2004 წლიდან თ. ფ-ა აღარ წარმოადგენდა მამამისის – რ. ფ-ას ოჯახის წევრს და საკუთარ მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილებთან ერთად ცალკე ოჯახად ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო სამეურნეო საქმიანობას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ დასკვნას და მის საწინააღმდეგოდ განმარტავს, რომ ის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ შეძლო კონკრეტული ფაქტის დადასტურება ან/და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სათანადოდ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარკვეული ფაქტობრივი გარემოება, არ გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ნამდვილად არსებობს და სასამართლოს აქვს შესაძლებლობა დადასტურებულად ჩათვალოს იგი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ადმინისტრაციული ორგანო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას სწორედ მოსარჩელის სასტუმრო „...ში“ ცხოვრების ფაქტის დადასტურების გზით ცდილობდა, თუმცა, თავის მხრივ, წარმოდგენილი სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოების მტკიცებას, რომ მიუხედავად მოსარჩელეთა სასტუმრო „...ში“ რეგისტრაციისა, ისინი ფაქტობრივად სხვა მისამართზე ცხოვრობდნენ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პოზიტიური მტკიცების ვალდებულება ეკისრებოდათ, ასევე, მოსარჩელებსაც, რომლებსაც უნდა დაემტკიცებინათ მათი სხვა ადგილას ცხოვრების ფაქტი, რაც ცხადია ვერ ჩაითვლებოდა დადასტურებულად მართოდენ იმ მიზეზით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთი-

თებს, რომ სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის, გადამწყვეტ მნიშვნელობას იქნეს თ. ფ-ასა და მისი არასრულწლოვანი შვილების ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა თ. ფ-ას მამის – რ. ფ-ასათვის კომპენსაციის მიცემის მომენტიცისათვის (2009 წელს). საგულისხმოა, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოება ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მხრიდან სათანადოდ არ გამოკვლეულა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინება დაეფუძნა მხოლოდ მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებას, რომ თ. ფ-ამ დაოჯახების შემდგომ, 2004 წლიდან დატოვა სასტუმრო „...ი“, რის გამოც ამ პერიოდიდან იგი წარმოადგენდა ცალკე ოჯახს და მის მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილებთან ერთად ეწეოდა დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობას. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას. იგი ეფუძნება მხოლოდ მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებას და არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სხენებული ფაქტი ვერ იქნება დადასტურებული მართლედნ საქმეში წარმოდგენილი ქორწინების მოწმობით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქორწინების მოწმობა ადასტურებს მხოლოდ ქორწინების ფაქტს, რაც არ გამოორიცხავს დაქორწინებულ პირთა ოჯახის სხვა ნათესავებთან ერთად ერთ ოჯახად თანაცხოვრების შესაძლებლობას. შესაბამისად, მითითებული მტკიცებულება არ არის იმის უპირობო გარანტი, რომ დაქორწინებული პირები ცხოვრობენ ცალკე და ეწევიან ცალკე საერთო საოჯახო მეურნეობას.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ თავის მხრივ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, 96-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოკვლევის ვალდებულება. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნა-

წლის მიხედვით კი, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გასაჩივრებული 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილება დაეფუძნა მხოლოდ დევნილთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებს, სადაც მოსარჩელე თ. ფ-ა ფულადი კომპენსაციით სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილად (კომპენსირებულად) არის დაფიქსირებული. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დამატებით არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება – მოსარჩელეთა საცხოვრებელი ადგილი, კერძოდ, 2004 წლიდან ნამდვილად ცალკე ცხოვრობდა თუ არა თ. ფ-ა მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილებთან ერთად. საქმის მასალებში მოიპოვება გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები 2020 წლის 6 თებერვლის განცხადება, რომლითაც თ. ფ-ა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს გარკვევით განუმარტავს, რომ მისი მამის – რ. ფ-ას კომპენსირების მომენტისათვის იგი წარმოადგენდა ცალკე ოჯახს. მიუხედავად ადმინისტრაციული ორგანოს ინფორმირებისა, სააგენტოს არ მიუმართავს საჭირო ზომებისათვის თ. ფ-ას მიერ განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააგენტოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოების დადგენისა და სათანადო გამოკვლევის გარეშე, რაც წარმოშობს საკითხის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დამატებით კვლევის საჭიროებას. განმეორებით გასამართი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაადგინოს თ. ფ-ას მამის – რ. ფ-ას კომპენსირების მომენტისათვის თ. ფ-ას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, კერძოდ, ამ დროისათვის ნამდვილად ცხოვრობდა თუ არა იგი მამის – რ. ფ-ას ოჯახში. ამ მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს შესაძლებლობა დაკითხოს მოწმეები, მოსარჩელეთაგან მიიღოს ინფორმაცია მათი ფაქტობრივი საცხოვრებლ(ებ)ის შესახებ, ასევე, მოითხოვოს და მიიღოს მოსარჩელეთა მიერ დასახელებული, იმ დროისათვის მათი საცხოვრებელი ადგილით ფაქტობრივად სარგებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები (მაგ. კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები), ასევე, მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ ყველა სხვა გზას მითითებული გარემოების დასადაგენად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ თ. ფ-ა და მისი არასრულწლოვანი შვილები 2009 წლის მდგომარეობით წარმოდგენდნენ რ. ფ-ას ოჯახის წევრებს, ისინი უნდა ჩაითვალოს კომპენსირებულად. ამ კუთხით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის №ბს-1305(3კ-18) განჩინებაზე, რამდენადაც მოხმობილ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა და გაკეთებული განმარტებები ეფუძნება სრულიად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ იმ შემთხვევაში, თუკი 2009 წლის მდგომარეობით (რ. ფ-ას კომპენსირების მომენტიდან) თ. ფ-ა წარმოდგენდა დაკმაყოფილებული ოჯახის წევრს, საჭირო იყო მისი, როგორც სრულწლოვანი პირის, წერილობითი თანხმობა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან კმაყოფილებიან დევნილი ოჯახები და არა ერთეულად ინდივიდები, შესაბამისად, დევნილი ოჯახების უზრუნველყოფა, ავტომატურად, გულისხმობს დევნილ ოჯახში მცხოვრები ყველა წევრის დაკმაყოფილებას, რაც დამატებით არ საჭიროებს ხელშეკრულების გაფორმებაზე თითოეული სრულწლოვანი ოჯახის წევრის მხრიდან წერილობითი თანხმობის გაცხადებას.

საკასაციო პალატა, ასევე, განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ხელახლა გასამართი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დადგინდება, რომ თ. ფ-ა მის მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობდა სხვა მისამართზე (და არა სასტუმრო „...ში“), მოსარჩელები არ უნდა ჩაითვალოს კომპენსირებულად, შესაბამისად, მათ უნდა მიენიჭოთ დამოუკიდებელი განცხადების წარდგენის გზით, სახელმწიფოს მხრიდან მათი უზრუნველყოფის ფაქტობრივ-სამართლებრივი პერსპექტივების შეფასების მოთხოვნის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ფ-ას, ს. მ-ას, დ. მ-ას და ს. მ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი დევნილთა მონაცემთა ბაზაში კომპენსირებულ პირად მონიშვნის გაუქმებაზე

უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილება და მოპასუხეს – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32 მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ფ-ას, ს. მ-ას, დ. მ-ას და ს. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის №03/3052 გადაწყვეტილება და მოპასუხეს – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე  
მოთხოვნის სანდაზმულობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-975(2კ-20)

8 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა, ქმედების განხორციელების დავალეზა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. მ-ემ 2019 წლის 27 მაისს, ხოლო იმავე წლის 15 ივლისს დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების მიმართ და „მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების 2019 წლის 11 თებერვლის №04-06-04/343, „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 1 მაისის №04/23201 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი პენსიის – 13491.71 ლარისა და მორალური ზიანის სახით 300000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, გ. მ-ეს, მესამე ჯგუფის ინვალიდობის გამო, შესაბამისი სახელმწიფო სოციალური გასაცემელი დაენიშნა 1967 წლიდან. თავდაპირველად, პენსიის დანიშვნა განხორციელდა შინაგანი ორგანოების დაავადებათა გამო, ხოლო 1971 წლიდან შიზოფრენიის დიაგნოზის საფუძველზე, რასაც მოსარჩელე არ ეთანხმებოდა. ამდენად, 1971 წლიდან 2007 წლამდე მას პენსია არ მიუღია.

მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ პე-

რიოდის განმავლობაში იყო მუდმივად პროტესტის რეჟიმში, რადგან ხელოვნურად დადგენილი შიზოფრენიის დიაგნოზის გამო ჰქონდა პენსია დანიშნული და არა იმ დიაგნოზით, რაც რეალურად ჰქონდა (ნევრასტენია ვეგეტოღისფუნქციით, ქრონიკული ხოლცისტიტი და კუჭის წყლულოვანი დაავადება). მოსარჩელის მოსაზრებით, არსებობს არაერთი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რომ მას შიზოფრენიის დიაგნოზი არ აქვს, თუმცა სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, დაენიშნა მისთვის შესაბამისი პენსია, ვიდრე არ მიაღწევდა საპენსიო ასაკს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ გაანგარიშებული კალკულაციის თანახმად, 1971 წლიდან 2006 წლამდე მისაღებმა საპენსიო თანხამ შეადგინა 13491.71 ლარი.

ამდენად, მოსარჩელემ სადავო აქტის ბათილად ცნობა, მიუღებელი პენსიის ანაზღაურება და სამართლიანობის ძიებაში დაკარგული დროის გამო, დამატებით, მორალური ზიანის – 300 000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 აგვისტოს განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა საჩხერის რაიონულ სასამართლოს.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. გ. მ-ე აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 50110 სარეგისტრაციო ქულით და იღებს შემწევობას.

2. გ. მ-ემ 2019 წლის 9 იანვარს მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილებას და სარჩელში მითითებული გადაანგარიშების მსგავსად, მოითხოვა მიუღებელი პენსიის – 13491.71 ლარის ანაზღაურება. ჭიათურის რაიონული განყოფილების 2019 წლის 11 თებერვლის №04-06-04/343 წერილით გ. მ-ეს ეცნობა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო და ცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს. აღნიშნული წერილი გ. მ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა, რომელიც არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ კანონი სახელმწიფო პენსიის დანიშვნამდე განცხადებით მიმართვამდე პერიოდში გასული წლების პენსიის ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა. ადმინისტრაციული ორგანომ ასევე აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. გარდა ამისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერ-



ტიზის დასკვნების მიღება სამედიცინო დაწესებულებების კომპეტენციას წარმოადგენდა.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის ნერილის შესაბამისად, 1972 წელს კომისიის მიერ პირველად დაუდგინდა ინვალიდობის მესამე ჯგუფი ერთი წლით სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით დიაგნოზით – „ქრონიკული ჩირქოვანი ქოლექცესტიტი, ქრონიკული ჰიპერაციდული გასტრიტი, ასტენონევრასტენია“. გ. მ-ე კომისიაზე გატარდა 1974, 1978 და 1979 წლებში და იმავე დიაგნოზებით მას უდგინდებოდა ინვალიდობის მესამე ჯგუფი ერთი წლით. 1980 წელს გ. მ-ე გამოკვლეული იქნა ს.შ.ს. ექსპერტიზის სტაციონარში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი – „იპოქონდრიულ პარანოიდული სინდრომი ასტენონევრასტენია, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ჰიპერაციდული გასტრიტი“ და 1981 წლის 18 მარტს რესპუბლიკურმა კომისიამ მას დაუდგინა ინვალიდობის მეორე ჯგუფი ერთი წლის ვადით. 1985 წლის 5 ოქტომბერს გ. მ-ეს ...ის მიერ შეევსო ფორმა №88 – დიაგნოზით „შიზოფრენია ჰალუცინატორულ პარანოიდული ფორმა, უწყვეტი პროგრედიენტული მიმდინარეობით, გამოსატული ემოციურ-ინტელექტუალური ნებისყოფითი დეფექტით“ და მას 1985 წლის 4 ნოემბერს ჭიათურის სშს კომისიის მიერ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი ერთი წლის ვადით. ამის შემდეგ გ. მ-ე სხე ბიუროზე დღემდე არ გატარებულა. ნერილში ასევე აღინიშნა, რომ რაც შეეხებოდა ფსიქიკურ დიაგნოზებს, რომელიც გ. მ-ეს დაუდგინდა 1980 და 1985 წლებში, მისი უარყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ ფსიქიატრიული სამედიცინო დაწესებულების მიერ.

4. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო-სოციალური დეპარტამენტის უფროსის ნერილიდან ირკვევა, რომ გ. მ-ე ითხოვდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას და შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის განხილვას. ...ის კონსილიუმის მიერ 2005 წლის 20 ოქტომბერს დაუდგინდა დიაგნოზი: ჰიპოქონდრიული აშლილობა ქრონიკული მიმდინარეობით. 1987 წელს ამავე ინსტიტუტის პოლიკლინიკაში გ. მ-ეს დადგენილი ჰქონდა დიაგნოზი – „პიროვნების იპოქონდრიული განვითარება“. გ. მ-ის მიერ მოთხოვნილია ფსიქიკური დიაგნოზის შეცვლა, თუმცა დაწესებულების (ფონდი) მიერ განიმარტა, რომ ...ის შეცვლა არ შედიოდა მათ კომპეტენციაში. გ. მ-ე კი კატეგორიულად მოითხოვდა ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ დიაგნოზის შეცვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიურო-

ში გატარებაზე შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დასადგენად. საქმეში წარმოდგენილია შპს „...ის“ ფსიქონარკოლოგიური ცენტრის შემონმების აქტი №2/1 და არა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა. დადგენილია, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების საკითხებზე გ. მ-ეს განემარტა სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის წერილითაც.

5. ასევე, დადგენილია, რომ 2007 წლის 9 აგვისტოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ჭიათურის განყოფილებას განცხადებით მიმართა გ. მ-ემ ასაკის პენსიის დასანიშნად. სააგენტოს 2007 წლის 9 აგვისტოს №48 გადაწყვეტილებით გ. მ-ეს დაენიშნა ასაკის პენსია 2007 წლის 9 აგვისტოდან.

6. სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების 2016 წლის 6 სექტემბრისა და 2018 წლის 2 აპრილის წერილების თანახმად, გ. მ-ის შესახებ ბაზებში ინფორმაცია მისი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ არ მოიპოვება. ამავე წერილით მოსარჩელისთვის მიწოდებულია ინფორმაცია პენსიის ოდენობის შესახებ 1995 წლიდან 2005 წლამდე. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ კანონის თანახმად, პენსიის მიუღებლობის ან სხვა მიზეზით შეწყვეტილი დოკუმენტაცია 5 წლის შემდეგ ექვემდებარება განადგურებას.

სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო აქტების, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის შესაბამის ნორმებზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი საპენსიო თანხის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო, ასევე ხანდაზმული იყო, რადგან 2006 წლიდან (მოსარჩელე ითხოვს პენსიას 1971 წლიდან 2006 წლის იანვრამდე) დღემდე გასულია ათ წელზე მეტი.

გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების არავითარი საფუძველი. ამდენად, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 1 მაისის №04/23201 გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების 2019 წლის 11 თე-

ბერვლის №04-06-04/343 გადაწყვეტილება მიღებული იყო კანონით დადგენილი წესითა და არ არსებობდა აღნიშნული ადმინისტრაციული აქტების ბათილობის საფუძვლები.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების 2019 წლის 11 თებერვლის №04-06-04/343 გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 1 მაისის №04/23201 გადაწყვეტილება; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას და მიუთითა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვარი №1/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაზე, რომელიც განსაზღვრავს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესს. დასახელებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის თანახმად, პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენას საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალური, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება. მხედველობაში მიიღება დაავადების ხასიათი, ორგანიზმის სისტემების და ორგანოთა ფუნქციურ დარღვევათა ხარისხი, მკურნალობისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ეფექტურობა, კლინიკური და შრომითი პროგნოზი, სოციალური ადაპტაციის შესაძლებლობები, პროფესია, შრომის კონკრეტული პირობები და ხასიათი. ამდენად, აღნიშნული ინსტრუქციის თანახმად, სტატუსის განმსაზღვრელ ორგანოს არ წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო. კერძოდ, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების ჯანმრთელობის დაცვა, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრა, მისი გამომწვევი მიზეზების პროფილაქტიკა და აღ-

ნიშნული კატეგორიის პირთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პირობების შექმნა. ამასთან, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის წამყვან პოზიციად ითვლება, განსაზღვროს პირის სამედიცინო და სოციალური სტატუსის დარღვევა ან მისი დეკარგვის ხარისხი, გამოავლინოს მათი შენარჩუნების უნარი და კომპენსაციურ-ადაპტაციური შესაძლებლობები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამედიცინო, პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციას, საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომას (მუხ. 4.3). სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხებზე დასკვნა გამოაქვს დაწესებულებას (სამედიცინო დაწესებულებას) (მუხ. 8). ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისათვის პირის სამედიცინო გამოკვლევისა და დიაგნოსტიკის ხარისხზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, ნებისმიერ პირს უფლება აქვს მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. დასახელებული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

სააპელაციო სასამართლომ, იმ გარემოებებიდან გამომდინარე რასაც გ. მ-ე ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას და რაც ასევე გახდა ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვის საფუძველი, კერძოდ, შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველის შესახებ, არასწორი სამედიცინო დიაგნოზი, სოციალური მომსახურების სააგენტოს ქიათურის რაიონულ განყოფილებას გ. მ-ის

2019 წლის 9 იანვრის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას, მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმები, სრულყოფილად გამოეკვლია განცხადებაში დასმული საკითხი, სწორად შეეფასებინა განმცხადებლის რეალური მოთხოვნის შინაარსი და თუ დაადგენდა, რომ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80.1 მუხლის თანახმად, გადაეგზავნა განცხადება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ჩასატარებლად, რათა დადგენილიყო გ. მ-ის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი (ხარისხი), რადგან სწორედ ამ საკითხის გამოკვლევაზე იყო დამოკიდებული განმცხადებლის შემდგომი მოთხოვნა, მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის ხელახლა, არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გ. მ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ახალი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. მ-ემ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ამავე სააგენტოს ქიათურის რაიონულმა განყოფილებამ.

კასატორების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ქიათურის რაიონული განყოფილების მითითებით, გ. მ-ემ ასაკით პენსიის დანიშვნის მოთხოვნით სააგენტოს მიმართა 2007 წლის 9 აგვისტოს, რა დროიდანაც ის წარმოადგენს სახელმწიფო პენსიის მიმღებ ბენეფიციარს. მანამდე კი, კერძოდ 1967 წლიდან მოსარჩელე წარმოადგენდა პენსიის მიმღებს მესამე ჯგუფის ინვალიდობის, ხოლო 1971 წლიდან შიზოფრენიის დიაგნოზის გამო. მოსარჩელე აღნიშნულ დიაგნოზს არ დაეთანხმა და დაიწყო მოქმედება დიაგნოზის შესაცვლელად, თუმცა, არაერთგზის ჩატარებული შემოწმებისა, გ. მ-ეს სოციალური მომსახურების სააგენტოში არ წარუდგენია არავითარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა 1971-2006 წლებში მისთვის დიაგნოზის შეცვლას.

კასატორის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ქიათურის რაიონული განყოფილების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილე-

ბით შეფასებული არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც იგი მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას. ამდენად, კასატორი ითხოვს მის გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

გ. მ-ის საკასაციო საჩივრის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლომ საქმარისად ვერ დაასაბუთა 1971-2006 წლებში პენსიის გაუცემლობა, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ არაერთხელ მოითხოვა შშმ პირის სტატუსის გამო პენსიის დანიშვნა, თუმცა უშედეგოდ. ასევე, დაუსაბუთებელია მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველიც, რადგან მოსარჩელის მოსაზრებით, მან უამრავი დრო შესწირა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც შეუფასებელია მისთვის და მისი ოჯახისთვის. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში მისი დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ამავე სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილებისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ამავე სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილებისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

გ. მ-ემ 2019 წლის 9 იანვარს განცხადებით მიმართა სსიპ სოცი-

ალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილებას და მოითხოვა მიუღებელი პენსიის – 13491.71 ლარის ანაზღაურება. ჭიათურის რაიონული განყოფილების 2019 წლის 11 თებერვლის №04-06-04/343 წერილით გ. მ-ეს ეცნობა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო და სცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს. აღნიშნული წერილი გ. მ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა, რომელიც არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ კანონი სახელმწიფო პენსიის დანიშვნამდე განცხადებით მიმართვამდე პერიოდში გასული წლების პენსიის ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. გარდა ამისა, გ. მ-ის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსისა (ხარისხის) და შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირის დადგენასთან დაკავშირებულ გარემოებებთან მიმართებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნების მიღება არა სოციალური მომსახურების სააგენტოს, არამედ სამედიცინო დაწესებულებების კომპეტენციას წარმოადგენდა.

საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის წერილის შესაბამისად, გ. მ-ეს 1972 წელს კომისიის მიერ პირველად დაუდგინდა ინვალიდობის მესამე ჯგუფი ერთი წლით სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით დიაგნოზით – „ქრონიკული ჩირქოვანი ქოლერეცესტიტი, ქრონიკული ჰიპერაციდული გასტრიტი, ასტენონევრასტენია“. გ. მ-ე კომისიაზე გატარდა 1974, 1978 და 1979 წლებში და იმავე დიაგნოზებით მას უდგინდებოდა ინვალიდობის მესამე ჯგუფი ერთი წლით. 1980 წელს გ. მ-ე გამოკვლეული იქნა ს.შ.ს. ექსპერტიზის სტაციონარში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი – „იპოქონდრიულ პარანოიდული სინდრომი ასტენონევრასტენია, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ჰიპერაციდული გასტრიტი“ და 1981 წლის 18 მარტს რესპუბლიკურმა კომისიამ მას დაუდგინა ინვალიდობის მეორე ჯგუფი ერთი წლის ვადით. 1985 წლის 5 ოქტომბერს გ. მ-ეს ...ის მიერ შეევსო ფორმა №88 – დიაგნოზით „შიზოფრენია ჰალუცინატორულ პარანოიდული ფორმა, უწყვეტი პროგრადიენტული მიმდინარეობით, გამოხატული ემოციურ-ინტელექტუალური ნებისყოფითი დეფექტი“ და მას 1985 წლის 4 ნოემბერს ჭიათურის სშს კომისიის მიერ კვლავ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი ერთი წლის ვადით. ამის შემდეგ გ. მ-ე სსე ბიუროზე არ გატარებულა. ამავე წერილში ასევე აღინიშნა, რომ რაც შეეხებოდა ფსიქიკურ დიაგნოზებს, რომელიც გ. მ-ეს დაუდ-

გინდა 1980 და 1985 წლებში, მისი უარყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ ფსიქიატრიული სამედიცინო დაწესებულების მიერ.

საქმეში დაცული საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო-სოციალური დეპარტამენტის უფროსის წერილიდან ირკვევა, რომ გ. მ-ე ითხოვდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას და შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის განხილვას. ...ის კონსილიუმის მიერ 2005 წლის 20 ოქტომბერს დაუდგინდა დიაგნოზი: ჰიპოქონდრიული აშლილობა ქრონიკული მიმდინარეობით. 1987 წელს ამავე ინსტიტუტის პოლიკლინიკაში გ. მ-ეს დადგენილი ჰქონდა დიაგნოზი – „პიროვნების იპოქონდრიული განვითარება“. გ. მ-ის მიერ მოთხოვილი იყო ფსიქიკური დიაგნოზის შეცვლა, თუმცა დაწესებულების (ფონდი) მიერ განიმარტა, რომ ...ის დიაგნოზის შეცვლა არ შედიოდა მათ კომპეტენციაში. გ. მ-ე კი კატეგორიულად მოითხოვდა ფსიქიატრიული დაწესებულებების მიერ დიაგნოზის შეცვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს აცხადებდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში გატარებაზე შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დასადგენად. საქმეში წარმოდგენილია შპს „...ის“ ფსიქონარკოლოგიური ცენტრის შემოწმების აქტი №2/1 და არა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა. დადგენილია, რომ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების საკითხებზე გ. მ-ეს განემარტა სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის წერილითაც.

ასევე, დადგენილია, რომ 2007 წლის 9 აგვისტოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ჭიათურის განყოფილებას განცხადებით მიმართა გ. მ-ემ ასაკის გამო პენსიის დასანიშნად და მას მითითებული თარიღიდან დაენიშნა ასაკის გამო პენსია. აღსანიშნავია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების 2016 წლის 6 სექტემბრისა და 2018 წლის 2 აპრილის წერილების თანახმად, გ. მ-ის შესახებ ბაზებში ინფორმაცია მისი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ არ მოიპოვება. ამავე წერილებით მოსარჩელისთვის მიწოდებულია ინფორმაცია პენსიის ოდენობის შესახებ 1995 წლიდან 2005 წლამდე. წერილში, ასევე, აღნიშნულია, რომ კანონის თანახმად, პენსიის მიუღებლობის ან სხვა მიზეზით შეწყვეტილი დოკუმენტაცია 5 წლის შემდეგ ექვემდებარება განადგურებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს გ. მ-ისთვის 1971-2006 წლებში მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება. თუმცა, მოცემული დავის გადასაწყვეტად პირველ ყოვლისა უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის



საკითხი.

საკასაციო პალატა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ვადების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა უფლება დაუსრულებლად, განუსაზღვრელად არ იყოს საეჭვოობის ხასიათის მატარებელი. ამასთანავე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დროული განხორციელება ემსახურება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაჯეროვანი გამოყენება, სასამართლოსათვის ვადის დარღვევით მიმართვა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკემარის საფუძველს. კერძოდ, მოთხოვნის უფლება აგრძელებს არსებობას, მაგრამ, მისი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას და დარღვეული უფლების აღდგენა მხოლოდ დამრღვევის მიხედულებაზე იქნება დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უკანონოდ უარის თქმის შემთხვევაშიც კი, მხარემ კანონით დადგენილ ვადაში უნდა მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. დასახელებული კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხან-

დაზმულობის სამწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. თითოეული ვალდებულების მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა ხორციელდება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1971-2006 წლების პენსია, სარჩელი კი აღძრულია 2019 წელს ამდენად, მიუღებელი პენსიის ანაზღაურების მოთხოვნა ხანდაზმულია.

მიუღებელი პენსიის მოთხოვნის უფლების ვადის დაცვის საკითხის შესწავლისას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. იმავე კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცებით, მას მიმართული აქვს ყველა შესაძლო სახელმწიფო უწყებისათვის, რომლებსაც შეეძლოთ რეაგირება მოეხდინათ აღნიშნულ საქმეზე, თუმცა საქმეზე წარმოდგენილი სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წერილები, ჭიათურის სახალხო სასამართლოს

1986 წლის წერილი, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის წერილები, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები ადასტურებს სახელმწიფო ორგანიზაციის მიმართვას არა მიუღებელი პენსიის ანაზღაურების, არამედ მოსარჩელისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის მოთხოვნას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. მემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილებას მიუღებელი პენსიის – 13491.71 ლარის (მის მიერ დაანგარიშებული კალკულაციის შესაბამისად) ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა მხოლოდ 2019 წლის 9 იანვარს, რის გამო არ არის მართებული სააპელაციო პალატის მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაცულობის შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელისთვის იმთავითვე ცნობილი იყო პენსიის მოთხოვნის უფლების თაობაზე, როცა თავად თქვა უარი მის მიღებაზე, თუმცა მას მოთხოვნის უფლება არ გამოუყენებია. ამდენად, 1971-2006 წლებში მიუღებელი პენსიის ნაწილში არსებობს გ. მ-ის სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის საფუძველი, რადგან გასულია კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისთვის დადგენილი 3-წლიანი, ისე საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, აგრეთვე, მორალური ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფ-

რთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელი ხელნერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აფუძნებს სამართლიანობისთვის ბრძოლაში უამრავი დროის დაკარგვასა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მის მიმართ პატივისა და ღირსების შელახვაზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. განსახილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა ხანდაზმულობის გამო. ამდენად, საკასაციო სასამართლოს საქმის არსებით მხარეზე არ უმსჯელია. შესაბამისად, არ დადასტურებულა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ბრალეული ქმედების ჩადენა, რაც მოსარჩელისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი პირობა შეიძლება გამხდარიყო. ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილშიც არ არსებობს სასარჩე-

ლო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამავე კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სამართალში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრული და არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც მოცემულ საქმეზე მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს ამ საქმეზე ახალ გადაწყვეტილებას, ვინაიდან არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საბრძოლო მოქმედების მონაწილის სტატუსის  
მინიჭების საფუძველი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-426(კ-21)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2019 წლის 22 ოქტომბერს დ. ნ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2008 წლის აგვისტოში იღებდა მონაწილეობას შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში). 2008 წლის 18 მარტის რეზერვისტთა მომზადების ბაზა ...-ის უფროსის №111 ბრძანების საფუძველზე, ეროვნულ გვარდიაში რეორგანიზაციისა და სამტაბო სტრუქტურებში ცვლილებებიდან გამომდინარე 2008 წლის 16 მარტიდან დანიშნულ იქნა ...-ე რეზერვისტთა მსუბუქ ქვეით ბატალიონის სამტაბო ასეულის უზრუნველყოფის ოცეულის მეთაურად (სამტაბო კატეგორია „უფროსი ლეიტენანტი“). 2008 წლის 8 აგვისტოს რეზერვისტთა მომზადების ბაზა ...-ის უფროსის №187 ბრძანების საფუძველზე 2008 წლის 8 აგვისტოდან მივლინებულ იქნა შიდა ქართლში, მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების მიზნით. ზემოაღნიშნულ პერიოდში მონაწილეობას იღებდა გორში, გორის რაიონის მიმდებარე ტერიტორიებზე და ასევე ორჭოსანში საომარ მოქმედებებში. 2008 წლის 21 აგვისტოს რეზერვისტთა მომზადების ბაზა ...-ის უფროსის №191 ბრძანების საფუძველზე მოხდა ...-ე რეზერვისტთა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის დემობილიზაცია. მოსარჩელის განმარტებით, მას წარმატებით აქვს გავლილი რეზერვისტთა მომზადების პროგრამა ჯერ კიდევ

29.08.2007 წლიდან 15.09.2007 წლამდე და ჩარიცხული იყო იმ დრო-სათვის კოჯრის სასწავლო ბაზაზე ...-ე ბატალიონში.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელემ, როგორც ომის მონაწილემ, 2019 წლის 27 სექტემბერს განცხადებით მიმართა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს და მოითხოვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭება. განცხადებას თან ერთვოდა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ბრძანებით დადგენილი ინსტრუქციით განსაზღვრული დოკუმენტები, ჩარიცხვა-ამორიცხვის და მივლინების ბრძანებები, ნოტარიული წესით დამოწმებული საბრძოლო მოკვლევა, კანონით განსაზღვრული პირების დამონებებით. მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ ასევე წარდგენილ იქნა ყველა ის დოკუმენტი, რასაც აღნიშნული ბრძანებით დადგენილი ინსტრუქცია ითვალისწინებდა. მოსარჩელის მოსაზრებით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოება არასრულად ჩატარდა, არ მომხდარა მისი, როგორც დაინტერესებული პირის მიწვევა ადმინისტრაციული წარმოებისას, რათა მომხდარიყო მისი საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის ფაქტის დადგენა. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მხრიდან არ მომხდარა საქმის სრულყოფილად შესწავლა.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მოსარჩელე დ. ნ-ის მონაწილეობის ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2019 წლის 1 ოქტომბრის №SSVA 00021040 წერილობითი მიმართვის ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის მოსარჩელე დ.ნ-ის მიმართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ვეტერანის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 7 ივლისის განჩინებით საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ.ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რეზერვის-

ტთა მომზადების ... ბაზის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით, მოსარჩელე დ. ნ-ე, რომელიც ირიცხებოდა რეზერვისტთა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირად შემადგენლობაში, სარეზერვო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით, აყვანილი იქნა სანივთე კმაყოფაზე, გაიცა შესაბამისი რაოდენობის მშრალი ულუფა და ჩაითვალა მივლინებულად შიდა ქართლის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოდან.

საბრძოლო მოკვლევის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ...-ე ბატალიონის მეთაური ი. ს-ი, ...-ე ბატალიონის მეთაური რ. ნ-ე და ინსტრუქტორი ბ. შ-ი, მოსარჩელე დ. ნ-ე ირიცხებოდა რეზერვისტთა მომზადების ბაზა ...-ის (კოჯორი) ...-ე ბატალიონში მსროლელად და მონაწილეობას იღებდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტმა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს 2017 წლის 22 მაისს წარუდგინა იმ რეზერვისტთა სია, რომლებიც საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაიგზავნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. ამასთან, მოსარჩელე დ. ნ-ე აღნიშნულ სიებში არ არის შეყვანილი.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა განიხილა მოსარჩელე დ. ნ-ის 2019 წლის 27 სექტემბრის განცხადება მისი 2008 წლის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებისა და მისთვის ომის ვეტერანის სტატუსის მინიჭების თაობაზე და 2019 წლის 1 ოქტომბრის №SSVA 00021040 გადაწყვეტილებით მას უარი უთხრა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებაზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. სასამართლომ, აღნიშნული ნორმის სიტყვა-სიტყვითი და ლოგიკური განმარტების მე-



თოდით შეფასების შედეგად აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილე ის პირები, რომლებიც საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები იყვნენ, მათ შორის, აღნიშნული უწყებების თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის მითითებული ნორმის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანის სტატუსის მისაღებად პირი კუმულატიურად ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, ერთი მხრივ, მას უნდა დაუდასტურდეს საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა და იმავე დროს იგი უნდა ყოფილიყო საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურე და მუშაკი, მათ შორის, აღნიშნული უწყებების თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირი, მოხალისე. ამასთან, საქალაქო სასამართლოს მითითებით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა შესაძლებელია არა მხოლოდ საცეცხლე პოზიციებში მოქმედებით, არამედ ბრძოლისათვის სხვა აუცილებელ პროცესებში მონაწილეობითაც გამოიხატოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ რეზერვისტთა მომზადების ... ბაზის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით, მოსარჩელე დ. ნ-ე, რომელიც ირიცხებოდა რეზერვისტთა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირად შემადგენლობაში, სარეზერვო სამსახურში განვევასთან დაკავშირებით, აყვანილი იქნა სანივთე კმაყოფაზე, გაიცა შესაბამისი რაოდენობის მშრალი ულუფა და ჩაითვალა მივლინებულად შიდა ქართლის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოდან, ხოლო საბრძოლო მოკვლევის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ...-ე ბატალიონის მეთაური ი. ს-ი, ...-ე ბატალიონის მეთაური რ. ნ-ე და ინსტრუქტორი ბ. შ-ი, მოსარჩელე დ.ნ-ე ირიცხებოდა რეზერვისტთა მომზადების ბაზა ...-ის (კოჯორი) ...-ე

ბატალიონში მსროლელად და მონაწილეობას იღებდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტმა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს 2017 წლის 22 მაისს წარუდგინა იმ რეზერვისტთა სია, რომლებიც საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაიგზავნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. ამასთან, მოსარჩელე დ. ნ-ე აღნიშნულ სიებში არ არის შეყვანილი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასამართლოში მოწმის სახით გამოძახებულმა, ...-ე ბატალიონის მეთაურმა ი. ს-მა, რომელმაც ხელი მოაწერა აღნიშნულ საბრძოლო მოკვლევას, განმარტა, რომ მან ნამდვილად ნახა მოსარჩელე დ. ნ-ე ქ. გორში და მისი ინფორმაციით მას დავალება ჰქონდა მიღებული მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით, თუმცა მან უშუალოდ მიიღო თუ არა ამ დავალების შესრულებაში მონაწილეობა მისთვის უცნობია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება მოსარჩელე დ. ნ-ის, 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომში, თუნდაც მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით მიღებული დავალების შესრულებაში მონაწილეობა, ხოლო საბრძოლო მოქმედებებში მისი მონაწილეობის გამომრიცხავი მტკიცებულებები წარმოდგენილია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ეს დადასტურებულია მესამე პირის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. ამასთან, უშუალოდ საცეცხლე პოზიციებში რომ მოსარჩელე დ. ნ-ე არ მონაწილეობდა, დადასტურებულია მისივე განმარტებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე და მხარეთა ახსნა-განმარტებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სასამართლებრივი შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, მოსარჩელე დ. ნ-ეს არ უდასტურდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის ფაქტი. შესაბამისად, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილება შესაბამისობაშია „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დ.ნ-ის სარჩელი უსაფუძ-

ვლოა, ადგილი არა აქვს საქართველოს კონსტიტუციითა და აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული სოციალური უფლების შესაბამისად, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არ არსებობდა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2019 წლის 1 ოქტომბრის №SSVA 00021040 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები.

გამომდინარე იქედან, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ იყო იმ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებაზე, ხოლო ამ ფაქტის დადასტურება ვეტერანის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელ გარემოებას წარმოადგენდა, არ არსებობდა საფუძველი მოპასუხეს მოსარჩელე დ.ნ-ის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებისა და ომის ვეტერანის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დავალებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით დ.ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2019 წლის 1 ოქტომბრის №SSVA 00021040 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს დაევალა კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დ.ნ-ისათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებ-

ლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ვეტერანის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც სადავო აქტით დგინდება, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის წერილით 2008 წლის აგვისტოს თვეში მიმდინარე საომარი მოქმედებისას საბრძოლოდ დავალების შესასრულებლად განმცხადებლის გაგზავნის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვებოდა, სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედების მონაწილის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკითხის გარკვევას – მოსარჩელე (აპელანტი) მონაწილეობდა თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. კანონის მითითებული ნორმის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანის სტატუსის მისაღებად პირი კუმულატიურად ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, ერთი მხრივ, მას უნდა დაუდასტურდეს საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა და იმავე დროს იგი უნდა ყოფილიყო საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-

ხურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურე და მუშაკი, მათ შორის, აღნიშნული უწყებების თადარიგში დათხოვნილი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირი, მოხალისე. ამასთან, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა შესაძლებელია არა მხოლოდ საცეცხლე პოზიციებში მოქმედებით, არამედ ბრძოლისათვის სხვა აუცილებელ პროცესებში მონაწილეობითაც გამოინახოს.

სააპელაციო სასამართლომ თავის მხრივ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტისას უფლებამოსილი პირის მიერ ეჭვქვეშა დაყენებული ვეტერანის სტატუსის მისაღებად ერთ-ერთი პირობა – მოსარჩელის საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა, რა პირობებშიც სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით არსებითია განისაზღვროს მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაში აღწერილი მოცემულობა წარმოშობდა თუ არა სადავო პირობის და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს და აღნიშნული გამყარებულია თუ არა სათანადო მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ აქვე ყურადღება გაამახვილა მონინალმდევე მხარის ახსნა-განმარტებაზე, კერძოდ, მისი არგუმენტაცია ძირითადად აგებულია იმ გარემოებაზე, რომ ქ. გორის დაბომბვის პირობებში ქ. გორში საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა. სააპელაციო სასამართლომ გადაჭრით უარყო სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის აღნიშნული მოსაზრება და ქ. გორის დაბომბვისა და დაბომბვის შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ფაქტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიჩნია საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს, შესაბამისად, მოსარჩელე თავისუფლდებოდა მათი მტკიცებისაგან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №281 ბრძანებით დამტკიცდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დადუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მონაწილეობის გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქცია, რომლის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებებს მონაწილის და ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი ვეტერანის მონაწილის მაძიებელმა უნდა წარადგინოს: „დ.ა“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებები, სამხედრო ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანის სტატუსის მქონე იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები ძალოვანი უწყების მოსამსახურეებზე დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი უწყების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნოტარიულად. „დ.ბ“ მოხალისეებზე, რომლებზეც არ მოიპოვება ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში ჩარიცხვის თაობაზე დოკუმენტაცია, წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამოწმებული ასლები; საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანის სტატუსის მქონე იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები დადასტურებულ უნდა იქნეს ნოტარიულად; „ვეტერანების სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის“ ოქმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტმა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს 2017 წლის 22 მაისს წარუდგინა იმ რეზერვისტთა სია, რომლებიც საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაიგზავნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. ამასთან, მოსარჩელე დ.ნ-ე აღნიშნულ სიებში არ არის შეყვანილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით გამოძახებული, ...-ე ბატალიონის მეთაურმა ი. ს-მა, რომელმაც ხელი მოაწერა აღნიშნულ საბრძოლო მოკვლევას, განმარტა, რომ მან ნამდვილად ნახა მოსარჩელე დ. ნ-ე ქ. გორში და მისი ინფორმაციით მას დავალება ჰქონდა მიღებული მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით, თუმცა მან უშუალოდ მიიღო თუ არა ამ დავალების შესრულებაში მონაწილეობა მისთვის უცნობია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება მოსარჩელე დ.ნ-ის 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომში, თუნდაც მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით მიღებული დავალების შესრულებაში მონაწილეობა და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (სასკ-ის მუხლი 17.1). მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის დადასტურებას აქვს არა

მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების გასაბათილებლად მოპასუხეს არ წარმოუდგენია საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება მოსარჩელის მიერ მისი მოვალეობის შეუსრულებლობა. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სამხედრო დავალების შეუსრულებლობა წარმოადგენს გადაცდომას, რომლის მტკიცების და შედავების მექანიზმები რეგულირდება სამართლის სხვა დარგით და აღნიშნული საკითხის განხილვა ვერანაირად ვერ მოექცევა მოცემული დავის ფარგლებში. აღნიშნული კი სააპელაციო სასამართლოსათვის ქმნიდა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულა, კერძოდ, ქ. გორის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების პერიოდში ახორციელებდა მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხო ადგილას გადაყვანა-დაცვას, რაც წარმოადგენდა მისთვის სტატუსის მინიჭების ფაქტობრივ წინაპირობას.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, საბრძოლო მოკვლევის მასალებით, დადგენილად მიიჩნია, რომ რეზერვისტთა მომზადების ... ბაზის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით, მოსარჩელე დ. ნ-ე, რომელიც ირიცხებოდა რეზერვისტთა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირად შემადგენლობაში, სარეზერვო სამსახურში განვევასთან დაკავშირებით, აყვანილი იქნა სანივთე კმაყოფაზე, გაიცა შესაბამისი რაოდენობის მშრალი ულუფა და ჩაითვალა მივლინებულად შიდა ქართლის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოდან; ხოლო საბრძოლო მოკვლევის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ...-ე ბატალიონის მეთაური ი. ს-ი, ...-ე ბატალიონის მეთაური რ. ნ-ე და ინსტრუქტორი ბ. შ-ი, მოსარჩელე დ. ნ-ე ირიცხებოდა რეზერვისტთა მომზადების ბაზა ...-ის (კოჯორი) ...-ე ბატალიონში მსროლელად და მონაწილეობას იღებდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით გამოძახებულმა, ...-ე ბატალიონის მეთაურმა ი. ს-მა, რომელმაც ხელი მოაწერა აღნიშნულ საბრძოლო მოკვლევას, განმარტა, რომ მან ნამდვილად ნახა მოსარჩელე დ. ნ-ე ქ. გორში და მისი ინფორმაციით მას დავალება ჰქონდა მიღებული მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმ-



დინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭების საფუძველს. შესაბამისად, დაუშვებელია მოსარჩელისათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება საქართველოს შეიარაღებული ძალების საარქივო მასალებში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატუსის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული ფაქტის დადგენა და არა კონკრეტული პირის საარქივო მასალებში აღრიცხვის ფაქტი. ამდენად, საქმის ირგვლივ არსებული ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა საფუძველს მოსარჩელისათვის ვეტერანის სტატუსის მისანიჭებლად.

სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 ივნისის №ბს-838-834(კ-17) გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელის (აპელანტი) მიერ წარდგენილი მტკიცებულებები მიიჩნია საკმარისად და ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ დადასტურებულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი, რაც ქმნიდა გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და დადგინდეს გარემოებებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთხოვნები.

კასატორი მიუთითებს „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე ეთანხმება სასამართლოს განმარტებას, რომ მითითებული ნორმის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანის სტატუსის მისაღებად პირი კუმულატიურად ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, ერთი მხრივ, მას უნდა უდასტურდებო-

დეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ სამხედრო ან გასამხედროებულ დანაყოფში ჩარიცხვა და იმავდროულად, უნდა უდასტურდებოდეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. ამასთან, საბრძოლო მოქმედებები მოიცავს როგორც უშუალოდ საბრძოლო (საომარ) მოქმედებებში მონაწილეობას, ისე საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ რეზერვისტთა მომზადების ... ბაზის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს №187 ბრძანებით დ. ნ-ე, რომელიც ირიცხებოდა რეზერვისტთა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის შემადგენლობაში სარეზერვო სამსახურში განწვევასთან დაკავშირებით, აყვანილი იყო სანივთე კმაყოფაზე, გაიცა შესაბამისი რაოდენობის მშრალი ულუფა და ჩაითვალა მივიღებულად შიდა ქართლის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოდან, რაც თავისთავად არ ნიშნავს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებას. განსხვავებით ასევე საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2017 წლის 22 მაისის წერილზე დართული ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს ბრძანება ... (საბრძოლო) სიებისა, სადაც მითითებულია პირადი შემადგენლობის შესახებ, რომელშიც ბატალიონების მიხედვით კონკრეტიზირებულია იმ რეზერვისტთა მონაცემები, რომლებიც გაიგზავნენ საბრძოლო დავალების შესასრულებლად. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დ.ნ-ე აღნიშნულ სიებში შეყვანილი არ არის.

კასატორი ასევე ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მოყვანილ გარემოებებზე და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ასევე პასუხგაუცემელი დარჩა სად და რა სახით იღებდა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში დ. ნ-ე.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოში მოწმის სახით გამოძახებული ...-ე ბატალიონის მეთაურის ი. ს-ის განმარტება ეწინააღმდეგება მისსავე საბრძოლო მოკვლევაში მითითებულ გარემოებას. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ორი მტკიცებულება, რომელიც გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადანწყვეტილების მიღების საფუძველი, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ გარემოებას, თუ საბრძოლო მოკვლევით დ.ნ-ე მონაწილეობას იღებდა რუსეთ-საქართველოს ომში ...-ე ბატალიონის შემადგენლობიდან, იმავე ...-ე ბატალიონის მეთაურის ი. ს-ის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებით, მისი ინფორმაციით დ. ნ-ეს დავალე-

ბა ჰქონდა მიღებული მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით, თუმცა მან უშუალოდ მიიღო თუ არა ამ დავალების შესრულებაში მონაწილეობა, მისთვის უცნობია. შესაბამისად, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას არ დაინტერესებულა და არ გამოუკვლეოდა 1. ვის დავალებას ასრულებდა დ. ნ-ე მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით თუ ის არ იყო გაცემული უშუალო ...-ე ბატალიონის მეთაურის ი. ს-ის მიერ; 2. ასევე სასამართლოს არ დაუდგენია და არც რაიმე მტკიცებულება არის საქმეში თვით მოსარჩელის არაერთგზის შეცვლილი ჩვენების გარდა, მის მიერ მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის მიღებული დავალების შესრულების შესახებ. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება დ. ნ-ის 2008 წლის აგვისტოს ომში, თუნდაც მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით მიღებული დავალების შესრულებაში მონაწილეობა. უშუალო საბრძოლო მოქმედებებში მისი მონაწილეობის გამომრიცხავი მტკიცებულებები კი წარდგენილი არის სამსახურს და დადასტურებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული განმარტებით სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში თავად დ. ნ-ის ჩვენებით დასტურდება, რომ უშუალოდ პოზიციურ ბრძოლებში მას მონაწილეობა არ მიუღია, რაც განსხვავდება სარჩელში მითითებული განმარტებისგან.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №281 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მოწმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქციის მე-6 მუხლის „და“ ქვეპუნქტი, რამდენადაც აღნიშნული ნორმის მოთხოვნათა დარღვევით საქმეში არსებულ საბრძოლო მოკვლევას ხელს აწერს ...-ე ბატალიონის მეთაური ი. ს-ი, ...-ე ბატალიონის მეთაური რ. ნ-ე და ყოფილი რეზერვისტთა მომზადების ...-ის (კოჯორის) ინსტრუქტორი ბ. შ-ი, ამდენად, საბრძოლო მოკვლევაზე ხელმოწერთა შორის მხოლოდ ი. ს-ია იმავე ქვედანაყოფის მოსამსახურე რომელშიც ჩარიცხული იყო მოსარჩელე.

მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის დანაწესზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას ძირითადად ამყარებს საბრძოლო მოკვლევებზე, თუმცა საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით თუ მონმეთა მიერ მიცემული ჩვენებებით დ. ნ-ის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი არ დგინდება არც პოზიციურ ბრძოლებში და მას არც მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში აქვს მიღებული მონაწილეობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე სადავოდ ხდის სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2019 წლის 1 ოქტომბრის №SSVA 00021040 წერილობით მიმართვას, რომლითაც დ. ნ-ეს უარი ეთქვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადასტურებაზე იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის წერილით მიწოდებულ დოკუმენტაციაში 2008 წლის აგვისტოს თვეში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას საბ-

რძოლო დავალების შესასრულებლად დ. ნ-ის გაგზავნის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. ამასთან, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ხაზს უსვამს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით, თუ მონმეთა მიერ მიცემული ჩვენებებით, დ. ნ-ის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი არ დგინდება არც პოზიციურ ბრძოლებში და მას არც მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში აქვს მიღებული მონაწილეობა.

ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს იმ საკითხის გარკვევა, მოსარჩელე დ. ნ-ე მონაწილეობდა თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქე ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს მათი კეთილდღეობისა და აქტიური საქმიანობის პირობების შესაქმნელად. კერძოდ, მითითებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ამ კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად კი, ამ კანონით დადგენილია ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) თავდაცვის ძალების ვეტერანები.

მითითებული კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოე-

ბის სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურეები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები. ამავე კანონის მე-13 მუხლის თანახმად კი, ვეტერანების სოციალური დაცვა ითვალისწინებს: ა) საპენსიო უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; ბ) სხვა სოციალური დაცვის გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ამავე კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ვეტერანების უფლებები და შეღავათები ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ვეტერანებისათვის დადგენილი ერთიანი ნიმუშის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში. ვეტერანის მოწმობის ნიმუშსა და გაცემის წესს კი ადგენს საქართველოს მთავრობა.

ამდენად, მითითებული ნორმატიული აქტი უზრუნველყოფს იმ პირთა სოციალურ დაცვას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

ამასთან, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №281 ბრძანებით დამტკიცდა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით, მოწმობების გაცემის, სტატუსის შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ინსტრუქცია, რომლის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილის და ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა უნდა წარადგინოს: „და“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებების, სამხედრო ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). მაძიე-

ბელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანის სტატუსის მქონე იმავე ქვედანაყოფის არანაკლებ სამი პირი – ერთი მეთაურთა შემადგენლობიდან და ორი თანამებრძოლი. ხელმოწერები ძალოვანი უწყების მოსამსახურეებზე დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი უწყების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნოტარიულად.

დასახელებული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე საკაცო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებას იმ ნაწილში, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანის სტატუსის მისაღებად პირს უნდა დაუდასტურდეს საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა და იმავე დროს იგი უნდა ყოფილიყო საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურე და მუშაკი, მათ შორის, აღნიშნული უწყებების თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირი, მოხალისე. ამასთან, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა შესაძლებელია არა მხოლოდ საცეცხლე პოზიციებში მოქმედებით, არამედ ბრძოლისათვის სხვა აუცილებელ პროცესებში მონაწილეობითაც გამოიხატოს. კერძოდ, „რომში მონაწილეობა არ გულისხმობს საბრძოლო მოქმედებებში პირის მხოლოდ ქმედით ჩართულობას. საომარი მოქმედებები კომპლექსურად მიმდინარეობს, სადაც თითოეულ მონაწილეს აღნიშნულ მოქმედებებთან დაკავშირებული გარკვეული ფუნქციის შესრულება ეკისრება. უშუალოდ მებრძოლთა მიერ წარმოებული საბრძოლო აქტივობების გარდა, ომის მიმდინარეობა არსებითად არის დაკავშირებული, მაგალითად, სამედიცინო პერსონალის ეფექტურ მუშაობაზე, ე.წ. მეკავშირეების საქმიანობაზე, რომლებიც ბრძოლის მიმდინარეობისას სამხედრო ქვედანაყოფებს შორის კომუნიკაციას უზრუნველყოფენ, ასევე, იმ პირებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მეომართა შესაბამისი აღჭურვილობით მომარაგებაში, რამდენადაც სწორედ დანაყოფთა შეუფერხებელი და სრულყოფილი მომარაგება განაპირობებს საბრძოლო ვითარებათა ეფექტიანობას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის №ბს-1161(კ-18) განჩინება).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ რეზერვისტთა მომზადების ... ბაზის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს №187 ბრძანებით, მოსარჩელე დ.ნ.-ე, რომელიც ირიცხებოდა რეზერვისტთა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირად შემადგენლობაში, სარეზერ-

ვო სამსახურში განწევასთან დაკავშირებით, აყვანილ იქნა სანივთე კმაყოფაზე, გაიცა შესაბამისი რაოდენობის მშრალი ულუფა და ჩაითვალა მივლინებულად შიდა ქართლის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოდან.

საბრძოლო მოკვლევის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს ყოფილი რეზერვისტა მომზადების ბაზა ...-ის (კოჯორი) ...-ე ბატალიონის მეთაური ი.ს-ი, ყოფილი რეზერვისტა მომზადების ბაზა ...-ის (კოჯორი) ...-ე ბატალიონის მეთაური რ. ნ-ე და ყოფილი რეზერვისტა მომზადების ბაზა ...-ის (კოჯორი) ინსტრუქტორი ბ. შ-ი, მოსარჩელე დ. ნ-ე ირიცხებოდა ყოფილი რეზერვისტა მომზადების ბაზა ...-ის (კოჯორი) ...-ე ბატალიონში მსროლელად და მონაწილეობას იღებდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტმა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს 2017 წლის 22 მაისს წარუდგინა იმ რეზერვისტა სია, რომლებიც საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაიგზავნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. მოსარჩელე დ. ნ-ე აღნიშნულ სიებში არ არის შეყვანილი.

ამასთან, სასამართლოში მონმის სახით გამოძახებულმა, ...-ე ბატალიონის მეთაურმა ი. ს-მა, რომელმაც ხელი მოაწერა აღნიშნულ საბრძოლო მოკვლევას, განმარტა, რომ მან ნამდვილად ნახა მოსარჩელე დ. ნ-ე ქ. გორში და მისი ინფორმაციით, მას დავალება ჰქონდა მიღებული მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით, თუმცა მან უშუალოდ მიიღო თუ არა ამ დავალების შესრულებაში მონაწილეობა, მისთვის უცნობია.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, რეზერვისტა მომზადების ... ბაზის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს №187 ბრძანებით, მოსარჩელე დ. ნ-ე, რომელიც ირიცხებოდა რეზერვისტა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირად შემადგენლობაში, სარეზერვო სამსახურში განწევასთან დაკავშირებით, აყვანილ იქნა სანივთე კმაყოფაზე, გაიცა შესაბამისი რაოდენობის მშრალი ულუფა და ჩაითვალა მივლინებულად შიდა ქართლის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოდან, თუმცა კასატორი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური სადავოდ ხდის დ. ნ-ის უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში, მათ შორის, მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის ფაქტს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა ვეტერანის სტატუსის მანიჭებელს ანიჭებს ფართო შესაძლებლობას შესაბამისი სტატუსის მოპოვებისათვის და აძლევს შესაძლებლობას,



მათ ხელთ არსებული ნებისმიერი მტკიცებულებით დაადასტურონ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. გარდა საბრძოლო მოკვლევისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილის და ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი ვეტერანის მონაწილის მაძიებელმა უნდა წარადგინოს: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებების, სამხედრო ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.) (სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №281 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის „და“ ქვეპუნქტი).

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დ.ნ-ის მოთხოვნის უარყოფას კასატორის მიერ სადავო გადაწყვეტილებაში მითითებულ მხოლოდ იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის წერილით მიწოდებულ დოკუმენტაციაში 2008 წლის აგვისტოს თვეში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას საბრძოლო დავალების შესასრულებლად დ. ნ-ის გაგზავნის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვეტერანის სტატუსის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს არა კონკრეტული პირის საარქივო მასალებში აღრიცხვის ფაქტი, არამედ კანონით გათვალისწინებული ფაქტის დადგენა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და არსებობის შემთხვევაში ახალი მტკიცებულებების ერთობლიობით უნდა დადასტურდეს დ. ნ-ის საომარ მოქმედებებში, მათ შორის, მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის ფაქტი, რაც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის სტატუსის მინიჭების საფუძველს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მითითებით, მარტოოდენ ის ფაქტი, რომ რეზერვისტთა მომზადების ... ბაზის უფროსის 2008 წლის 8 აგვისტოს №187 ბრძანებით, მოსარჩელე დ. ნ-ე, რომელიც ირიცხებოდა რეზერვისტთა მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირად

შემადგენლობაში, სარეზერვო სამსახურში განწევასთან დაკავშირებით, აყვანილ იქნა სანივთე კმაყოფაზე, გაიცა შესაბამისი რაოდენობის მშრალი ულუფა და ჩაითვალა მივლინებულად შიდა ქართლის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოდან, არ ქმნის „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანის სტატუსის განსაზღვრის შესაძლებლობას. დ. ნ-ის 2008 წლის საბრძოლო მოქმედებებში, მათ შორის, მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონაწილეობის გაცემის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად უნდა დადასტურდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მითითებას მასზე, რომ სასამართლოში მონაწილის სახით გამოძახებული ...-ე ბატალიონის მეთაურის ი. ს-ის განმარტება ეწინააღმდეგება და გამორიცხავს მისსავე საბრძოლო მოკვლევაში მითითებულ გარემოებას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, მონაწილის სახით დაკითხული ი. ს-ი პირდაპირ ვერ ადასტურებს დ. ნ-ის მიერ უშუალოდ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების ფაქტს, თუმცა საყურადღებოა, რომ იგი ადასტურებს დ. ნ-ის ყოფნის ფაქტს საომარი მოქმედების ადგილზე და მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებით დ. ნ-ის მიერ მიღებული დავალების არსებობას. შესაბამისად, ...-ე ბატალიონის მეთაურის ი. ს-ის ახსნა-განმარტება არ გამორიცხავს დ. ნ-ის მოთხოვნის საფუძვლიანობას. ასეთ ვითარებაში, დამატებით კვლევასა და შეფასებას საჭიროებს დ. ნ-ის უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში, მათ შორის, მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის ფაქტის სათანადო მტკიცებულებებით დადასტურება.

რაც შეეხება კასატორის მითითებას წარმოდგენილ საბრძოლო მოკვლევაზე ხელმოწერ პირებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №281 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის „და“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნავს, რომ საბრძოლო მოკვლევა წარმოადგენს კომისიი-

სათვის წარსადგენ ერთ-ერთ და არა ერთადერთ დოკუმენტს, რომლითაც პირს უნდა მიენიჭოს ვეტერანის სტატუსი. შესაბამისად, სადავო საკითხზე სათანადო დასკვნა საქმეზე არსებულ მტიცებულებათა ერთობლიობით უნდა გაკეთდეს. ამასთან, აღნიშნულ გარემოებაზე მითითებას შეიცავდა საქალაქო სასამართლოში სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ წარდგენილი შესაგებელი, რაზეც შესაბამისი შეფასება არ მიუციათ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს. ამდენად, სადავო საკითხის ხელახლა განხილვისას საქმეზე არსებულ მტიციებულლებებთან ერთად სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს წარმოდგენილი საბრძოლო მოკვლევის სათანადოობას, ხელმომწერ პირთა გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, სასამართლო მოკვლეულია ახალი მტიციებულლებების მოპოვების შესაძლებლობას, იგი არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტიციებულლებების მიღების შესაძლებლობას, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში იქმნება საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების პროცესუალური საჭიროება, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა გამოიკვილოს დ.ნ-ის უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში, მათ შორის, მშვიდობიან მოქალაქეთა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის ფაქტი და საქმეზე არსებული გარემოებების ერთობლიობაში დამუშავების შედეგად მიიღოს სათანადო გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტიციებულლებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტიციებულლებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადანყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტიციებულების წარმოსადგენად. ამასთან, ამავე კოდექსის

მე-17 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც მოსარჩელე დ.ნ-ის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილ იქნა სახელმწიფო ბაჟი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გადაწყვიტოს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)